

ვასტანგ  
გოგოლაძე

დედის წერილი

მოთხრობები

რუსთავი - 2010

UDC(უკ)821.353.1-3  
გ-611

ქ. რუსთავი, სტამბა, მაჩაბლის №3ა

ISBN 978-9941-0-2437-5

## რედაქტორისგან:

წინამდებარე მოთხრობების კრებული ვახტანგ გოგოლაძის პირველი წიგნია. მისი მოთხრობების თემა აქტუალურია. ის, უმეტესად, თანამედროვე რეალობითაა განპირობებული. მათში ასახულია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის მოთხრობებში აღწერილ გმირთა სახეები ცხოვრებისეულია, ბევრი მათგანი კი ავტობიოგრაფიულია. ამ მოთხრობებში აღწერილი ამბები თვითონ მწერალს გადახდა თავს. ასეთებია მაგ: „ხუთი თავი ყველი“, „დარიკო ბებიას კიტრა ვაშლები“, „დარაჯი“, „მატარებელში“, „მეეზოვე გოგია“, „შემთხვევა დიდუბის სადგურზე“, „ღლია“, „მშობლიური ქვაბი“, „ღილა მშვიდობისა, ჩიკიტო!“, „უშიშროების პოლკოვნიკი“, „გიულნარას ლიპიოშკები“ და სხვა.

ვახტანგ გოგოლაძე დაიბადა 1947 წლის 4 ივლისს ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთში. მისი მამა, ისაკ გოგოლაძე, ტექსელის ომის მონაწილე იყო, რის გამოც ვახტანგს მძიმე ბავშვობა ჰქონდა, რაც გამოიხატა მათი ოჯახის ყაზახეთში გადასახლებით.

ვახტანგმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით, მაგრამ ლიტერატურის სიყვარულმა ის მწერლობამდე მიიყვანა.

1970 წლიდან ცხოვრობს ქალაქ რუსთავში, ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ორი შვილიშვილი.

ვახტანგი 9 წლის იყო, როცა მისი პირველი ლექსი „ჭიათურის მალაროელში“ დაიბეჭდა. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება პერიოდულ პრესაში. იგი მრავალი ნოველის, მოთხრობისა და ექვსი რომანის ავტორია. მას გამოსაცემად მზად აქვს მეორე წიგნი, სადაც შევა მისი ორი რომანი. ვფიქრობ, მკითხველი მოუთმენლად დაელოდება მის გამოსვლას მას შემდეგ, რაც წაიკითხავს მწერლის მშვენიერ მოთხრობებს.

**ალმარ ლომიძე**

## ხუთი თავი ყველი

მამიესული ჭიშკრის ურდული მთელი ძალით გავწიე, მაგრამ გამიძალიანდა.

- ნეტავ, რაშია საქმე, სულ მთლად დაივიწყეს მეზობლებმა მოხუცი დედაჩემი? - გავიფიქრე და უფრო მეტი ძალით ვცადე გაღება. თითქოს მოტყდა, ისე ერთბაშად გაიწია ურდულმა და ხმამაღლა გაიჩხაკუნა.

ეზოში შესულმა ჩვენი ოდა შევათვალიერე. დუმდა. რა საშინელი ყოფილა მდუმარე სახლი -მეთქი, გავიფიქრე და შეშინებულმა ხმამაღლა დავიძახე.

- დედა!

სასიმიინდეს მხრიდან, წელში მოხრილი, ხელ-ჯოხზე დაყრდნობილი დედაჩემი გამოვიდა. მისმა დანახვამ შიში გადამაგიწყა. ჩანთა მოლოზე დავდე და მისკენ გავემართე. მიუხედავად იმისა, რომ ხმაც გაიგონა და კიდეც დამინახა, მაინც ვერ მიცნო. რომელი ხარო, - მკითხა.

- მე ვარ დედა, ოთარი.

- მოგიკვდა, შვილო, დედა! ასე რამ დამივსო ეს მიწადასაყრელი თვალები, რომ საკუთარი შვილი ვერ ვიცანი! - თქვა დედამ, ჯოხი მოისროლა და ახალგაზრდული სიმკვირცხლით ჩემსკენ გამოემართა. დიდხანს ვეფერებოდით ერთმანეთს სახლის წინ, მსხლის ხის ქვეშ, ბაბუაჩემის გამოჩორკნილ ქვის სკამებზე ჩამომჯდარი დედა-შვილი.

- ეს რა მოგსვლია, შვილო? - მკითხა დედამ და ხელით შუბლზე ჩამოშლილი ჭაღარა თმა გამისწორა.

- შვილებიც ვებრდებით, დედა, - ვუბასუხე ღიმილით მოხუცს.

- ეჰ, შვილო, შარშან ამ დროს ამის ნახევარი ჭაღარა არ გქონდა, ახლა კი...

- სამაგიეროდ ახლა შარშანდელზე უკეთ ვარ, როგორც იქნა ჩემი მოთხრობების ერთტომეული დავბეჭდე.

- რა სახსრებით, შვილო?

- ცოტა იქიდან, ცოტა აქედან და შევძელი წიგნის გამოცემა. აი ნახე, - ვთქვი და მინდორზე დატოვებული ჩანთა ქვის მაგიდაზე დავდე, გავხსენი და ამოლაგება დავიწყე.

- აი, დედა, ეს წიგნი შენი საჩუქარია. წაიკითხე რა აწერია.

- რა აწერია, შვილო?

- ვერ კითხულობ?

- ვერა.

- სად გაქვს სათვალე? ახლავე მოვირბენინებ.

- ჰიდან წყალს რომ ვიღებდი შიგ ჩამივარდა.

სათვალე მოვიხსენი და დედას გაფუკეთე.

- ხედავ?

- ვერა, ვერ ვხედავ.

- აქ წერია: სახსოვრად ჩემ საყვარელ დედიკოს ავტორისაგან.

- შენ კი გენაცვალოს დედა! ხომ მოვესწარი, თუნდაც სიცოცხლის ბოლოს, რომ ერთი ნატვრა მაინც აისრულე. რომ გაიძახოდნენ კომუნისტები, არიქა ხალხში ამ ნაწარმოებების გაშვება არ შეიძლებაო, ხომ შეძლებულა?! - ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა მოხუცმა.

- ახლა სხვა დროა, დედა.

- მაინც როგორი?

- წერე და იკითხე, იკითხე და წერე. არავინ დაგიშლის.

- მერე რა ჰქვია მაგას?

- დემოკრატია.

- დემოკრატია კარგი რამ არის?

- ქვეყანაზე ზოგი რამ კარგია და ზოგი - ცუდი, გააჩნია როდის, სად და როგორ...

- მართალი ხარ, შვილო.

- აი, ეს წიგნი კი ჩემს პირველ მასწავლებელს წამოვუღე საჩუქრად. ნახე, რა დავაწერე ზედ.

- რა?

- ჩემს პირველ მასწავლებელს, ბაბო ბურჯანაძეს, პატივისცემით, ავტორისაგან.

- ძალიან გაეხარდება, რომ გაიხსენე.

- ხვალ დილით ადრე ავღებ, მზის ამოსვლამდე გავუყვები მინდვრებს, ჩავალ ღუმალაზე, გრიგოლას კარგად გავცურ-გამოვცურავ, მერე კი ავუყვები აღმართს ბაბო მასწავლებლისაკენ.

- დედა, ხომ იქნება ღუმალის ნაპირებზე შექერი აყვავებული? ჩვენი სოფლის სასაფლაოსთან რომ გამოვიარე, ისე ლამაზად ჰყვარდა იელი და ისეთი სურნელი იდგა, თავი სამოთხეში მეგონა, - ვტიტინებდი პატარა ბავშვივით ენაგაკრეფილი.

- იქნება, მაგრამ შენ, ამხნის კაცი რატომ უნდა წახვიდე ამხელა გზაზე? მისი სოფლიდან ისევ დადიან ჩვენს სკოლაში და მათ გავატანოთ.

- დედა, მე ჰქვარა რომ ვარ, მართლა მოხუცი ხომ არ გგონივარ? სულ კუნტრუშით შემიძლია აქედან მათ სოფელში გასვლა.

- არაა, შეილო, შენი წასვლა საჭირო. ხომ იცი, როგორია შენი მასწავლებელი? მიხვალ და შეწუხდება.

- უჭირს?

- ალბათ, უჭირს, მარტოხელა მოხუცია, თორმეტი ლარის იმედად დარჩენილი, რომელსაც ხან აძლევენ და ხან არა.

ცოტა ხანს ჩავფიქრდი, შემდეგ ბაბო მასწავლებლისათვის საჩუქრად წამოღებული წიგნი ჩანთაში ჩავდე.

- ახლა საუზმეს გავამზადებ, ალბათ, გზია კიდევ, - მითხრა დედამ და ბოსტნისაკენ წავიდა.

დედაჩემის მოსვლამდე, ჩვენი ოდის მეორე სართულზე ავირბინე, ოთახში შევედი, ძველი კარადის კარი გამოვალე და სათითაოდ გადავათვალიერე დედაჩემის ტანსაცმელი. გასულ წელს ჩემგან ჩამოტანილი ქოშები განჯინაში ისევ ხელუხლებლად იდო, თავსაფრებს ხომ თვლა არ ჰქონდა, ზოგი მთლად ახალი იყო.

- აუცილებლად წავალ ბაბო მასწავლებელთან, საჩუქრად დედაჩემისათვის ახლადჩამოტანილ ქოშებსა და თავსაფარს წავუღებ. ისედაც ბევრი რამ ჰქონია დედას. ბაბო მასწავლებელს კი შეიძლება საერთოდ არაფერი გაჩნია. აღარც კი მახსოვს

რამდენი ხნის წინათ მოუკვდა ქმარი, შვილებიც არა ჰყავს. ახალი ცელოფანის პარკი ამოვიღე. შიგ კოხტად ქოშები და თავსაფარი ჩავდე, ზედ წიგნი დავადე. პარკს თავი გადავუკეცი და იქვე დავდე მაგიდაზე, წასაღებად გამზადებული.

კოტა ხანში ბოსტნიდან დედამ ქორფა კიტრები და მწვანე-ლი ამოიტანა. სუფრა ეზოში მსხლის ქვეშ, ქვის მაგიდაზე გაფშალეთ, ჩემი განზრახვის შესახებ დედას ვუთხარი, გაეხარდა, მომიწონა.

საუზმის შემდეგ ისევ ავედი მეორე სართულზე, ბაბო მასწავლებელთან წასაღებად გამზადებული ცელოფანის პარკი იდლიაში ამოვიღე და კიბეზე დავეშვი.

- სად მიდიხარ? - მკითხა დედამ.
- ბაბო მასწავლებელთან.
- დროზე დაბრუნდი, - დამაწია თხოვნით.

ჩვენი სოფლის სასაფლაოდან დუმალამდე მე კი არა, ჩემი ბავშვობა ჩავიდა.

გრიგოლას წისქვილთან დოლაბის ხმაურმა გამომამეხიზლა. წისქვილის კართან მოხუცი მეგონა ისევ დამხვდებოდა, თეთრად შეფიფქული, თავჩალუნული, სამფეხა სკამზე მჯდომი, ჩაფიქრებული მეწისქვილე. შევცდი. კარს ბოქლომი ეღო. გული დამწყდა. დროს ბევრი რამ შეეცვალა და ბევრიც წაეღო. წისქვილის სათავეზე ავედი. არც ის აღარ ჰგავდა ჩემი ბავშვობისდროინდელს. წყლის პირას დიდი ლოდი დავინახე, რომელიც მთლად დაეფარა მომწვანო-მოყვითალო ხავსს. ზემოდან კი აყვავებული შქერის ტოტები დაჰყურებდა. ლოდზე დავჯექი და ჰაერში მოხტუნავე თევზებს დავუწყე ცქერა. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, თავი ზღაპარში მეგონა. მოპირდაპირე მხარეს ათი-თორმეტი წლის ბიჭები მოადგნენ. ისინი ჩემი ბავშვობისდროინდელ მეგობრებს ჰგავდნენ. რა კარგია აღამიანები რომ მეორედებიან-მეთქი, გავიფიქრე. შემდეგ წამოვდექი, გვერდით დადებული ცელოფანის პარკი ხელში ავიღე და პირველი მასწავლებლისაკენ ავუყევი აღმართს.

ჭიშკართან მისულმა, ყორის ძირას, საკმაოდ მოზრდილი კენჭი შევნიშნე. ხელში ავიღე და დავაკაჟუნე (ეტყობა ამ ხერხს

მეზობლებიც ხშირად მიმართავდნენ. ჭიშკარს საკმაო ფართობზე საღებავი ჰქონდა აცლილი მსგავსი ქმედებისაგან)

- ვინ ბრძანდებით? - მომესმა ეზოდან ბაბო მასწავლებლის ხმა.

- მე ვარ.

- ახლავე მოვალ, - იყო პასუხი.

კარი მოხუცმა ქალბატონმა გაძლიძო.

ნუთუ ასე შეიცვალა ბაბო მასწავლებელი? - გავიფიქრე და სიბერე შემეზიზნა.

- გამარჯობა, ბაბო მასწავლებლო!

- გაგიმარჯოს! - მითხრა და გულისყურით ამათვალ-ჩამათვალეირა.

მერე თვალებში ჩამაცქერდა და მკითხა:

- შენ ოთარი არა ხარ?!

- ოთარი ვარ, როგორ მიცანი, ბაბო მასწავლებლო?

- თვალებით გიცანი. მასწავლებელს იშვიათად ავიწყდება თავისი მოსწავლის თვალები, როგორ მოხდა რომ გამისხნე?

- საჩუქარი მოგიტანეთ, აი, ეს წიგნი მოგიტანეთ, ჩემი პირველი წიგნია.

ბაბო მასწავლებელმა წიგნი გამომართვა. არ გადაუშლია, ყდაზე დააკვირდა და დამარცვლით წაიკითხა ოთარი გე-ლა-შვი-ლი მთა-თხრო-ბე-ბი ორიათას ერთი წელი.

წიგნის ყდაზე ცრემლის ორი წვეთი დაეცა.

X X X

სოფელში ჩასვლიდან მეექვსე დღეს ქალაქში ვბრუნდებოდი. ავტობუსის გაჩერებაზე ბაბო მასწავლებელი დამხვდა პატარა კალათით ხელში. ერთმანეთი მოვიკითხეთ. გამიკვირდა მასწავლებლის ნახვა. მისი სოფლიდან ჩვენს გაჩერებაზე არასოდეს გამოდიოდნენ. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირებია, ავტობუსი ღრობზე მოვიდა. ბაბო მასწავლებელმა მთხოვა, პირველი მე ავსულიყავი და კალათი გამომერთმია. ასეც მოვიქეცი. კალათი მოხერხებულ ადგილზე დავდე და მასწავლებლისაგან მოგბრუნდი.

- არა, შვილო, მე არ მოვდივარ, ეგ კალათი კი ჩემგან შენს ცოლ-შვილს მიუტანე საჩუქრად.

ავტობუსი დაიძრა. მე ისე დავიბენი, რომ მასწავლებელს ვერც გამოვემწვიდობე და ვერც მადლობა გადავუხადე.

ნელი სვლით ვცილდებოდი ჩემი სოფლის სამანებს. მე ავტობუსის ფანჯრიდან ვიკვირებოდი. ჩემი მასწავლებელი დიდხანს იდგა გზატკეცილზე და ხელის ქნევით მემწვიდობებოდა.

ოჯახში დაბრუნებულმა, კალათის ტილო მოვხსენი, შიგ ცელოფანი იღო, ცელოფანში კი - ხუთი თავი ყველი.

## თოლია (ნამდვილი ამბავი)

- რა ვქნა, არ შემიძლია შენი შეველა, - ჩაილაპარაკა ილო ძიამ და ლეკვი ძველ ქსოვილში გაახვია.

- რას შვრები, ილო ძია? - ჰკითხა მეზობლის ბავშვმა.

- უნდა გადავსვა გიო. გუშინწინ ამ უბედურის დედა მანქანამ გაიტანა. დილით სამი ლეკვი უკვე მკვდარი დამხვდა. ეს ერთია მხოლოდ დარჩენილი.

- ნუ გადასვამ, ძია. მე წავიყვან, იქნებ გავზარდო.

- არ მგონია გადარჩეს, ჯერ თვალებიც კი არა აქვს ახელილი და ჭამაც არ იცის.

- მაჩვენე, ძია ილო.

- მოდი, ნახე.

გიომ ქსოვილი გადასწია და წამოიძახა:

- ამას თვალები ახელილი აქვს? რა ლამაზია! მე მომეცი, ილო ძია, იქნებ ვუშველო რამე.

- ეჰ, ჩემო გიო, შეველა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მეც ვუშველიდი.

- წავიყვან სახლში, თუ გადავარჩინე, ჩემი იყოს.

- როგორც გენებოს, მხოლოდ თუ მოკვდა აუცილებლად დამარხე, ყვაგ-ყორანს ნუ დააგლეჯინებ.

გახარებულმა ბავშვმა მომაკვდავი ლეკვით სახლისაკენ მოჰკურცხლა, გზად მამა შემოეყარა.

- რა გიჭირავს ხელში, შვილო? - ჰკითხა მამამ.

- ლეკვი, მამა.

- რა ლეკვი?

- ილო ძიამ მიჩუქა. აი, ნახე რა ლამაზია. სუფთა სისხლის პოინტერი. მინდორშიც კარგად ნადირობს და ჭაობშიც. იცი, როგორ გამოჰყავს ფრინველი წყლიდან? თან სახელი პოინტერი ქართულად ნაბუღს ნიშნავს.

- ეგ საიდან იცი?

- წიგნში მაქვს წაკითხული, ინგლისურად ასეა.

გიოს მამამ თავი გადააქნია და გაიფიქრა: კარგი ჯიშია, მაგრამ ძალიან პატარაა და ვერ გაზრდისო.

ბიჭმა სახლში მისვლისთანავე დედას საწოვარა და პენიცილინის ბოთლი სთხოვა. ბოთლი რძით აავსო, საწოვარა მთარგო და ლეკვს პირში ჩაუღღო. ლეკვმა საწოვარა არ მოწოვა. ბავშვმა ხვეწნა დაუწყო:

- მოწოვე რა! მოწოვე, თორემ აუცილებლად მოკვდები. მე კი არ მინდა რომ მოკვდე.

ლეკვმა თავი თათებზე დადო და საცოდავად აკრუტუნდა.

- მოწოვე რა! მოწოვე! - ისევ დაუწყო ხვეწნა ბავშვმა.

ლეკვი არა და არ წოვდა. გიო იბუღებულნი გახდა ძალით ჩაესხა პირში რძე. ლეკვმა რძე გადაყლაპა და ტუჩებიც ჩაიტლიკა. კიდევ ერთი ყლუბი, მხოლოდ ერთი. ეხვეწებოდა გიო და პირში ძალით ასხამდა რძეს. ასე ჩააყლაპა ლეკვს რამდენიმე გრამი.

- ახლა დაიძინე, დაისვენე, ჩემო პატარავ, საღამოს კი გავახშმებ, - უთხრა ლეკვს ბავშვმა და მისთვის სპეციალურად შერჩეულ რბილ ქეჩაზე დააწვინა.

- რა დავარქვა ახლა მე ამ ობოლს და გაჭირვებულს? - ფიქრობდა გიო.

- მოდი, ბახულას დავარქმევ. არა, არ მინდა ეს სახელი. შარკას დავარქმევ, არც ეს მინდა. რუსული სახელია. რუსი ხომ არ ვარ. რა დავარქვა? მოდი, ობოლას დავარქმევ. არც ეს მომწონს. მთელი სიცოცხლე ყოველი სახელის დაძახებაზე სევდა მოაწვება გულზე. მაშ, რა დავარქვა?

გიომ სოფლის ტბისკენ გაიხედა, სადაც თოლიები მოფრენილიყვნენ და ისე ლაღად დასრიალებდნენ ცაში, რომ თვალი ველარ მოსწყვიტა.

რა ლამაზები არიან! რა თავისუფალნი! ნამდვილად ბედნიერები არიან, როგორც უნდათ, ისე ცხოვრობენ. მოდი თოლიას დავარქმევ, ჩემის აზრით, არ იქნება ეს სახელი ურიგო. ეგება მათსავით ლაღი ცხოვრებაც დაებედოს.

საღამო ხანს გიო ისევ მივიდა ლეკვთან რძით სავსე ბოთლით.

- აბა ვივანშმოთ, ჩემო პატარა, იცოდე დღეიდან შენ გერქმევა თოლია. ღმერთს ვთხოვ, შენც თოლიასავით ლალი სიცოცხლე გქონდეს.

- დავიწყოთ ვანშამი, - თქვა გიომ და საწოფარა პირში ჩაუღო.

ლექვმა რამდენიმე ყლოუბი ჩაყლაპა და გაჩერდა.

- რაშია საქმე, ჩემო თოლია, დაილაღე? თუ დაილაღე დავისვენოთ. ჩვენი ნება არაა?

რამდენიმე წუთის შემდეგ გიომ თოლიას ისევ მიაწოდა საწოფარა და ლექვმაც გამოსწოვა. გახარებული ბიჭი მამასთან გაიქცა და ახარა ლექვის გადარჩენა.

- თუ ჭამს, აღარ მოკვდება, შვილო, ახლა შენზეა დამოკიდებული როგორ გაზრდი.

X X X

- ძია პავლე! - მოესმა მონადირეს ჭიშკრიდან ბავშვის ხმა.

- რომელი ხარ?

- მე ვარ, გიო.

პავლემ ეზოში ფუსფუსს თავი ანება და ჭიშკრისკენ გაემართა. ჭიშკართან თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი იდგა.

- ვინ გამოგზავნა, ბიძია?

- არავინ, მე თვითონ მოვედი.

- ვისი ბიჭი ხარ?

- გალაქტიონის.

- რა დაგაბარა მამაშენმა?

- არაფერი, მე მაქვს თვითონ თქვენთან საქმე.

- შენ გაქვს? გაქვს და მითხარი. შენი ხმალი და ჩემი კისერი, ჩემო გიო.

- ძაღლი უნდა დამიგეშოთ. თქვენზე ამბობენ კარგი მონადირეა და ძაღლსაც კარგად გეშავსო.

- გმადლობთ შექებისათვის, მაგრამ არ იტყვი, რა ჯიშისაა შენი ძაღლი?

- პოინტერი, ძია.

- კარგი ჯიშია.

- რომ დაგეშავთ, ძია პავლე, თქვენ ატარეთ სანადიროდ, მე ჯერ პატარა ვარ, თოფს, აბა ვინ მანდობს. სხვა დროს ჩემთან იყოს. ერთმანეთზე ვართ შეჩვეულნი, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

- დაგეშავთ, ჩემო გიორგი.
- შევთანხმდით, ძია პავლე?
- შევთანხმდით.

გიომ და პავლემ ხელი-ხელზე დაარტყეს.

X X X

გავიდა ხანი, თოლიას ქებას ხშირად გაიგონებდით მეზობელ სოფლებშიც. ბიჭსა და ძაღლს ერთმანეთის გარეშე იშვიათად თუ ნახავდით. პავლემ გიო სანადიროდ წაიყვანა, ბავშვი განცვიფრდა ძაღლის გონიერებით.

ერთხელ გიოს მამას მამიდაშვილი ესტუმრა და ძაღლი მოიკითხა. თოლიას ქებას მის სოფლამდეც მიეღწია.

- სადაა, გიო, შენი ძაღლი?
- პავლე ძისთან.
- რა უნდა შენ ძაღლს უცხო კაცთან?
- პავლე ძია უცხო არ არის, თოლია მან გაწვრთნა.
- ვერ მაჩვენებ შენს სანაქებო ძაღლს?
- როგორ ვერა. სალამოს ნადირობიდან დაბრუნდება და ნახავ.

- მომიწევს მაშინ დალოდება სალამომდე.

გიოს ეს სიტყვები ეკალივით მოხვდა გულზე და გაიფიქრა: რა უნდა ახლა ამ კაცს ჩემს ძაღლთან? ნეტავ თავი დაგვანებოს.

- გიო, გავცვალოთ მე და შენ ერთმანეთში თოფი და ძაღლი. იცი, რა კარგი თოფი მაქვს „იჟია“ ორლულიანი.
- მე თოფი არ მინდა. ძაღლი მირჩვენია, ჩემი გაზრდილია.
- ვითომ ვერ შევთანხმდებით?
- არაფერი არ მინდა მე, ჩემი ძაღლი უჩემოდ არსად არ გაჩერდება და არც ინადირებს.

- წავიყვან და ვნახოთ.

მართლა რომ გაატანოს მამამ თოლია რა გვეშველება მა-

შინ, ან ძაღლს, ან მე, - გაიფიქრა ბავშვმა.

სალამომდე სტუმარი ძაღლს ელოდა. მზის ჩასვლისას ჭიშკარზე თოლიას ბრჭყალების ფხაჭუნნი გაისმა და ბიჭიც ჭიშკრისკენ გაიქცა. ბიჭი და ძაღლი ერთმანეთს მოეფერნენ.

- მართლა რა კარგი ყოფილა? როგორ მომწონს ჩაღისფერი პოინტერი! - ჩაილაპარაკა კიკომ.

- ახლა, ჩემო ძმაო, დაიწყო სტუმარმა, ეს ძაღლი მე მომეცით. შენ ხომ მინც არ ნადირობ და ჯერ გიოც პატარაა. მე კი კარგ „იჟის“ გაჩუქებთ, ქორებს დააფრთხობთ.

- არა, ჩემო კიკილო, დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ ბავშვს და ძაღლს ისე უყვართ ერთმანეთი, რომ მაგათი დაცვილება დიდი ცოდვა იქნება. ნუ მთხოვ მაგას.

- არა, ძმაო! ეს ძაღლი ისე მომეწონა, რომ თუ არ გამატან, აუცილებლად დავკარგავთ ერთმანეთს.

- ხომ გითხარი, კიკილო, ეს ძაღლი ჩემი არ არის გიოსია თქო, - გაუმეორა გალაქტიონმა.

- გიოს მე მოველაპარაკე, შენ თუ თანახმა ხარ, - თქვა კიკილომ და ბავშვისაკენ შებრუნდა.

- გიო, არ მითხრა ახლა უარი, შვილო, თუ არა ძალიან მეწყინება.

- არა, კიკილო ძია, ვერ მოგცემ, ხომ გითხარი, ჩემი თოლია უჩემოდ არ გაჩერდება და არც ინადიროებს -მეთქი.

- შენ გამატანე და მერე ვნახოთ. ისე შევაყვარო თავი, რომ ორ დღეში საერთოდ დაგივიწყოს. ძაღლია, ადამიანი ხომ არაა?

- რაც არის, ის არის, მაგრამ მე ძალიან მიყვარს.

- არ გამატანთ და მე ჩემს სიცოცხლეში ამ ეზოში ფეხის დამდგმელი არა ვარ, ჩემო გალაქტიონ!

- გიო, შვილო, მივცეთ ძაღლი. ის უშენოდ მინც არ გაჩერდება და ისევ შენთან მოვა. ნუ დამაკარგვინებ ამ კაცს, ხომ იცი, როგორი ჯიუტია, თუ თქვა, კიდევ შეასრულებს, ვინ მყავს მაგის გარდა ახლო ნათესავი? ერთად გაზრდილებიც ვართ. ეს შენც კარგად იცი, შვილო. ძაღლის იმედიც მაქვს, აუცილებლად გამოექცევა, - დაარიგა გალაქტიონმა ცალკე გიო.

გიო დიდხანს უცქეროდა გზაზე დამდგარ კიკილოს და თოლიას.

X X X

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გიომ ჭიშკარზე თოლის ბრჭყალების ფხაჭუნის ხმას მოჰკრა ყური.

- მამა! მამა! ჩემი თოლია დაბრუნდა, ჩემი თოლია! - ყვიროდა ბავშვი და ჭიშკრისაკენ გარბოდა.

გაიღო თუ არა ჭიშკარი, ძალღი გიოს გულზე შეახტა.

- არ მიღალატე, ჩემო თოლია ხომ? არ გეწყინოს, იმ ჯიუტ კაცს რომ გაგატანე, ვიცოდი დამიბრუნდებოდი, მჯეროდა შენი!

ცოტა ხნის შემდეგ თოლია მოლზე დაწვა მოწყენილი. ეტყობოდა, ძაღლმა მთელი კვირა იღარდა ბავშვთან განშორება.

ჯერ კარგად გათენებული არ იყო, როდესაც ჭიშკარს კიკილო მოაღდა, თან თოლიაზე ლაპარაკობდა.

- რა მოურჯულბელი ყოფილა ეგ მგლის კერძი, ევა! როგორ არ ვეფერე, რა არ გაფუკეთე და მაინც ვერ შევიჩვიე.

- არ გაჩერდება შენთან ეს ძაღლი, ჩემო კიკილო, ვიცი მე, დაანებე თავი. ბავშვიც განიცდის, -სთხოვა გალაქტიონმა.

- არა, უნდა წავიყვანო, აუცილებლად შემეჩვივა, აბა, რას იზამს, - ეს თქვა კიკილომ და თოლიას სახრე მოუქნია. ძაღლი გადაირია.

- არ გცოდნია ძაღლის გაზრდა! ძაღლს ძაღლურად უნდა მოეპყრა. ვის რაში სჭირდება ძაღლის სიყვარული. ახლა, ჩემო ძმაო, გალაქტიონ, ერთი-ორი სახრე უთავაზე და მერე ვნახოთ, როგორ უყვარხართ. იცოცხლე ეს კი გამომყვეს ცუნცული-ცუნცულით უკან, ერთხელაც არ იზამს პირს აქეთ.

- კიკილო, თუ ძმა ხარ თავი დამანებე! ხომ ხედავ ძაღლი ველარ გიტანს, ბავშვიც ცოდოა, - სთხოვა გალაქტიონმა.

- არ გინდა, ძმაო, ჩემთვის და პირდაპირ მითხარი. რა საჭიროა ამდენი მიკიბ-მოკიბვა.

- დაანებე, ძია კიკილო, ჩემს ძაღლს თავი, მე ხომ ვიცი, ის უჩემოდ არსად არ გაჩერდება, - შეეხვეწა კიკილოს გიო.

- კარგი მაშინ, ამ ერთხელაც ვცადოთ, თუ კიდევ გამომეჩვა, აღარ წავიყვან. მხოლოდ ერთი-ორი სახრე უთავაზე გალაქტიონ, ცოტა რომ შეგიძულოთ.

ღარწმუნებულმა გიომ, რომ თოლია კიკილოსთან მაინც არ

გაჩერდებოდა, თვითონვე მოუბრუნებინა სახრე მამას. გალაქტიონმა თოლიას სახრე უთავაზა. ძალლი საერთოდ არ განძრეულა და არც დაუყეფია.

- მაგრად დაჰკარი, გალაქტიონ, მაგრად! ისე დაჰკარი, რომ სიმწრისაგან დაიგრინოს, - სთხოვა კიკილომ. გალაქტიონმაც უფრო ძლიერად დაჰკრა ძალღს სახრე, მაგრამ თოლია ისევ ქანდაკებასავით უხმოდ იღვა.

- კიკილო, წაიყვანე ეს ძალლი და თუ ისევ გამოგექცა, ნულარ მოხვალ წასაყვანად, გთხოვ ძმურად გამიგო!

მოულოდნელად თოლია უკანა ფეხებზე ჩაჯდა. ერთი ორჯერ ცას ახედა და საცოდავად აყმუვლდა. შემდეგ მარჯვენა წინა თათი პირში ჩაიღო და ვიდრე ჩვენ გონს მოვეგებოდით, მოჭმული თათი უკვე მიწაზე ეგდო. ძალღმა თათი მოიკვნიტა თუ არა, სევდიანად მოავლო თვალი ეზო-ყურეს, ერთხელ ჩვენც შემოგვხედა, მერე სამ ფეხზე დადგა და ბუჩქნარისაკენ წავიდა უხმოდ. ამის შემდეგ თოლია აღარავის უნახავს.

## ეპილოგი

გვიან შემოდგომით ბავშვები კუნელის შესაგროვებლად წავედით. მე ჩუმად მივუყვებოდი აღმართს ბუჩქნარისაკენ და თოლიაზე ვფიქრობდი. ის პატარა ორი წლის წინ, ალბათ, ამ ბუჩქნარში უნდა მომკვდარიყო. ფიქრებში გართული დიდი კუნელის ქვეშ მივედი. ღმერთო ჩემო! ხის ქვეშ ძაღლის თეთრი ძვლები ეყარა და ზედ ჩემი თოლიას საყელო ედო.

# დედას გეფიცები

- სად მიდიხარ, ადამიანო?
- გარეთ, - მოკლედ უპასუხა ხელჯოხიანმა მოხუცმა მეუღლეს.
  - შეიძლება, ბესარიონ, ასე აღრიხანდ შენი გარეთ გასვლა? ხომ არ დაგავიწყდა წუხანდელი ღამე. ყოველ წუთს, რომ გაიძახოდი, არიქა სახსრები მტკივაო.
  - არც წუხანდელი ღამე დამვიწყებია და არც ის დრო ჯიქს რომ მადარებდი.
  - მეუღლის პასუხმა მარიამს ახალგაზრდობა გაახსენა.
    - არც მე დამვიწყებია, ბესარიონ, ის წლები შევლს რომ მადარებდი, მაგრამ...
    - ჰო და ნურც დავივიწყებთ.
    - მერე და როგორ?
    - როგორ?... როგორ და უბრალოდ, დღეს მე შენ ძველ-ბურად მარინეს დაგიძახებ, შენ კი ბესო დამიძახე და არა ბესარიონი.
    - მერე რას მოგვცემს ყოველივე ეს?
    - ბევრს არაფერს, მაგრამ მაინც ამით დავიწყოთ. გახსოვს ახალგაზრდობაში როგორ არ გიყვარდა, როცა მარიამად მოგიხსენიებდნენ. არც მე მომწონდა ბესარიონს თუ ვინმე დამიძახებდა.
    - მართალია, ასე იყო, მაგრამ ეს ორი სიტყვა გაგვაახალგაზრდავებს?
    - ხომ არ დაგავიწყდა მარინუშკა, უზენაესის ნათქვამი?
    - რომელ ერთზე მეკითხები, ბესიკო? მან ბევრი რამ თქვა.
    - რა და, ყველაფერი სიტყვით იწყებაო. ჰოდა, მოდი, ჩვენც სიტყვით, ამ ორი სიტყვით დავიწყოთ ახალგაზრდობაში დაბრუნება.
    - მაინც როგორ? ვერ გავიგე გენაცვალე.
    - როგორ და დღეს მე, ბესო, ველი მარინეს, პაემანზე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ. სკვერში დღის ათ საათზე.

თანახმა ხართ?

- არა, დღეს დილის ათ საათზე გამოცდა მაქვს.
- მატყუებ?

ქალმა უპასუხოდ დატოვა ბესოს კითხვა.

- რა ხდება, მარინე? განა ყოველთვის უნდა მახვეწინო?
- კარგი, მოვალ, აუცილებლად მოვალ, - თქვა მარიამმა და მეუღლეს ხელი გაუწოდა. კაცმა ქალის ხელს თავისი მარჯვენა ქვევიდან ნაზად ამოსდო, ტუჩებთან მიიტანა და მთელი გრძნობით ეამბორა.

\* \* \*

მოუთმენლად ელოდა მოხუცი ათი საათის შესრულებას და იმედით გაჰყურებდა უნივერსიტეტის ჭიშკარს, მაგრამ მარინე არა და არ ჩანდა.

- ისევ ძველებურად, არა, - ჩაიბუზღუნა მოხუცმა და ფიქრი განაგრძო.

- მოდი, ორ წუთს არ გავიხედავ ჭიშკრისაკენ, ამ დროში შეიძლება ჭიშკრიდან ჩემამდე მოსვლაც კი მოასწოროს, ძველებურად უკნიდან მომეპაროს და თვალებზე ხელი ამაფაროს. ოჰ, ნეტავ ასე მოხდეს... - გაიფიქრა მოხუცმა და ჭიშკრის მოპირდაპირე მხარეს დაიწყო ცქერა.

- მოდი, ასამდე დავითვლი და მერე გავხედავ ჭიშკარს. არა, რატომ ასამდე, ვიდრე არ მოვა, მანამდე არ შეგწყვეტ თვლას. ერთი, ორი, სამი, ოთხი,... ხუთასი, ხუთას ერთი, ხუთას ორი, ხუთას სამი,... ექვსასი. - ის იყო ექვსას ერთიო უნდა ეთქვა მოხუცს, რომ მხარზე ვილაკამ მოუთათუნა.

მოვიდა, გაუხარდა ბესოს, მაგრამ ეწყინა, რომ მარინემ ძველებურად თვალებზე ხელი არ ააფარა.

- მარინე, რატომ ძველებურად არ... - ამის თქმა მოასწორო მოხუცმა შებრუნებამდე. შებრუნდა და თავზედამდგარი თანაჯგუფელი გიორგი დაინახა.

- ვაჰ, გიორგი! საიდან გამომეცხადე, ბიჭო?! შენც აქ ჩემსავით გარდასულ ახალგაზრდობას ხომ არ დაეძებ.

- დიახ, ხელჯოხყავარჯნიანი უფრო წარსულში ვმოგზაურობთ,

ვიდრე მომავალში. ეს ჩვენი თვისებაა, ბესარიონ ბატონო!

- რატომ ბესარიონ? დღეს ბესო ვარ. დღეს ბესო მინდა ვიყო და გთხოვ, ასე მომმართო.

- რატომ მხოლოდ დღეს და არა ყოველთვის?

- ყოველთვის?.. განა ყოველთვის შესწევს უნარი, მეგობარო, ადამიანს რეალობიდან თავის დაღწევისა! ამის უნარი რომ გვქონდეს, ალბათ არც ერთი ჩვენგანი აწმყოში არ ისურვებდა ცხოვრებას და წარსულში გადაბარვდებოდა.

- მართალი ხარ ძმაო, ჩემში, ამ ხელჯოხიან ბერიკაცში, ისევ მკვიდრად ზის ის გრუსათმიანი მერცხალა ბიჭი, ვისაც თქვენ, ჩემი თანაჯუფელები, შავ გოგიას ეძახდით ხუმრობით. აქ როცა ვარ თითქმის ცხადლივ გხედავთ ყველას, გხედავთ და იცი მერე როგორებს?

- როგორებს გვხედავ, შავო გოგია?

- ზუსტად ისეთებს სამოცი წლის წინ რომ იყავით. ჩემს თავსაც ცხრამეტი-ოცი წლის შავ გოგიად ვხედავ თქვენს შორის, - მითხრა გიორგიმ და გაჩუმდა. პაუზით ვისარგებლე და ისევ უნივერსიტეტის ეზოს ჭიშკრისკენ გავაპარე მზერა.

- ბესო, რაღაც მოუსვენრობას გატყობ, ელოდები ვინმეს?

- ველოდები, მაგრამ იგვიანებს.

- ვის ელოდები? - დაინტერესდა მოხუცი.

- მარინეს ველოდები. პაემანზე მყავს დაბარებული.

- ისევ ძველებურად განერვიულებს ბიჭო?

- მანერვიულებს, აბა, როგორ? ხომ გაგიგონია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

- მაშინ, აქ მესამე ზედმეტია ჩემო ძმაო, წავედი. რომ მოგა მოკითხვა გადაეცი, - თქვა მოხუცმა და ხელჯოხის ბაკუნით ბაღის სიღრმეში გაუჩინარდა.

ბესარიონმა ერთხელ კიდევ დახედა საათს და შეცბა

- ღმერთო ჩემო! დაგვიანება კი სჩვევია, მაგრამ ასეთი? უკვე მთელი ორმოცი წუთი გადააჭარბა.

აფორიაქებული მოხუცი ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოხტა მერხიდან, უნივერსიტეტის ეზო ერთ წუთში გადაკვეთა და ატენის ქუჩის აღმართს აუყვა. ეზოში შესულმა სა-

კუთარ სადარბაზოსთან შეგროვილი მეზობლები რომ დაინახა ელდისაგან ლამის ჩაიკეცა.

- ხომ მშვიდობაა, მეზობლებო?! - იკითხა მოხუცმა.

- მშვიდობაა, ბატონო ბესარიონ, არ შეგეშინდეს. ქალბატონ მარიამს კიბეზე ჩამოსვლისას ფეხი დაუცურდა. საშიში არაფერი უნდა იყოს.

- ახლა სადაა?! - აღარ დააცალა მოხუცმა სათქმელი მეზობელს.

- ჩვენმა მეზობელმა, ლევან ექიმმა თავისი მანქანით სამსახურში წაიყვანა რენტგენზე სურათის გადასაღებად, რაც არ უნდა იყოს მაინც ასაკშიაო.

- ვაი ჩემს დღეს! - შემოიკრა თავში ხელი ბესარიონმა.

- აი ლევანის მანქანაც გამოჩნდა! - შესძახა ერთ-ერთმა მეზობელმა.

- მანქანას გაჩერება არ აცალა მოხუცმა, ზედ მივარდა და ლევანს ჰკითხა:

- რაო შვილო, ხომ არ დავიღუპე?

- ყველაფერი კარგადაა, ძია ბესარიონ. რენტგენმა ოდნავი ბზარიც კი ვერ აღმოუჩინა მარიამ დეიდას. ქირურგი ხომ ლამის გადაირია და გადაირია. ამ ხნის ქალის ასეთი მაგარი ძვალიო - სულ ასე გაიძახოდა. ახლა კი ჩაიბარე შენი მეუღლე ძია და დაარიგე, მეორედ ხტუნვა-კუნტრუმი რომ არ დაიწყოს კიბეზე ჩამოსვლისას, - გაეხუმრა ექიმი.

- შენ გაიხარე, შვილო ლევან! - თქვა მოხუცმა, მეუღლისკენ შებრუნდა და ხელი ჩაჰკიდა. მოხუცები ასე ხელიხელჩაკიდებულნი მძიმე ნაბიჯით აჰყვენენ კიბეს. სახლში შესვლისთანავე პირისპირ დასხდნენ, ერთხანს უხმოდ უჯჭქერდნენ ერთმანეთს. სიჩუმე კაცმა დაარღვია და მეუღლეს ჰკითხა:

- მაინც რა მოხდა, მარიამ?

- მარიამ კი არა მარინე, აკი შევეთანხმდით...

- მაპატიე, მარინე!

- ბესიკო, მართალი თუ გინდა იცოდე, გეტყვი.

- თქვი გენაცვალე, რად დამტანე კაცი.

- კიბეზე, ჩემო კარგო, ისე მსუბუქად, ისე ნარნარით და-

ვუყევი, როგორც პაემანზე მიმავალ ქალს ეკადრებოდა, - თქვა მარიამმა და გადაიკისკისა.

- მერე, მარიამ?

- მერე? მერე მოხდა ის, რაც მოხდა. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. შენ ის მითხარი, როდის აპირებ ჩემთან მომავალ პაემანს.

- ხვალ, მარინე, ხვალ ვაპირებ, მხოლოდ გთხოვ აუცილებლად მოდი, არ მომატყუო. ხომ არ მომატყუებ?

- არა, არ მოგატყუებ. აუცილებლად მოვალ.

- მაშინ დედა დაიფიცე.

- დედას გეფიცები.

## შეხვედრა დიდუბის სადგურზე

- ნეტავ რად მიცქერის ასე დაჟინებით, ვითომ პირველად ნახა შარვალზე ტალახშესხმული ადამიანი!

- მთლად არ გამსვარა იმ თავხედმა, არ ამომავლო კაცი შავ ტალახში და თითქოს არაფერიო, ისე გააგრძელა გზა. თუმცა რა ექნა, ახლა ისეა გზები ჭიათურაში გაფუჭებული, რომ ორმოებზე ბორბლების აცილება კაცს კი არა, ეშმაკსაც გაუჭირდება, - გავიფიქრე და ისევ გავაპარე თვალი გაჩერებაზე მელიის ქურქში გახვეულ, ჩემკენ მომზირალ სათვალისანი ქალბატონისაკენ.

- ისევ მიცქერის, ნეტავ სხვა ხომ არაფერი მჭირს დასვრილი შარვლის გარდა? - დავეჭვდი და ზურგი ვაქციე მას.

გუშინდელი დღე გამახსენდა. საოცარი დღე იყო. დილით მშვენიერი ამინდი საღამოს გადაირია. კიდეც კარგი, არ დავიზარე და ჩასვლისთანავე შემოვირბინე მონატრებული მინდვრები.

ეჰ, როგორ გამიტაცეს მოგონებებმა ჩვენი კალოს დანგრეულ კედელთან რომ ჩამოფეჭი და ლალას სახლოს გავხედე, ყოველი წვრილმანი გამახსენდა. რა ცუდია წარსული რომ არასოდეს მეორდება. ნეტავ ახლა თუ მაინც გავუმხელდი ლალას სიმართლეს, ახალგაზრდობა რომ დაგვიბრუნდეს? - ვკითხე ჩემს თავს და იმწამსვე ვუპასუხე:

არა! ნამდვილად არ ვიცი, გავუმხელდი თუ არა, მაგრამ ახლა, ამ წუთას რომ შემხვდეს, თავს ვერ შევიკავებ, ალბათ, და აუცილებლად ვეტყვი, რომ მე ის ძალიან მიყვარდა, რომ მოვატყუე, როცა ვუთხარი არ მიყვარხარ -მეთქი, არც იმას დაფიქვავ, რომ ახლაც მიყვარს. ვითომ რატომ არ უნდა იცოდეს, რა არის ამაში ცუდი?

ფიქრებში წასულს ქურქიანი ქალბატონი გამახსენდა, მისკენ შევბრუნდი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი დიდი ხნის წასული იქნებოდა, შევცდი, ქალბატონი ისევ იმ ადგილას იდგა და მე მიცქერდა.

რატომ მიყურებს, რითა ვარ სხვისგან გამორჩეული? თუშეცა რა?... უნდა და მიცქიროს. მაგის ნებაა, ღმერთმა ხელი მოუშარათოს, - გავიფიქრე და ისევ შევბრუნდი.

ტროტუართან ახლოს სამარშრუტო ტაქსმა ჩაიქროლა, წყლიან ორმოში ბორბალი ჩაარტყა და ჭუჭყიანი წყალი ჩემს კაკლითა და ლობითი საფსე ტომრებს გადაასხა.

- ეს მაკლდა ახლა მე? იქ ჭიათურაში ვილაცა შერეკილმა მძლოლმა მომრთო და მომკაზმა. აქ კი - ამ უღმერთომ.

- ოჰ, ნეტავ კი არ წამომელო ეს დალოცვილი კაკალი და ლობიო. აქვს კი მადლი ასე ტანჯვით ჩამოტანილს? - წავიწუწუნე და ირიბად გავხედე ტომრებს.

- ამისთანა ცხოვრების დედაც... - ჩავილაპარაკე ჩუმად. მერე თავს შემოვუძახე არ გეკადრება წუწუნი -მეთქი და ისევ ჩემი სიჭაბუკის წლებს დავუბრუნდი ფიქრებით.

გამახსენდა ლალას ჭიშკარი. რამდენჯერ გამიკეთებია მის რიკულეებში ყვავილი და დამიტოვებია ნიშნად ჩემი იქ ყოფნისა. მაშინ მეგონა, რომ ჭიშკარიც ელოდა ჩემს გამოჩენას და თითქოს უხაროდა ჩემი მისვლა. ეჰ, სხვა დრო იყო მაშინ და სხვა ვიყავი მეც, წუხელ რომ მივხვდი თოვლის გამო გამოსაქცევად გამიხდებოდა საქმე და უნახავი დამრჩებოდა ლალას ეზო-ჭიშკარი, ყოველგვარი რილის გარეშე წავედი განთიადისას მათ სანახავად. ვნახე კიდევ. ისე კი სჯობდა არ მენახა, - იქ სიჩუმე მეფობდა. ჭიშკარიც აღარ იყო ისეთი, როგორც მე მახსოვდა. უნდა ვაღიარო, წუხელ პირველად მივხვდი ლალას ჭიშკარი ჩვეულებრივი რომ ყოფილა და არა ისეთი, როგორც მე მეგონა სიჭაბუკეში.

ხშირად გამიგონია, დროს ყველაფერი მიაქვს და ყველაფერს კურნავსო. არა, არ უნდა იყოს მთლად ასე. დრო გულის ყოველთვის ვერ განკურნავს და ვერც მეხსიერებიდან ამოშლის იმას, რაც გულის არ უნდა რომ ამოიშალოს. გული უფრო ძლიერია დროზე, ყოველ შემთხვევაში ჩემი გული ასეთია. თქმა რომ არის - გულმა ვერ მომითმინაო, - მართალი ყოფილა. დილით გულმა ვერ მოითმინა ლალას მონატრება, წამომავლო ჭალარა კაცი და თოვლიან ღამეში მიმიყვანა მის ჭიშკართან.

ჩვენში დარჩეს და ნამდვილად შეემეცოდა ჩემი გული. ძალიან განიცადა ის სამარისებული სიჩუმე ეზოში რომ დახვდა. მას ხომ სხვანაირი ეზო და ჭიშკარი ახსოვდა. ხანდახან მიფიქრია, ადამიანის გული და გონება ერთმანეთის მტრები არიან -მეთქი - ეჰ, მართლაც რომ გონება ხშირად ჩაგრაგვს გულს. ეს მიგნება მაინცდამაინც უსაფუძვლო არ გეგონოთ. თვითონ ჩემი გულისა და გონების მაგალითზე დავადგინე. გული სულ ლალა-საკენ მიიწევდა, გონება კი უკან მიჰკიოდა: -რას ერჩი, შე შეჩვენებულო, მაგ ფერიასავით გოგონას, ეგ გაუძღობს შენ აწეწილ ცხოვრებასო? დაუჯერა ჩემმა გულმა ჩემსავე გონებას და დამაკარგვინა ლალა. არა, აუცილებლად ვეტყვი ლალას, თუ ოდესმე შევხვდი, სიმართლეს. ეჰ, შენ რა გითხარი გონებავ, რომ ანგარიშის მეტი არაფერი გაგეგება და შენი აკვიატებული თვისებებით ხშირად აიძულე ადამიანს თქვას უარი მასზე, რაც გულით უნდა.

ისევ ჩაარტყა ორმოში გამვლელმა ავტობუსმა ბორბალი. მე ინსტიქტურად ტროტუარის სიღრმეში გადავხტი. გაწუწუვას გადავრჩი და ჩემი თავი შევაქე, - ყოჩაღ ბატონო კონსტანტინე, ისევ შეგძლება ეფექტური ნახტომის გაკეთება -მეთქი. ჩემი ახალგაზრდული ნახტომით კი დავრჩი ნასიამოვნები, მაგრამ ეს ტკბილი ფიქრები რომ დამიფრთხო იმ უპატრონომ?

ისევ გამახსენდა მელიის ქურქში გახვეული სათვალაიანი ქალბატონი და იქით გავიხედე, სადაც ის იდგა. გული დამწყდა რომ ვეღარ დავინახე.

ალბათ მასაც მოსწყინდა ჩემ შარვალზე ჭიათურის შავი ტალახის ცქერა და წავიდა -მეთქი, - გავიფიქრე.

- ისე, ჩვენში დარჩეს და რალაც საეჭვოდ კი მიცქერდა, ასე არ იყო? - დავეკითხე ჩემს თავს.

- ასე იყო, ასე. - მიპასუხა მანაც.

- რატომ იყო ასე?

- ეჰ, კოტე. ვერ მიხვდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ქალბატონი?

- ვერა, ვერ მიხვდი, - კითხვითვე მიპასუხა ჩემმა თავმა.

- ჭიათურელი იქნებოდა ბიჭო, დაინახა მშობლიური ტალ-

ახი და ველარ მოსწყვიტა თვალი. რას ფიქრობ, რომ ფიქრობ, სწორედაც ტალახს ვერ მოსწყვიტა თვალი, თუ არა შენ რა საცქერო ხარ, შე თმაგათეთრებულო, შენა.

- რას ამბობ, ჭიათურის შავი ტალახი მჯობს მე?!

- შენისთანას ათასს ხედავს დღეში ის ქალბატონი. ჭიათურის ტალახი კი ათას დღეში შეიძლება ერთხელაც ვერ ნახოს. შენ და შენისთანები უცხონი ხართ მისთვის. ის ტალახი კი მისია, მშობლიური, მისი სულის ნაწილია. დამიჯერე ასეა ეს, ჩემო კონსტანტინე ბატონო!

გზას გავხედე, ორმოცდაათ მეტრში ცისფერი მიკროავტობუსი გამოჩნდა წარწერით რუსთავი - თბილისი.

ფიქრს თავი ვანებე და ტომრებს დავავლე ხელი. მიკროავტობუსი გაჩერდა. კარი გაიღო თუ არა კაკლით სავსე ტომარა შევისროლოე შიგ. კაკალმა გაიჩხრიალა და მგზავრებსაც დისკომფორტი შეექმნათ. ტომარას ადგილი მივუჩინე და ისევ ჩამოვედი მანქანიდან, ლობიოს ტომარას ხელი ჩავავლე, ჰობ - უნდა დამეძახა და ტომარა კაკლის ტომარასთან მესროლა, რომ ხმა შემომესმა:

- კოტე, არ წახვიდე, მე ლალა ვარ.

მარჯვნივ გავხედე, ჩემგან სამი-ოთხი მეტრის დაშორებით მელოის ქურქიანი ქალბატონი იდგა.

- მე ლალა ვარ, -გაიმეორა მან.

სისხლი გამეყინა ძარღვებში, წამიერად აზროვნების უნარი დავკარგე, მაგრამ ისევ ლალას ხმამ გამომაფხიზლა.

- ჩამოიდე, კოტე, ტომარა, - მთხოვა მან.

მე რობოტივით უხმოდ გავიწვდინე ხელი მიკროავტობუსის კარისაკენ. მგზავრებმაც ტომარა სიამოვნებით მომაწოდეს.

ლალა უხმოდ უცქერდა ჩემს მოქმედებას.

- მე სოფელში ვიყავი ლალ, გუშინ წავედი, წუხელ თოვლი მოვიდა, ზუსტად ისეთი ჩვენს დროს რომ მოდიოდა -ხოლმე. ვიფიქრე გზები ჩაიკეტებო და იძულებული გავხდი ამ დილით ისევ დავბრუნებულიყავი.

- ვიცი, სოფელში რომ იყავი.

- საიდან იცი?

- შენს შარვალზე შესხურებულმა ჩვენებურმა ტალახმა მითხრა, - ღიმილით მიპასუხა ლალამ.

- ჩვენებური ტალახი სულ სხვაა, - გავეხუმრე მეც.

- მაინც როგორია?

- როგორია და ერთგული, ერთხელ თუ მოგეწება, მერე ძალიან დიდხანს აღარ გცილდება მისი კვალი, - ორივემ გულიანად გავიციინეთ.

- კოტე, აღარ იტყვი როგორ ხარ?

- ჯერ შენ თქვი, - დაეუბრუნე კითხვა.

- მე კარგად ვარ.

- გემჩნევა.

- კოტე, შენ ისევ შეგრჩენია ოხუნჯობის უნარი.

- ოხუნჯობის უნარი და სხვა აღარაფერი? - გავეხუმრე ისევ.

- როგორ არიან სოფელში? როგორ არის ჩემი სახლი, ხომ არ გაგივლია ჩვენკენ?

- მე ყოველ ჩასვლისას მივდივარ შენს სახლთან, - ლალამ შემომხედა.

- დიახ, ყოველთვის მივდივარ. ახლაც გამთენიისას მივედი. ისევ მივიტანე წინა დღით დაკრეფილი ყვავილების თაიგული. შენს ეზოში სიჩუმე მეფობდა ლალა, სახლის სახურავზე ჩუმად ცვიოდა თოვლის ფანტელი. მე კი ვიდექი და გელოდი, როდის გააღებდი სახლის კარებს და როდის ჩამოირბენდი კიბეზე. შენ კი არა და არ ჩანდი. ყვავილები ჭიშკართან დაგიტოვე და გულდაწყვეტილი გაფუყევი ორღობეს. ისე მივედი ჩვენ ცაცხვთან, რომ ერთხელაც არ ამიწევია თავი. დიდხანს გელოდი იქ და შენი ჭიშკრისაკენ ვიყურებოდი. ამ დროს ყველას და ყველაფერს ეძინა, ლალა. ჩემსა და თოვლის ფანტელების გარდა. მე გელოდი, გელოდი უიმედოდ, მაგრამ მაინც გელოდი.

- შენ მატყუარა ყოფილხარ, კოტე! - მე გავჩუმდი.

- შენ...

მეტის თქმა ვეღარ შეძლო ლალამ. სათვალე მოიხსნა და ცრემლი მოიწმინდა.

## დილა მშვიდობისა, ჩიკიტო !

მეტროს ვაგონში, ჩემს გვერდით მჯდომმა უცნობმა მამაკაცმა, დიპლომანტი გახსნა, ბროშურა ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო. არ იქნა და არ მოისვენეს ჩემმა თვალებმა, ვიდრე ქურდულად არ დახედეს გადაშლილ ფურცლებს. დახედეს და შეკრთნენ. ასოებმა ჩემი ქართული წარმომავლობა გამახსენა. თვალი ვერ მოვწყვიტე მათ, თუმცა ერთი სიტყვის წაკითხვაც ვერ მოვასწარი.

მეტრო ნოვოკუზნეცკაისთან უცნობმა ბროშურა დაკეცა, ჩანთაში აღარ ჩაუდევს, უბრალოდ ხელში დაიჭირა და წამოღვა. ისევ გავაპარე თვალი ბროშურის ყდისკენ და ძლივს წავიკითხე „მთები“. გამიხარდა, რომ ჯერ ისევ არ დამვიწყებოდა მამისაგან ნასწავლი ანბანი. უცნობი ვაგონიდან ჩავიდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემს ახლობელს დავცილდი. ვინაჲ, რატომ არ გამოველაპარაკე მეთქი. ვაგონის კარები ხმაურით დაიხურა და ბორბლებიც რიტმულად ახმაურდნენ რელსებზე.

ეჰ, როგორები ვიყავით ადრე! ჩავიდოდით თუ არა მე და მამა ბებიასთან სოფელში, იმ წუთში შეიქნებოდა მეზობლების ერთმანეთთან გადაძახილ-გადმოდახილი. მართას დათუნა ჩამოსულა ბიჭთან ერთად. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მეზობლები, მოჰქონდათ და მოჰქონდათ მოსაკითხი კალთით და კალათით. ხილის მთებს მიდგამდნენ, არიქა და მოსკოვში არ გექნებო. რა დამავიწყებს ყოველივე ამას. მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა მამა მყავდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ერთხელაც კი ვერ მოვახერხე ჩავსულიყავი ჩემიანებთან. ისე დამარხეს ცხონებული ბებიაჩემი და ბაბუაჩემი, რომ დედას გულშიაც არ გაუვლია დაკრძალვაზე ჩემი ჩაყვანა. თუმცა მეც ვარ დამნაშავე, ნუთუ სამი ათეული წლის მანძილზე ერთხელ მაინც არ შემეძლო ჩავსულიყავი სამშობლოში.

- გაჩერება „რიგის ვაგზალი“ - გაისმა ხმა, რომელმაც ფიქრებიდან გამომაფხიზლა. ვაგონიდან გამოსული სწრაფი ნაბიჯით გავემართე სამსახურისკენ. მისაღებში ჩემი პირადი

მღვიანი შემომეგება, მივესალმე და გავეხუმრე:

- შენ, ნონა, თუ იცი, ქართული სახელი რომ გქვია?
- არა, არ ვიცი!
- როგორ არ იცი, მსოფლიო ჩემპიონი ნონა მაინც არ გავიგონია?
- როგორ არა.
- მერე?
- არ ვიცი, მაგაზე არასოდეს მიფიქრია.
- არ გიფიქრია და შემდეგში იცოდე, შენ ქართველ გონებს სახელი მოჰპარე.
- დამიჭერენ?
- რატომ უნდა დაგიჭირონ?
- რომ ვიქურდე.
- არა, არ დაგიჭერენ, მე გიშველი, მხოლოდ ერთი პირობით.

- რა პირობით?

- პირობა ასეთია; მე თორმეტი საათიდან სამ საათამდე კაბინეტში ჩავიკეტები. შენ კი ვინც არ უნდა მოვიდეს, უთხარი, რომ აქ არა ვარ.

- კარგი, მაგრამ... - თქვა ნონამ.
- რა, მაგრამ... თქვი, რისი თქმაც გინდა?
- როგორ თუ რისი? წელან მითხარი იქურდო, ახლა კიდევ უნდა მოიტყუო, ვინდა მითხოვს ქურდსა და მატყუარას, გელა დავიდოვიჩი, დავრჩი გაუთხოვარი და ესაა.

ამ სიტყვებზე მე ხმამალა გავიციენ, ნონაც ამყვა, ასე რომ, დღე სიცილით დავიწყეთ.

პირობის თანახმად, კაბინეტის კარი ჩავრაზე. მაგიდის ბოლო უჯრას გასაღები მოვარგე და გამოვადე, გაყვითლებული სურათები ამოვალაგე, მაგიდაზე გავშალე, შემდეგ ოდნავ უკან დავიწიე და ზედ დავხედე. ერთ მაგიდაზე იყო დატეული მთელი ჩემი ბავშვობა.

ბაბუაჩემის ოდა სახლის სურათი მოვძებნე და მაგიდის ზემო მარცხენა კუთხეში მივუჩინე ადგილი. თვალგაუტეხლად დავცქეროდი სურათზე, ოდის წინ, ჩვენი აყარო\* მსხლის ჩეროში

მჯდომ ბებია-ბაბუას და მათ შორიასლოს მოსეირნე გაჯგიმულ, თავაწეულ, მუდამ თავმომწონე, ჩემს საამაყო მამალს.

- აუჰ, როგორი მოჩხუბარი იყო! თუ მეზობლის მამალი გაბედავდა ჩვენს ეზოში გადმოსვლას, გადმოსვლას კი არა, ჩვენს ლობეზე შემოჯდომასაც კი, აუცილებლად შავი ღლე დაადგებოდა, ბიბილოდაუსისხლიანებელი ვერ გადარჩებოდა. ბოძთან ჩვენი ფინია წამოწოლილიყო და ყურდაცქვეტილი გას-ცქეროდა ეზოს. რა სასაცილო იყო ეს ერთი ციციქნა ძაღლი, ეზოს ბატონ-პატრონად რომ მიაჩნდა თავი.

ამ სურათზე კი მე და ბებია ვართ ერთად. ჯერ ისევ ერთი ციციქნა, ნახევრად ტიტლიკანა. ბებიას მარწყვით საგსე ჯამი უჭირავს ხელში, მე კი ხელები ჩამიყვია შიგ და ცხვირპირის საკმაოდ მოთხუბნაც მომისწრია უკვე. აქ კი მე და ბაბუა ვართ აივანზე კულმაკრატელებთან. ნეტავ თუ ისევ იკეთებენ ბუდეს ჩვენს აივანზე? ან კი არსებობს კიდევ ჩვენი სახლი?

ამ სურათზე ჩვენი სოფლის წყაროა, წყაროსთან გოგო-ბიჭები მოგროვილან, მე ხელში პატარა ღოჭი მიჭირავს, ალბათ ბაბუასათვის ცივი წყალი უნდა წავიღო. აქ უკვე დიდი ბიჭი ვარ, ურმის კოფოზე შემომჯდარი. ხარებს მივერეკები. ამ სურათზე ბებია და ბაბუა გვაცილებენ მე და მამას მოსკოვში. ეს ხომ ჩემი ბოლო სურათია სოფელში გადაღებული. ამის მერე მე იქ აღარ ვყოფილვარ... დავიკარგე.

როგორ თუ დავიკარგე? რა ეშმაკმა მათქმევინა ეს სიტყვა?! ამ ზაფხულს აუცილებლად ჩავალ მამაჩემის ნაფუძარზე... - შევუტეე ჩემს თავს და ბაბუაჩემის ოდის სურათს დავხედე.

რატომ მოგიწყენია, ჩემო ფუტე-ჭერო? - ვკითხე და და-ჟინებით დავაცქერდი. ის ღუმდა, პასუხი არ გამცა.

- ვიცი, რატომ არ მცემ პასუხს, ვიცი, როგორ არ ვიცი, მე ხომ შენ მიგატოვე, გულიდან სიტბო წავართვი და სიცივე ჩავისახლე. დამნაშავე ვარ და კიდევ განვიცდი. ერთხელ, დიდი ხნის წინათ ერთ ქართველს შევხვდი და რომ ვუთხარი, მეც ქართველი ვარ-მეთქი, გაეცინა და იცი რა მითხრა? შენ ძმაო, „პივით“ სადღეგრძელებელი ქართველი ყოფილხარ, რატომ ქართული არ იციო. ეს ისე ალაღად მითხრა, არ მწყენია. მივხვდი,

მართალი იყო ის კაცი. აღამიანს თუ მამა-პაპის საფლავი არ გინახავს და მასზე ერთი სანთელი არ დაგინთია, მაშინ რაღა კაცი ხარ.

არ გეწყინოთ, ბებო და ბაბუ, ამას ასე გვიან რომ მივხვდი, თქვენი სულის ჭირიძე. წელს აუცილებლად ჩამოვალ სამშობლოში და სანთლებსაც დავანთებ თქვენს საფლავზე.

კედლის საათმა დარეკა, შევხედე, უკვე სამს უჩვენებდა. რა უცბად გავიდა სამი საათი...

მეორე დღეს ისევ მეტროთი წავედი სამსახურში, ვიფიქრე, ეგებ ისევ შემიხვდეს ის ქართველი და თუ შემიხვდა აუცილებლად უნდა გავიცნო-მეთქი.

სურვილი ამისრულდა. აი, მე უკვე უცნობის წინ ვდგავარ და გულს ბაგა-ბუგი გაუდის. ხმა ვერ ამომიღია. უცნობმა რაღაც იგრძნო და თვალი მომარია. მე გამბედაობა მოვიკრიბე, წინ დავუდექი და დამტვრეული ქართულით ვკითხე:

- ტკვენ ქართველი ხართ?

გაკვირვებულმა ქართველმა შემომხედა და დინჯად მიპასუხა:

- დიას, ქართველი ვარ.

- მეც კარტველი, - ვუთხარი გახარებულმა.

- ძალიან კარგი. გავიცნოთ ერთმანეთი. არც ისე ბევრნი ვართ აქ, - მითხრა დინჯად.

- მე გელა ვეფხვაძე, ინჟინერი, შენ?

- გურამ გელოვანი, ექიმი მიკროქირურგი, - მიპასუხა უცნობმა და ყოველგვარი მორიდების გარეშე მომახალა.

- ძმაო ქართველო, ქართული რატომ არ იცი?

- არ იცი, აუცილებლად научусь, კარგად научусь

- ვიცი რომ ისწავლი.

- Откуда ты знаешь?- ვთქვი რუსულად და შევბით ამოვისუნთქე.

- ვიცი. - იყო მოკლე პასუხი.

- Буду рад увидеть вас в субботу у себя,- ვუთხარი და ჯიბიდან პასტა ამოვიღე, ფურცელი მოვიმარჯვე და მისამართი დავუწერე.

- ვერ მოვალ, - იყო მოკლე პასუხი.

- რატომ არ **можешь**- სამსახურში ვარ დილიდან და-  
ლაშქვამდე. შენ თუ მოახერხებ და გამოძივლი ძალიან გამეხ-  
არდება.

- გამოძივლი, **обязательно** გამოძივლი.

გურამმა თავისი სავიზიტო ბარათი გადმოძვა , ერთმანეთს  
დავეშვეილობეთ.

### X X X

შაბათ დილით ადრინადად დავდექი მიკროქირურგიის ინსტი-  
ტუტის მთავარ შესასვლელთან, მაგრამ ჩემი ახლადგაცნობილი  
ქართველი არ გამოჩნდა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ გადავწ-  
ყვიტე ინსტიტუტში შევსულიყავი და მომეძებნა. ასეც მოვიქე-  
ცი. მეოთხე სართულზე ასულს 404-ე კაბინეტისკენ მიმითითეს.  
მეც ოთახისაკენ გავემართე და მორიდებით შევალე კარი. შიგ  
გრუნათმიანი ახალგაზრდა იჯდა და წიგნს ჩაჰკირკიტებდა.  
შევეკითხე, პროფესორი როდის მოვა-მეთქი. მან თავი ასწია  
და მიპასუხა, უკვე მოსული უნდა იყოს, იგვიანებსო, თან სკამი  
შემომთავაზა - დაბრძანდით დაელოდეთო. მე სკამზე დაჯექი,  
მან კი ისევ ჩარგო თავი ქალაღებში. არ გასულა ორი წუ-  
თიც, რომ კაბინეტში მონლოლოიდური გარეგნობის ახალგაზ-  
რდა შემოვიდა და ჩემს მასპინძელს ქართულად მიესალმა:

- დილა მშვიდობისა, ჩიკიტო!
- დილა მშვიდობისა, ვან ლი!
- როგორ ბრძანდებით, ჩიკო?
- კარგად ვან.
- ხომ არ იცი, რატომ იგვიანებს ჩვენი ხელმძღვანელი?
- არა!

მე გაოცებული ვუსმენდი ახალგაზრდების საუბარს და ვე-  
რაფერი გამეგო. შევატყე საკმაოდ თავისუფლად საუბრობდნენ  
ქართულად. ცნობისიმოყვარეობა ვეღარ დავძლიე. კიდევ ერთხ-  
ელ გულდასმით ავათვალ-ჩავათვალიერე ორივე და მორიდებით  
ვკითხე:

- ბიჭებო, თქვენ ქართველები ხართ?
- არა! - თითქმის ერთდროულად მიპასუხეს მათ.

- მე ჩინელი ვარ, ეს კი მექსიკელია.
  - ვინ გასწავლათ ასე კარგად ქართული?
  - ჩვენ თვითონ ვისწავლეთ პროფესორის პატივსაცემად.
- ძალიან უჭირს თავისიანების გარეშე.

კარი გაიღო, კაბინეტში პროფესორი შემოვიდა. ახალ-გაზრდებმა სასწრაფოდ შეწყვიტეს საუბარი. ზეზე წამოვდ-ეჭი. პროფესორს ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. ერთმანეთი გვჭირდებაო, მითხრა...

X X X

ფიქრში გართული, ფეხით მივუყვებოდი მოსკოვის ქუჩებს და მესმოდა, ოცდაათი წლის წინათ ბებიაჩემის მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი - გეიგე ქალო, ჩვენი მართას დათუნა ჩამოსულა ბიჭიანადაო.

# მანანო

ბაზარში შესვლისთანავე ახალგაზრდა ქალი გადამიდგა და ფული მითხოვა.

ჯიბები მოვიჩხრიკე, მაგრამ ხურდა არ აღმომაჩნდა.

- ბოდიში არ მქონია -მეთქი, - ვუთხარი.

- შენც „ჟმოტი“ ყოფილხარ, - დამაწია ქალმა სიტყვა.

ვაჩუქებ ერთ ლარს, დიდი ამბავი, მშვენიერი ახალგაზრდაა, სუფთად ჩაცმული, მათხოვარსა და მაწანწალას სრულიადაც არ ჰგავს, ვინ იცის, როგორ გაუჭირდა? - გავიფიქრე და ხელი ისევ ჯიბეში ჩავიყავი, კუბიურა ამოვიღე, ახალგაზრდა ქალს მივაწოდე და თან გავეხუმრე:

- აიღე, შენი იყოს, მხოლოდ ერთი პირობით, „ჟმოტი“ აღარ თქვა ჩემზე.

მან კუბიურა გამომართვა და ვაშლის გამყიდველს გასძახა:

- გივია! - უყურე რამდენი გადაიხადა ჩემი მაცვალივით შავ თვალებსა და თურამაულის ვაშლივით აღუზღუხებული მკერდის ერთ თვალის შევლებში, ვითომ შენ და ეს ბატონი ორივენი კაცები ხართ, შე ცვედანო, შენა!

- მორჩი ახლა, მანანო, შენებურს, - გამოექომაგა ვაშლის გამყიდველს იქვე მდგომი ახალგაზრდა.

- ნეტავ შენ რა გაქვს სათქმელი? ბუხრის საწმენდს რომ დაგმსგავსებია თავი. არ თქვა, საზამთროების გვერდით, თივაზე წოლა გერჩიოს ჩემისთანა ფუმფულამკერდიანი ქალის გვერდით წოლას, მაგრამ ჯერ ერთი, „ჟმოტი“ ხარ, ორ თეთრსაც არ გაიმეტებ ამისათვის და მეორეც, გამბედაობაც არ გყოფნის, რომ შენი სურვილი აიხდინო. შებოჭილი ხარ, სხვა რას იტყვისო, თუმცა ის სხვანიც ზუსტად შენნაირები არიან, შე ბეჩავო, შენა!

მოპაექრებს ზურგი ვაქციე და პროდუქტების შერჩევა დავიწყე. ვილაცამ ხელი მხარზე მომითათუნა. შემოგბრუნდი, ჩემი ყოფილი თანამშრომელი იყო. ერთმანეთი მოვიკითხეთ, წარსული გავიხსენეთ. საკმაოდ გავვიგრძელდა საუბარი. საუ-

ბარში გართულებს გვერდით მანანო ამოგვიდგა, თანამშრომელს თვალბში გამომწვევად შეხედა და ჰკითხა:

- შენ კარგად იცნობ ამ კაცს?
- მგონი კარგად ვიცნობ, - უპასუხა ნაცნობმა.
- იცნობ? ჰოლად, იცოლდე, კაცია კაცური, ქალის ფასი იცის, ღირს ასეთებთან ურთიერთობა.

დაბნეულმა თანამშრომელმა ჯერ მე შემომხედა, მერე მანანოს და მკაცრად უთხრა:

- მანანო, აბა მოუსვი აქედან!
- გოგონა უხმოდ გაგვცილდა.
- ვინ არის?
- ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს, მშობლები გარდაეცვალა, მართლდ დარჩენილმა თავი ვერ გაიტანა და ასეთ ცხოვრებას მიჰყო ხელი.
- ცოდვა ყოფილა, - ჩავილაპარაკე დანანებით.

X X X

პროდუქტები შევიძინე და ბაზრის გასასვლელისაკენ გავემართე. იქვე ათიოდე მეტრში ხალხი შეგროვილიყო და ხორხოცობდა. მეც ცნობისმოყვარეობა ვერ დავძლიე და მათკენ გავემართე.

ხალხს წრე გაეკეთებინა, შუაში მანანო ჩამდგარიყო და ღვინით სავსე ჭიქას ისე ოსტასტურად ატრიალებდა ხელში, რომ დახელოვნებულ ცირკის მსახიობსაც კი შეშურდებოდა. სანახაობამ დამაინტერესა. მანანომ ხელის გულიდან ღვინით სავსე ჭიქა ჯერ მტევნის ზურგზე გადაიტანა, მერე პირთან მიიტანა და ბოლომდე დაცალა. გაისმა ტაშისცემა და შეძახილები. გათამამებულმა გოგომ ხელები გაშალა და ცეკვა დაიწყო.

- გადადი, ბათია, შენც იცეკვე, მხარი დაუშვენე, - უთხრა ერთმა ახალგაზრდამ მის გვერდით მდგომ წვერგაუპარსავ, შეზარხომებულ ახალგაზრდას და ხელის კვრით წრეში შეაგდო. ბათიამ ერთი კი მიიხედ-მოიხედა და ხელები გაშალა. ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა ტაში, ქება და შეძახილი. მოცეკვავენიც გახელდნენ და გათამამდნენ.

დალლამდე იცეკვა წყვილმა. გაჩერების შემდეგ გვერდგვერდ დადგნენ და მაცურებელს, გამომშვიდობების ნიშნად, თავი დაუქრეს.

- „გორკა“, ბათია, „გორკა“! - გაისმა ხალხში.

ბათიამ და მანანომ ერთმანეთს შეხედეს და გაუღიმეს.

- „გორკა“, „გორკა“! ხომ ხედავ, როგორი ონტკოფასავით \* გოგოა? - გააქეზა ვილაცამ ბათია. გათამამებულმა ბიჭმა მარჯვენა ხელი მანანოს მოხვია და საკოცნელად თავისკენ მიიზიდა.

- არ გაბედო, ბათია! - ისტერიულად შეჰკივლა ქალმა.

შეშინებულმა ბიჭმა ქალს ხელი გაუშვა და უკან დაიხია.

- ხედავ, მანანომ არ გიკადრა, ერთიც არ გაკოცნინა, - დაუწყეს დაცინვა აქეთ-იქიდან ახალგაზრდას.

გაგულისებულმა ბიჭმა ისევ გადადგა ნაბიჯი მანანოსაკენ.

- არ მომეკარო! - იკივლა გოგომ.

- ვითომ რატომ არ უნდა მოგეკარო, რით მჯობინარ? მე თუ ლოთი ვარ, შენ ლოთიც ხარ და ბოზიც.

- ვინ არის ბოზი?!

- ვინ და შენ. შენ ხარ ბოზი.

- არ ვარ მე ბოზი, - იკივლა ისევ ქალმა, ბიჭს მივარდა და ცემა დაუწყო. მაცურებლები ისევ ახორხოცდნენ. გაშველებას კი არავინ ფიქრობდა.

- რას შვრებით, ხალხო! რატომ არ აშველებთ? - ვიკითხე ნმამაღლა.

- თუ გული შეგტკივა მიდი და გააშველე, - გამომეპასუხა ვილაც.

- შეგირცხვათ თავი! - ვთქვი და მოჩხუბართა შორის ჩავდექი. ძლივს გავაშვებინე ბათიას გაჩეჩილ თმაში ჩავლებული ხელები მანანოს.

განთავისუფლებულმა ბიჭმა ხალხის წრე გაარღვია და გაიქცა. მანანო კი იქვე ბოძთან მივიდა, ხელები სახეზე აიფარა, შუბლი ზედ მიაღო და გულამოსკვნით ატირდა.

X X X

ზამთრის პირის მზიანი დილა გათენდა. ფანჯარაში გავიხედე.

მინდორს თრთვილი დასდებოდა. მიყვარს ასეთ ამინდში ტყეში ხეტიალი, ამიტომ თბილად ჩავიცვი და ქვემოთ ჭალისკენ გავწიე. ტყეს მდინარე ჰკვეთს და მეც იქით ავიღე გეზი. მდინარის პირას, რიყეზე დინჯად დასეირნობდა ყვავი. მის შორი-ახლოს გუბეში, ცალ ფეხზე დამდგარი ყანჩა გარინდულიყო. სადღაც კოდალა ხეს უკაკუნებდა.

მზემ ჰორიზონტიდან საკმაოდ მაღლა აიწია. თრთვილიან მინდორს დახედა და თეთრი ფერი მოყვითალო-მოჩურხოდ უქცია. მე კუნძი შევარჩიე, ზედ ჩამოვჯექი, თან ფრინველებს ვუცქერდი. ფიქრებმა გამიტაცეს.

- ბოდიში, ბატონო, - მომესმა ქალის ხმა. თავი ავწიე, ჩემს წინ მანანო იდგა. ხელში ტარგამძვრალი ცულოთ.

შევკრთი. გონზე მოსულს, შემეშინდა, რომ მანანოს თავისებური არ დაეწყო.

- ხომ ვერ დამეხმარები, ბატონო? იქნებ ცულს ტარი დამიგოთ?

მე პასუხად საათს დავხედე.

- დამგვიანებია, ბოდიში, - ვუთხარი ქალს და წასვლა დავაპირე.

- მთელი დღე დამტანჯა ამ დაწყევლილმა ცულომა, ყოველ წუთს ტარი სძვრება! - სინანულით ჩაილაპარაკა მანანომ და ისევ შემომხედა. მერე ბოდიშიო მითხრა და გაბრუნდა, შემეცოდა.

- მანანო, მომეცი ცული, ტარს დავაგებ. ჩემს წასვლას უკვე აზრი აღარ აქვს, ძალიან დამგვიანებია, - დავაწიე სიტყვა. ის გაკვირვებული შემობრუნდა, სახეზე ფერი ჰქონდა შეცვლილი.

- თქვენ საიდან იცით, ბატონო, მე რომ მანანო მქვია?

- ვიცი, როგორ არ ვიცი, ჩვენ ხომ არც ისე დიდ ქალაქში ვცხოვრობთ, - ვცადე თავის მართლება.

- უბედური ვარ მე! - ჩაიჩურჩულა მანანომ და ამოიოხრა.

ცული გამოვართვი. ტარი დავაგე. იქვე კუნძს რამდენჯერმე შემოვკარი და ქალს უკბილოდ გავეხუმრე.

- მანანო, თუ ამ ცულს ტარი ისევ ვასძვრება, მე დამაბრალე, - მან მაღლობა გადამიხადა და ტყეში შევიდა.

კუნძთან დავბრუნდი, ისევ ჩამოვჯექი და ფრინველებისაკენ გავიხედე: ყანჩა ისევ ცალ ფეხზე იდგა გარინდული, ყვავი, ძველებურად, დინჯად დადიოდა და კოდალაც ხეს უკაკუნებდა.

- ნეტავ ამ გამოჩერჩეტებულ ყანჩას სრულებით არ აქვს თავში ტვინი, ყინულივით ცივ წყალში რომ ჩამდგარა? - ამის გაფიქრება იყო და ფრინველმა მხრებში ჩამალული თავი ისარივით ჩაასო გუბეში და წამში ისევ მალლა ამოჰყო. ნისკარტში ბაყაყი ეჭირა. თავ-კისრის ოსტატური მოძრაობით ბაყაყი ნისკარტში გაისწორა და გადაყლაპა, შემდეგ კისერი წაივრძელა, ფრთები გაშალა და მზის მიმართულებით გაფრინდა ცის სილურჯეში. თვალი გავაყოლე, ლაღად მიფრინავდა.

მზერა ყვავზე გადავიტანე. მასაც საკმაოდ მოზრდილი ლუკმა ეპოვნა, ნისკარტით ხან მარჯვნივ ისროდა და ხან მარცხნივ. ბოლოს ზედ დააჯდა, ბრჭყალები ჩაასო და კორტნა დაუწყყო. რამდენიმე წუთში საგნისაგან აღარაფერი დატოვა. მორჩა თუ არა ყვავი ჭამას, ფრთები გაშალა და ისიც ტყისაკენ მშვიდად გაფრინდა. კოდალამაც შეწყვიტა ნისკარტის ცემა გამხმარ ხეზე. ეტყობა, გამოსაზამთრებლად მიმალულ მატლს მისწვდა და გადასანსლა.

ერთ ხანს ყველაფერი მიწყნარდა. მეც ფიქრებში წავედი, მაგრამ ცულის კაკუნის ხმამ გამომადგინა. მივხვდი ეს მანანო იყო, რომელსაც ბევრი რამ აწუხებდა ყვავის, ყანჩასა და კოდალასაგან განსხვავებით.

## კოსტიუმი

ესეც ასე, დამთავრდა მეორადი თოხნა. დაისვენებენ თოხნები მომავალ წლამდე, - თქვა მამამ და ყანის პირას, თხილის ბუჩქის ჩრდილში, ხავსიან ქვაზე ჩამოჯდა.

- მამა, ხომ გამიშვებ დღეს მდინარეზე ბიჭებთან ერთად საცურაოდ?

- დღეს მოითმინე, ხვალ წადი.

- რატომ?

- არ აღვნიშნოთ მეორადის დამთავრება, სოსოია? - ახლა სახლში წავიდეთ, ქათამი დაგვკლათ და თითო ჭიქით ერთმანეთი დავლოცოთ. ხვალიდან კი ირბინე და ითამაშე სადაც გნებავს. ლობიოს შემოსვლამდე ყველაფერს მოასწრებ, შვილო. - მითხრა მამამ, მერე ფეხზე წამოდგა, თოხი მხარზე გაიღო და ერთად ავუყვევით ყანისპირა აღმართს.

- ყოჩაღ თქვენ! აღრიანად მორჩენილხართ, - შეგვაქო სახლში მისულები დედამ.

- მოვრჩებოდით აბა როგორ? შარშანდელივით მარტო კი არ ვთოხნიდი, კაცი მედგა გვერდში. ბიჭი უკვე გაგვეზარდა, ჩემო მარიამ.

ერთ-ორ საათში სუფრა გაშლილი ჰქონდა დედაჩემს. მამამ პირველი ჭიქით ჩვენი მარჯვენა და ჩემი დაკაცება დალოცა. დაცლილი ჭიქა მაგიდაზე დადო და დედაჩემს უთხრა

- მარიამ, უკვე კაცია ნამდვილი!

- კაცია და კაცი კაცურად უნდა გამოიყურებოდეს. ამას კი ჯერ ჩასაცმელი ერთხელაც არ ღირსებია. რომელი მაგის ტოლა ბიჭი დადის ამ დროში ჩითის შარვლით.

- მართალი ხარ, ჩემო მარიამ, - დაემოწმა მამა.

- მართალი ვარ და რაღაც უნდა გავახერხოთ, ბავშვი მეშვიდე კლასში შარვლის ტოტებში რეზინაგაყრილი ხომ ვერ მივა? მოკიდეთ მამა-შვილმა ორ-ორ გოჭს ხელი და წაიყვანეთ ბაზარზე გასაყიდად. ოთხი გოჭის ფულით შენთვის და ბიჭისთვის შეძლებთ შარვლების ყიდვას.

- მართალს ამბობ მარიამ, მართლაც, რომ კარგები გახდნენ ჩვენი გოჭები, მაგრამ გზის ფული რომ არ გვაქვს, როგორ ჩავიდეთ ჭიათურამდე? თვრამეტი კილომეტრის გავლას ორი გოჭით ხელში ვერც მე შევძლებ და ვერც ბიჭი.

- ნისიად წადით, ჩვენი გერვასის ბიჭი კორეაა ჩვენი სოფლის ავტობუსზე მოფრად.

- რომ არ წამიყვანოს?

- წინასწარ მოელაპარაკე, ადამიანო!

- თუ ღმერთი გწამს, ორმოცი კაპიკისათვის წინასწარ მოლაპარაკებას ნუ გამამართვინებ კორეასა და იაპონიასთან. გადადი მარგალიტასთან და ესესხე ერთი მანეთი. დაგბრუნდები ხვალ ქალაქიდან და დაგუბრუნებ.

X X X

- რა ღირს ძამია შენი გოჭები? - ჰკითხა მყიდველმა მამაჩემს.

- ცოცხალ წონას კილოგრამს სამ მანეთად მოგართმევ.

- ოთხივე რომ ვიყიდო, მაშინ..?

- ოთხივეს მოგართმევ ბატონო და ერთ კაი მაღლობასაც გეტყვი კიდევ, - გაეხუმრა მამა.

- არ დამიკლებ, კაცო!

- არა ძამია, ამაზე უკეთესი გოჭები ახლა აქ, ბაზარში, არ არის. სამ მანეთზე ნაკლებად ცოცხალ წონას კი არავინ არ ჰყიდის.

- შვილის ქორწილისთვის მინდა.

- კარგი, მაშინ შენს სასარგებლოდ დაგამრგვალე წონას.

- რას ნიშნავს წონის დამრგვალება? თუ ძმა ხარ ამიხსენი,

- სთხოვა მყიდველმა.

- რას და, ჩემო ძამია, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ბედიანი კაცი ხარ, ქე შეიძლება ოთხ კილოგრამამდე ხორცი უფასოდ წაიღო ჩემგან.

- მივხვდი ძმაო, - თქვა მყიდველმა და მამაჩემს ხელი-ხელზე დაურტყა. გოჭები აწონეს, ოთხივე ოცდაექვსი კილოგრამი და რვაასი გრამი გამოვიდა. პირობის თანახმად მამამ სამოცდა-

თორმეტი მანეთი აიღო, ტომრები პარკში ჩაკეცა, პარკს თავი მოუკრა, ჩანთაში ჩაღო, შემდეგ მე გადმომხედა და მითხრა:

- წავიდეთ, შვილო სოსოია, შარვლების საძებნელად. მე მგონი კარგ შარვლებს ვიყიდით ამდენი ფულით.

X X X

ნინოშვილის ქუჩაზე მზა ტანსაცმლის მაღაზიაში შევედით, რომელიც სავესე იყო საკიდებზე კონტად ჩამოკიდებული ტანსაცმლით.

- აბა აირჩიე! - მითხრა მამამ. მე მთელი გულისყურით ვათვალიერებდი და ვარჩევდი შარვალს.

- მამა, ეს კოსტიუმი მომწონს. ამას ნამდვილად ვატარებ, - შემომესმა ხმა მეზობლად დაკიდებული კოსტიუმების რიგიდან.

- გამოიტანე და მოირგე, თუ მოგიხდება, ვიყიდი.

რამდენიმე წუთში ახალ კოსტიუმში გამოწკეპილი ჩემი ტოლა ბიჭი მამის წინ ჩიკორივით ტრიალებდა.

- ყოჩაღ, ავთოია, გემოვნება გქონია, შვილო! - შეაქო მამამ შვილი.

- იცი მამა რა ღირს ეს კოსტიუმი?

- მილიონი? - გაეხუმრა მამა შვილს.

- არა, სამოცდაათი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი.

- არ ყოფილა ძვირი.

- მე კი მეგონა... - აღარ დაამთავრა ბიჭმა სათქმელი.

- რა გეგონა, შე მამაძაღლო, როდის მითქვამს შენთვის უარი?

გამყიდველმა კოსტიუმი დაკეცა, პარკში კონტად ჩაღო და ბიჭს გადასცა, - ნასიამოვნები მამა-შვილი მაღაზიიდან გავიდა.

- ვერ შეარჩიე, შვილო სოსოია, შარვალი? - მკითხა მამამ.

- ვერა! - ვუბასუხე მოკლედ და თვალი ისევ ისეთივე კოსტიუმისკენ გამექცა ჩემმა ტოლმა ბიჭმა რომ იყიდა ცოტა ხნის წინ.

- ეს შარვალი ნახე? - გააგრძელა ჩემთან საუბარი მამამ.

- ვნახე.

- მერე, არ მოგეწონა?

- არ მომეწონა.

- რატომ არ მოგეწონა?! ჩემი აზრით არ უნდა იყოს ურიგო შენთვის.

- არა, არ მომეწონა, - ვუთხარი მამას და ისევ კოსტიუმს შევავლე თვალი, თან გავიფიქრე, ნეტავ რა ჯანდაბად გაისინჯა იმ ბიჭმა აქ კოსტიუმი, მის მნახველს რა უნდა მომეწონოს აწი. დავრჩი ისევ შარვლის გარეშე და ესაა.

- წავიდეთ შვილო, უნივერსიტეტში, იქნებ იქ იყოს რამე შენი მოსაწონი.

მამა წინ მიდიოდა, მე კი უკან მივდევდი ფიქრებში გართული.

- რა კარგი იქნება მამამ რომ კოსტიუმი მიყიდოს. როგორ არ მეკუთვნის თუ? უკვე დიდი ბიჭი ვარ, მეშვიდეკლასელი. თვითონაც ხომ უთხრა გუშინ დედას - ბიჭი მოგვესწროო, აწი რა საქმე გავგიძღობსო. ჰოდა, თუ დიდი ბიჭი ვარ, რატომ არ უნდა მიყიდოს მამამ ისეთივე კოსტიუმი იმ ჩემს ტოლ ბიჭს რომ უყიდა მამამისმა? თანაც საკმაო ფული უღვეს ჯიბეში. კოსტიუმისათვისაც ეყოფა და მარგალიტა ბიცოლასაც დაუბრუნებს იმ ორ მანეთს გუშინ რომ ისესხა დედამ.

ფიქრებში მამაჩემის ჯიბის ანგარიში გავაკეთე და აღმოჩნდა, თუ მამა კოსტიუმს მიყიდა და მარგალიტასაც დღესვე დაუბრუნებდა ფულს, ამ შემთხვევაში ფეხით მოგვიწევდა სოფელში დაბრუნება. რადგან უკვე პურიც გვექონდა ნაყიდი.

- ვერა, ვერ მიყიდის მამა კოსტიუმს. ამ ხნის კაცი ფეხით ვერ შეიძლება თაკარა სიკვხეში თვრამეტი კილომეტრის გავლას. ეჰ, ჩემს ბედს რა ვუთხარ! რატომ არ აქვს მამას ბევრი ფული. ბევრი ფული რომ ჰქონდეს რა ლალი ვიქნებოდი, ციციონოსთანაც თამამად შემეძლებოდა ყოფნა, ახლა რომ ასე მორცხვად ვარ. ეჰ, სიღარიბე, სიღარიბე!

ფიქრებში გართულია ისე გავიარეთ გზა უნივერსიტეტამდე, ვერც კი გავიგე.

- აქ კი აუცილებლად უნდა შევარჩიოთ, შვილო, შარვლები, თორემ ავტობუსი გავგასწრებს და მოგვიწევს ფეხით

ასვლა სოფელში.

საკიდებზე ჩამოკიდებული შარვლები გულგრილად ავათვალ-ჩავათვალიერე. ერთმანეთზე ცუდები მომეჩვენა ისინი. ზურგი ვაქციე შარვლების განყოფილებას და კოსტიუმებისაკენ დავიწყე ცქერა. ღმერთო ჩემო! აქაც არ ჰკიდია ისეთივე კოსტიუმი იმ ბიჭს რომ უყიდა მამამისმა.

არც მახსოვს როგორ მივედი კოსტიუმთან, როგორ ჩამოვხსენი, როგორ ჩავიცვი ის და როგორ დავდექი სარკის წინ.

მამაჩემის ხმამ გამომადებინლა.

- მართლაც, საშენოდაა შეკერილი, მთლად არ დაგხატა, შეგილო!

სარკეში ჩემს ანარეკლს დავაკვირდი. სრულად აღარ ჰგავდა იმას, რომელიც ჩვენი ძველი განჯინის კარზე დაკიდებული სარკიდან მიცქეროდა ხოლმე.

მამას შევხედე, მილიმოდა. ისე ჩავიცვი -თქო, ვუთხარი დარცხვენო და გახდა დავიწყე.

- მოგწონს? - მკითხა მამამ. გავჩუმდი. წამოიღეო, მერე ის სალაროსთან მივიდა, ჯიბიდან ფული ამოიღო და კოსტიუმის საფასური გადაიხადა.

ფეხით აგყევით ჯარბელის აღმართს. მწარედ გვაცხუნებდა ბეჭებზე ივლისის მზე.

პერევისის სერზე ასულმა ქალაქს გადმოვხედე. იქ ყველა ჩემი ტოლი ჩემსავით ბედნიერი მეგონა მაშინ.

- აქამდე ამოსვლა მიჭირს, თუ არა, ამის შემდეგ სულ ვაკე და თავდაღმართია, - დამაიმედა მამამ. პერევისის სერიდან წალთოს წყლამდე არ დაგვისვენია. წყაროსთან მამამ ქალაქში ნაყიდი, ქალაქური პური (ასე ვეძახდით მაშინ სოფლელი ბავშვები პურის ქარხანაში გამომცხვარ პურს) ამოიღო პარკიდან, გატეხა და მომაწოდა. ორივენი მადიანად შევქექით ხმელა პურს. არც მანამდე და არც მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ისე გემრიელად პური არასოდეს მიჭამია, როგორც მაშინ.

მოღზე წამოძვარმა მამაჩემმა ფეხები უფრო შეიკეცა, წვივები ხელით დაიჭირა და მუხლები თითქმის ცხვირთან მიიტანა. ასე იჯდა ცოტახანს ჩაფიქრებული. მერე თითქოს შეკრთა,

მარჯვენა მუხლს დააცქერდა და შეშფოთებულმა მითხრა:

- ეს რა მომსვლია, შეილო?

- რა მოხდა, მამა?

- მუხლისთავზე შარვალი გადამსკდარა.

შარვალს დავხედე, ზოლად გამსკდარი ქსოვილიდან მამას შიშველი კანი მოუჩანდა.

- ჯანდაბა ამას, ამ შუა გზაზე არ გამსკდარიყო, უხერხულია ასე სოფლის გავლა, - დაიჩვილა მამამ.

გზა განვაგრძეთ. ქვედა ვერის აღმართი ავიარეთ. დაღლილობა დაეტყო. დავისვენოთ - მეთქი, ვთხოვე. დამთანხმდა. იქვე გზის პირას აკაცის ჩრდილში ჩამოვჯექით დასასვენებლად მაღლიანი ადამიანისაგან დალაგებულ ქვებზე.

- ხომ არ დაილალო? - მკითხა მამამ.

- არა, - ვუპასუხე და მამას შევხედე, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა და სახეც ფერმკრთალი ჰქონდა.

- მამა ცხვირიდან სისხლი მოგდის, - ვუთხარი შეშინებულმა.

- რას ამბობ, სოსოია? - შეკრთა ის, ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირზე მოისვა და ზედ დახედა. სისხლით გასვრილი რომ დაინახა გაუკვირდა, როგორ ვერ გავიგეო.

ღელეზე ჩავედით, სახე მოიბანა და ბოგირის ქვეშ ჩრდილში დაჯდა. გვერდით მივუჯექი. ხმას არ იღებდა. მივხვდი სუსტად იყო.

კონტად შეფუთულ კოსტიუმს დავხედე. არ მესიამოვნა მისი დანახვა. ეს რომ არ გვეყიდა ამ ღლეში არ ჩავვარდებოდით -მეთქი, - გავიფიქრე.

სახლში მისულეებს დედამ გვისაყვედურა დაგვიანებისათვის. შემდეგ ნავაჭრი მოიკითხა. ესაა ჩვენი ნავაჭრიო, უთხრა მამამ და კოსტიუმი მიაწოდა. დედამ შეფუთული გახსნა, ნავაჭრი ამოიღო და გაშალა. კარგიაო თქვა. ღმერთმა მშვიდობაში გავაცვეთინოსო, დამილოცა. მერე მამისკენ შებრუნდა. შარვალი იყიდეო -ჰკითხა. არა, უპასუხა დამნაშავესაგან მამამ. რატომ ადამიანო?! ჭირია ან ლხინია გარეთ როგორ უნდა გახვიდე, - გაწყრა დედა.

- არა უშავს, ამჯერად ბავშვი გავახარე, - უბასუხა მამამ.  
დედას მეტი აღარაფერი უთქვამს.

იმ ღამეს დაღლილებმა აღრიანად დავიძინეთ. შუალამისას დედამ გამაღვიძა, მამა ცუდად არისო მითხრა, შეშინებული ჩანდა. ზეზე წამოვხტი.

- ექიმს მოვიყვან -მეთქი, - ვუთხარი დედას  
- ნოდარა გაიყოლე, ამ შუალამისას მარტო არ წახვიდე,  
- დამაწია სიტყვა კარში გასულს დედაჩემმა. ექიმი მოვიყვანე.  
მზეს დაუკრავსო, დასვა დიაგნოზი მან.

ერთი წუთიც არ ვშორდებოდი ავადმყოფს. მამა ხმას არ იღებდა, ხანდახან თუ წამოაბოდებდა ხოლმე სიციხიანს. დაცქეროდი და მაგონდებოდა წინა დღით როგორ გახარებული მიფუყვებოდიტ ჯარბელის აღმართს. ცოლი უნდა შეგრთოო, მეხუმრებოდა. მშვენიერი კოსტიუმი გაქვს, ცოდვია მაგის უბრალოდ გაცვეთაო. მე გაჩუმებული ვიყავი, - რას მორცხვობ, შე კაი კაცო, მორცხვობა, მაინცდამაინც, არ არის კაცისათვის საუკეთესო მეგობარიო. ვერ ხედავ, მორცხვი რომ ვიყავ, იმიტომ დავრჩი ორმოცდაექვს წლამდე უცოლოდო.

დღის პირველ საათზე ექიმი ისევ მოვიდა, მამა გასინჯა. საავადმყოფოში გადაიყვანეთო, გვირჩია. ექიმის წასვლის შემდეგ, დედამ მუხლებზე გადამსკდარი შარვლის დაკემსვა დაიწყო.

ოთახს თვალი მოვაფლე. განჯინის კარიდან მოჩანდა საკიდზე კობტად ჩამოკიდებული ახალთახალი კოსტიუმი. ერთხანს ვუქცირე. მერე თვალი მოვარიდე. მე მისი დანახვა აღარ მიხაროდა.

## მატარებელში

შვეულმფრენი ერთხანს ჰაერში უძრავად დაეკიდა, შემდეგ კი ნელნელა დაიწყო დაშვება. მე მხოლოდ წუთები მაცილებდა იმ სანატრელ დროს, როდესაც ჩემს გვერდით შეიარაღებული ადამიანი აღარ იქნებოდა. შეეხო თუ არა მანქანის ბორბლები ბაქანს, მფრინავმა ძრავი გამოართო და ბორტამცილებელმაც კარი გაგვიხსნა.

- ჩაბრძანდით, ამკლებნო, სამშობლოს მოღალატენო, - გაგვეხუმრა ის და კარისკენ მიგვანიშნა.

- კარგად იყავი ვასია! - გამოემშვიდობა ჩემსავით ნაპატიმრალი ბორტამცილებელს. მერე ჩემსკენ შემობრუნდა და მიიჩნია

- იჩქარე ნუგზარ, მატარებლის გასვლამდე მხოლოდ ათიოდე წუთია დარჩენილი. დღეს თუ ვერ მოახერხებ წასვლა, კიდევ ორი დღე მოგიწევს ამ მივიწყებულ მხარეში დარჩენა.

- შენ არ მიდიხარ, ნიკალაი?

- მე აქ ვრჩები.

- შენთანები?.. - მეტის თქმა აღარ მაცალა თვითონ გააგრძელა

- ცოლი გათხოვდა, შვილები მე არ მყავს და მშობლები. ჩემთვის სულ ერთია სად ვიქნები. სჯობს აქ დავრჩე ტყისმჭრელად.

- ნახვამდის, ნიკალაი!

- ნახვამდის, ნუგზარ!

ძველმა მეგობრებმა ხელი-ხელს დაფურტყით და ერთმანეთს დავცილდით.

- ნეტავ სავსე იქნებოდეს ვაგონი ხალხით. განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით. მე ხომ ისინი თოთხმეტი წელია, რაც არ მინახავს, - ვინატრე და ნაბიჯს აფურქარე. მატარებელთან მისულმა ჩემი ვაგონი მოვიძიე. შევედი და ფანჯარასთან მოგკალათდი.

ვაგონში სრული სიჩუმე იყო გამეფებული.

- აქ ქალები და ბავშვები კი არა... კაციშვილის ჭაჭანება არ არის. საუბარმონატრებულს ყუმივით თუ მომიწია რამდენიმე დღე ფანჯარასთან ჯდომა, ესა თქვი შენ. ნეტავ გამცილებელი მინც სად არის? რატომ არ ჩანს? ვკითხავდი რამეს, - ვფიქრობდი და ფანჯრიდან გავცქეროდი შეჭირბოვლილი წიწვოვნებით დაფარულ გორაკებს.

- რა ლამაზი ბუნებაა ამ მოუსავლეთში! მკაცრია, მაგრამ ძალიან ლამაზი, - ჩაილაპარაკე ჩემთვის.

ფიქრში გართული ბიძგმა გამომაფხიზლა. მატარებელი დაიძრა.

- უკვე ცხადია ყუმივით მომიწევს მეზობელ სადგურამდე ყოფნა, - დავსკვენი საბოლოოდ.

საკუთარ ბედზე გამწყრალი, გავცქეროდი ფანჯრიდან და ვხედავდი, როგორ მორბოდნენ ჩემსკენ ცადაწვდილი ფიჭვები და კედრები.

როგორც იქნა კარზე კაკუნი გაისმა. წამოვდექი და გავაღე. ჩემს წინ, გამცილებლის ფორმაში გამოწყობილი, ქალი იდგა.

- მოქალაქე, მიიღე თეთრეული! - შემომთავაზა მან.

- ქალბატონო, გთხოვთ მიპასუხოთ, არის ვინმე ჩვენს გარდა ვაგონში?

- არის, ათი თერთმეტი ადამიანი იქნება.

- მათ შორის ბავშვები არიან?

- არა, ბავშვები არ არიან.

- ქალები?

- არც ქალები. თქვენ რა?.. - აქეთ დამისვა კითხვა გამცილებელმა.

- მე ქალბატონო, თოთხმეტი წელია არც ქალი მინახავს და არც ბავშვი.

- ბავშვზე რა მოგახსენო, ქალი ხომ მნახე? რატომ სტყუი, - გამეხუმრა ის.

- ჰო, ქალი გნახე, მაგრამ მე ბევრი ბავშვი და ბევრი ქალი მინდოდა მენახა ერთად.

გალიმებულმა გამცილებელმა თვალებში შემომხედა და მეზობელი კუპისაკენ გადაინაცვლა.

უკვე ღამის პირველი საათია. მე ისევ ფანჯარაში ვიციქირები. გარეთ მხოლოდ სიბნელე და თოვლზე მოთამაშე განათებული ოთხკუთხედი ჩანს, რომლის ერთი გვერდი თითქმის მთლიანად დაუფარავს ჩემს ჩრდილს, რომელიც ჩემი ფანჯრიდან ხანდახან შორს გაიქცევა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩქარა ბრუნდება უკან.

როგორ ყველაფერი თამაშობაა ამქვეყნად. აკი სკოლაში გვასწავლეს, სხივი მხოლოდ სწორხაზოვნად ვრცელდებაო? ეს ოთხკუთხედი კი კალიასავით დახტის და სრულიად არ ემორჩილება ფიზიკის კანონს.

ჩემი კუბის კედლის მოპირდაპირე მხარეს თითქოს რაღაც მოხვდა და ფიქრი გამაწყვეტინა.

- ალბათ, ჩვენი გამცილებელი დასაძინებლად ეშხადება. ეჰ, რა ქალია! რა ვუთხარ კაცთაგან მოგონილ კანონებს თორემ, ახლა რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენ ერთად?..

კედლის მეორე მხრიდან ისევ გაისმა იატაკზე დავარდნილი საგნის ხმა.

- არა, არ სძინავს. ეტყობა, კუბეს ალაგებს. წარმოდგენაში თვალწინ დამიდგა ქალი გახსნილი საკინძით.

გამბედაობა მოვიკრიბე. კუბიდან გამოვედი და გამცილებლის კარის სახელური დაბლა დავწვიე. ის ღია აღმოჩნდა. ყოველგვარი მორიდების გარეშე შიგ შევედი და კარი დავხურე.

- რა გნებაგს, მოქალაქე?!

- წყალს ხომ ვერ დამალევიანებთ ქალბატონო?

- წყალს?

- ჰო, წყალს, ძალიან მომწყურდა.

- წყალი ონკანში არ მოდის?!

- მე თქვენგან მოწოდებული მინდა. ვთქვი და საკინძე-გახსნილ მკერდზე დავაცქერდი.

- სხვასაც ხომ არაფერს ინებებთ? - მითხრა ეშმაკურად მომღიძარმა გაცმილებელმა და ჭიქით წყალი მომაწოდა.

- როგორ არა, მაქვს კიდევ ერთი თხოვნა.

- თქვი!

- თუ შეიძლება ცოტა ხანს დავრჩები შენთან.

- მაგ თხოვნის შესრულება არც ისე ადვილია, ბრიგადირმა რომ შემოიაროს მაღლობას არ მეტყვის.

- ძალიან გთხოვ. თუნდაც ცოტა ხნით...

ქალმა ქურდულად ამათვალ-ჩამათვალაოდა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

- რადგან არ იშლით...

სიბნელეში მიჰქროდა ჩვენი მატარებელი და მას მისდევდა თეთრ თოვლზე მოთამაშე ნათელი ოთკუთხედი, რომელზედაც ორი ჩრდილი ჩანდა.

ჩემს წინ მჯდომმა საკუთარ მკერდზე კიდევ ერთხელ დაიჭირა ქურდული მზერა. დაიჭირა და უხერხულად შეისწორა საკინძე. დარცხვენომა ქალს თვალი მოვარიდე.

- სტუმარო, სად მიემგზავრები? - მკითხა კარგა ხნის დუმილის შემდეგ გამცილებელმა.

- სამშობლოში.

- პატიმარი იყავი?

- ღიახ, პატიმარი ვიყავ. ოქროს ვაგროვებდი.

- ოქროს?!

- ღიახ ოქროს, მაგრამ მას იქ ჩემთვის ფასი არ ჰქონდა.

ახლა რომ მქონდეს...!

- რას იზამდი?

- შენ გაჩუქებდი.

- რატომ?

- საკინძე რომ არ შეგეკრა...

- თქვენ რა?..

- უბრალოდ ადამიანი ვარ და მეტი არაფერი.

- ადამიანი?!

- ჰო, ადამიანი, ჩვეულებრივი ადამიანი. ახლა უამრავი ოქრო რომ მქონდეს სულ შენ გაჩუქებდი, - გავიმეორე ისევ.

- იქნებ და არ ვღირვარ უამრავ ოქროდ?

- თქვენ უამრავი ოქრო ვერ შეგედრებათ.

- რატომ?

- ოქროს ფასი ყოველთვის არ აქვს შენგან განსხვავებით.

- ღამცინით?

- რა თქმა უნდა, არა.
  - მჯერა, გულწრფელი ხართ.
- ქალმა გაიღიმა და კიდევ ერთი ღილი გაიხსნა პერანგზე.

\* \* \*

თეთრ თოვლზე, სიბნელეში მოთამაშე ნათელი ოთკუთხედი  
კი მიჰქროდა, მასზე ფიგურები აღარ ჩანდა.

# მეფე და ავაზა

ჰქუხდა დარბაზი. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი თავდაუზოგავი შრომისათვის იმკიდა ჯილდოდ ტაშს. სცენაზე ერთმანეთის გვერდით იდგნენ: მეფე, ვეზირი, სარდალი, დედოფალი, გლეხი, ხუმარა და მათხოვარი. თითოეულ მათგანს ოფაციით აჯილდოებდა მაყურებელი.

მე, რამდენიმე წლის წინ სცენაზე მოთამაშე მსახიობი და ახლა უკვე ღამის დარაჯი, დარბაზიდან გასასვლელ კართან ყავარჯენივით მიყუდებული, თვალს ვადევნებდი ყოველივე ამას.

როგორც იქნა ოფაცია ჩაცხრა და მაყურებელმა დარბაზი დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ მათ ჩემი კოლეგებიც მიჰყვნენ. შინ წასვლისას უკვე ვეღარ გაარჩევდი მათ შორის ცოტა ხნის წინ რომელი იყო მეფე და რომელი გლეხი. ყოველდღიურ საზრუნავს ისინი ერთმანეთისათვის დაემსგავსებინა.

მარტოდ დარჩენილი, ცოტა ხნის წინ მოჯუჯუნე, ახლა კი დაცარიელებულ მაყურებელთა დარბაზში შევედი. ყველაფერი ღუმდა. ერთ-ერთი რიგის განაპირა სკამზე ჩამოვჯექი და აულაგებელ სცენას გავხედე. მასზე სამეფო ტახტი და დიდებულთა ხავერდიანი სავარძლები იდგა.

დიდხანს ვიჯდებოდი ნახევრად ჩაბნელებულ, მღუმარე დარბაზში ფიქრებში გართული, რომ სცენაზე კატა არ გამოსულიყო. ის მიდიოდა საგანთან, დაყნოსავდა, მერე თავს ასწევდა, გულისყურით თავიდან ბოლომდე შეათვალიერებდა, ერთი ორჯერ დაიკნავლებდა და შემდეგ სხვა საგანთან გადადიოდა.

- ალბათ შია ამ უბედურს. თუძვა ეშოება აბა რა, წრუწუნები უკვე დიდი ხანია გააწყო და საჭმელსაც არავინ აწვდის.

ვიდრე მე მის პრობლემებზე ვფიქრობდი, ის იმედგაცრუებულ, რომ აქ საკბილოს ვერ იპოვიდა, დაჯდა, კული გარს შემოივლო და კნავილს თავი ანება.

- ნუ გეშინია ფისო, ამალამ მე ვიქნები შენი მასპინძელი, შშიერს არ დაგტოვებ. წარმოდგენის წინ სახლიდან მარგარინწასმული მთელი პური მომიტანეს, მგონი შაქარიც უნდა

ჰქონდეს ზედ მოყრილი, ძმურად გავინაწილოთ, - დავაიმედე კატა.

თითქოს ისიც მიხვდა ჩემს განზრახვას, წამოდგა და ჩემსკენ წამოვიდა კუდაბზეკილი. ჩემს ფეხებს შორის გაძვრა-გამოდვრა და გვერდით მომიჯდა, მერე თავი ასწია და პირდაპირ თვალებში შემომხედა. მეც ჩავხედე მას თვალებში. მომიჩვენა, მთხოვდა შეპირებული ღროზე მომიტანე, თუ არა კუჭი მიხმებაო. ფისოს პრობლემა გულთან მივიტანე, დარბაზი დავტოვე და ოთახიდან პურის საკმაოდ მოზრდილი ყუა მოვუტანე. მას ჩემს მოსვლამდე ადგილი მოენაცვლა. მეფის ტახტის გვერდით მჯდომმა საერთოდ აღარ მომაქცია ყურადღება.

- რა მოხდა, ფისო? მეფის ტახტის გვერდით რომ დასკუბებულხარ, მბრძანებლის ავაზა ხომ არ გგონია თავი? - მან ჩემი კითხვა არად ჩააგდო და ყელმოღერებულმა ამაყად განაგრძო მარჯვნივ და მარცხნივ ცქერა.

მე გაწბილებულმა ვუსაყვედურე, - ეტყობა, მაინცდამაინც ძალიან არ უნდა გშიოდეს, თორემ მაგ გრაციოზული პოზის მისაღებად ვერ მოიცილიდი.

- კარგი, ახლა არ გშია, დაგიტოვებ შენს კუთვნილ ულუფას და როცა გენებოს, მაშინ მიირთვი.

პურის ნატეხი მის შორიახლოს დავდე და წასვლა დავაპირე. დაინახა თუ არა საჭმელი, მშიერმა, ყველაფერი დაივიწყა და ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა, ზედ გადაეფარა და მაღიანად დაიწყა ჭამა.

- ღმერთო ჩემო! ეს რა უყო შიმშილმა „ავაზას“, ერთ წამში ჩვეულებრივ კატად არ აქცია?! - გულიანად გადავიხარხარე და გამხიარულებულმა ჩემს თავს ვურჩიე, - ახლა კი დროა, ვასილ ჭიჭიკოვიჩი, შემოფურბინო ჩემს სამწყსოს და მერე ცოტა დავისვენო -მეთქი, თან სამაჯურმოგლევრილ ლარ და ოცთეთრიან საათს დავხედე. ის ზუსტად თორმეტის ნახევარს უჩვენებდა.

- კარგა დრო გასულა, ჩემო ფისო, „ავაზა“, ბოდიში.

გულისყურით დავათვალიერე ყველა კუთხე-კუთხუთი და ბოლოს რეკვიზიტების საწყობისაკენ გავწიე. ჩვენს რეკვიზიტორ

ქალბატონ ლოლას ყველაფერი იქვე მიეტოვებინა, სადაც მსახიობებს მოეხსნათ და გაეხადათ.

პირველი საგრიმიოროს კარები შევალე. მსახიობს სავარძელზე უდიერად მიეგდო ოქრომკედლით მოქარგული სამეფო ხალათი, გვირგვინი და „ძვირფასი ქვებით“ მოოჭვილი კვერთხი. ახლა მე ვიცი რასაც ვიზამ, გათენებამდე მეფე ვიქნები. არ დამამწვენებს ჭოლოლას ხელში კვერთხი, თავზე გვირგვინი, მხრებზე მოსხმული ხალათი თუ! გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბევრი აღარ მიფიქრია, პირდაპირ მორთვა-მოკაზმვას შევუდექი. მალე საგრიმიოროდან მეფედქცეული გამოვედი და ტანტისკენ ამაყად წავედი. ორიოდ ნაბიჯი და მასზე დაჯდებოდი, „ავაზა“ რომ არ გამხსენებოდა. დარბაზს თვალი მოვაგულე, არსად ჩანდა. კატის უმადურობით გაწბილებული ჩავესვენე „გვირგვინოსანთ“ სამეფო ტანტში და კვერთხით დამწვენებული მარჯვენა ოდნავ წინ წავწიე. მერე კვლავ მივიხედ-მოვიხედე. ფისო ფარდის უკნიდან გამოვიდა და გვერდით დამისკუბდა. ჩემს ირგვლივ სიჩუმემ თვით „მეფეც“ კი შემაკრთო და ხმამალა წამომაყვირა: ქვეშევრდომნო! ახმაურდით, რას ჰგავს ეს, სამარეში ხომ არ ვიძყოფებით! მოწოდებაზე მხოლოდ ერთადერთმა, სამფერში გაწყობილმა ფისომ ცქვიტა ყურები და პირდაპირ თვალებში შემომხედა.

- ეს რა გაბედე, შე წუწკო, შენა! შენ მართალი ხომ არ გგონია ნათქვამი „კატამ მეფეს შეხედაო!“ იცოდე, კატა მეფეს ვერასდროს შეხედავს, ტყუილია ეგ!

- ვეზირნო, შეიპყარით ეს თავხედი და აქ მომგვარეთ!.. თუმცა აქ რაში მჭირდება ეგ თავიჭამია ევა. თქვენ თვითონ მიხედეთ!

ვბრძანე და კვერთხი სამეფრ დავარტყი იატაკზე. ჩემს მოწოდებაზე არც ვეზირნი გამოჩენილან და არც კატას შეცვლია ნირი. ის ისევ თავხედურად მიცქეროდა, როგორც ცოტა ხნის წინათ.

- უყურე ამას, მგონი, არც სჯერა, მეფე რომ ვარ. თუმცა, შეიძლება მართლა მაკლია რაღაც, ნამდვილ მეფედ რომ ვიქცე. დავეპყვი მე.

- ნეტავ რა მაკლია? გვირგვინი მაქვს, ხალათი მაქვს, ტახტი მაქვს და სამეფო კვერთხსაც სამურავით მოხდენილად ვატრიალებ ხელში. არც საბრძანისი მაკლია, მთელი თეატრი ჩემს განკარგულებაშია დილამდე. ჰოდა, მეც დილამდე ვიქნები მეფე. როგორ, ცუდია სიცოცხლეში თუნდაც ერთი ღამე მაინც იყო მეფე?!

- „ავაზა“ მოდი აქ და დაწევი ჩემს ფეხთით! - ვუბრძანე სამეფოში გაწყობილს.

- ღმერთო ჩემო, ამას რა ვხედავ?! ნებიერად წამოწოლილი კატა ადგა და დინჯად მოვიდა ჩემთან.

- ახლა დაწევი „ავაზა“! ხომ გესმის, დაწევი, არ დაჯდე!

კატამ თვალბეჭდით შემომხედა და ჩემს ფეხთით წამოწვა.

- ავაზა, თვალბეჭდით ნუ მიყურებ, ნუ გავიწყდება მეფე რომ ვარ.

თითქოს შეისმინა ჩემი საყვედური, თვალი მომარიდა და მიჩუმებულ ცარიელ დარბაზს დაუწყო ცქერა.

- ჰკვიანი ხარ შენ, ავაზა! რომ არ დამორჩილებოდი ჩემს ბრძანებას, აუცილებლად დაისჯებოდი. არ დაივიწყო, მე რომ მეფე ვარ.

კატამ თანხმობის ნიშნად თვალები დახუჭა და ისევ გააბილა.

- ჰო, ასე უნდა დაემორჩილო რეალობას, აბა, როგორ გინდა? არ დაემორჩილები და ვერ იარსებებ, ასეთია ბუნების კანონი.

ასე, რომ ჩემო ფისო, ვიყოთ გათენებამდე მე მეფე და შენ - ავაზა. ვინ იცის, მეორედ გელირსება კიდევ ასეთი ღამე? - დავუტკბი ცხოველს.

- ისე, ნეტავ, რად გაყვედრი „ავაზად“ რომ გაქციე. რამდენადაც ვიცი, ავაზაა შენი ოჯახის წევრი და არა შენ მისი. მას ოჯახი მგონი საერთოდ არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი რამ არასოდეს გამიგონია. არა, ჩემო ფისო, საამაყო შენ გაქვს და არა ავაზას. შენ ხარ ოჯახის მამამთავარი, შენ, ავაზას კი არა, ლომსაც შეგიძლია ყური აუწიო, ისიც ხომ შენი ოჯახის წევრია. ისე, ახლა ყველაფერს ნუ დამიჯერებ მაინცდა-

მანც რაკი „მეფე“ ვარ. გახსოვდეს, არ შეცდეს და მართლა არ აუწიო ლომს ყური თუ სადმე შეგხვდეს, თორემ გაგბრდღენის იქვე, შე უბედურო. შენ ცენზი გაქვს მასზე მეტი, ძალა კი არა. ხომ გაგიგონია: „ძალა აღმართს ხნავსო!“ ჭკვიანი კაცის ნათქვამია ეს.

- ჩემო ფისო, არა „ავაზა“, ამ ხნის კაცი ვარ და ერთხელაც არ მინახავს ძლიერი რომ დამარცხებულიყოს სუსტთან. ეს ბუნების კანონია და მას ვერავინ შეცვლის. მე, მეფე, მართალია მოკვდავი, მაგრამ ერსა და ღმერთს შორის მყოფი, ტყუილს ხომ არ ვიტყვი?

ამის გამგონე კატამ ცერად გადმოძხედა და ისევ თვალები მომარიადა.

- ისე, ჩვენში ღარჩეს, ჩემო „ავაზა“ და არც მეფობა უნდა იყოს მაინცდამაინც დიდი ბედენა. უკვე თითქმის ერთი საათია, რაც მეფე ვარ და მიუხედავად დიდი მცდელობისა მისი საკადრისი საქმე ვერც მოვიფიქრე და ვერც გავაკეთე, მე მგონი, რომ გავჩუმდე ჩემი ქვეშევრდომებისაგით, ის სჯობს, - ვთქვი და ცარიელ ღარბაზს თვალი მოვაგლე.

მოულოდნელად „ავაზამ“ ყურები ცქვიტა და დაჟინებით სცენის ერთი კუთხისაკენ დაიწყო ცქერა. მივხვდი რაღაც მნიშვნელოვანის მოწმე უნდა გავმხდარიყავი და გავყუჩდი. მან ყურებიც ლოკატორებივით სცენის კუთხისკენ მიმართა, ქვედა ყბა თითქმის იატაკზე დადო და გაინაბა. მეც მზერა ფისოს მზერას გავაყოლე და მოვლონების განვითარებას დაველოდე. ლოდინი დიდხანს არ დამჭირებია. ფარდის უკნიდან წრუწუნა გამოძვრა და პირდაპირ ჩვენკენ გამოემართა. ჩემმა „ავაზამ“ ნახტომი გააკეთა და ზედ დააცხრა უბედურს. დაიჭირა თუ არა თავვი, მაშინვე თათებში მოიქცია, განხარებული ზურგზე გადაგორდა და მსხვერპლს ჰაერში ბურთივით დაუწყო სროლა-თამაში. რა თქმა უნდა, მათ ურთიერთობაში არ ჩავერიე, მაგრამ თვალიც არ მომიშორებია. კატამ თავვიანად იატაკზე რამდენიმე ბრუნე გააკეთა და რაღაც მბრწყინავ საგანთან შეჩერდა.

- ნეტავ რა ბრწყინავს, ხურდა ხომ არ არის? - გავიფიქრე და საგნისაკენ გავემართე. შეშინებულმა კატამ თავგს პირი

დაავლო და გაიქცა. თუმცა შორს არ წასულა, იქვე დასკუპდა და უნდობლად დამიწყო ცქერა. საგანთან მივედი და დავხედე, ოცთეთრიანი აღმოჩნდა. გახარებულმა დავტაცე ხელი და უნახავივით დავაცქერდი.

კარგა ხანს ვუცქერდი ხელის გულზე „არიოლზე“ ამობრუნებულს და ღვთის წყალობით გახარებულს, ერთხანს კატასულ მთლად გადამავიწყდა, მაგრამ თავი თვითონვე შემახსენა. გულდაჯერებულმა, რომ ნანადირევში არ შევეცილებოდი, ისევ დაუწყო თავგს თამაში.

მზერა კატიდან ისევ დარბაზზე გადავიტანე, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩემს წარმოდგენაში საესე იყო ხალხით, რომლის ბატონ-პატრონი გახლდით. ახლა უკვე რეალობაში დაბრუნებული კარგად ვხედავდი, რომ ჩემს წინ ცარიელი, მღუპარე დარბაზი იყო და მეტი არაფერი.

მზერა დარბაზიდან ხელის გულზე ბრწყინავ ოცთეთრიანზე გადავიტანე. დავცქეროდი ხურდას და მიხაროდა.

ტახტისაკენ გავემართე, შიგ მძიმედ ჩავესვენე და კატას გადავხედე, რომელსაც თავი ერთიანად სილაღისათვის მიეცა. ერთი სიტყვით დიდად ბედნიერი ჩანდა, კარგა ხანს ვუცქირე და ბოლოს ვკითხე:

- ფისო, ეს მე ვარ მეფე და შენ - ავაზა?!

## მაწანწალა

სალამო მშვიდობისა, ბათურა! - მივესალმე ჩემს ქვეშაგებზე წამოწოლილ ძაღლს, რომელმაც ჩემი დანახვისთანავე თავი მაღლა ასწია, ჯერ გულდასმით ამათვალ-ჩამათვალიერა, შემდეგ პირდაპირ თვალებში დამიწყო ცქერა.

- რატომ მიცქერ ასე, ხომ არ ფიქრობ წიხლს მითავაზებსო? დამშვიდდი, ამას არ ვიზამ, ვინ იცის რამდენი ხანია რაც შენ რბილზე არ წოლილობარ? - ცოტახანს გაგჩუმდი და ისევ გავაგრძელე ცხოველთან საუბარი.

- როგორ გგონია, შენი სევდიანი თვალების მნახველი ვერ მიხვდება, რა დღეშიც ხარ? იწექი, დაისვენე. მე კი ცოტახანით კიბის საფეხურზე ჩამოვჯდები, - ვუთხარი დაუპატიჟებელ სტუმარს, უკარფანჯრო ოთახიდან გამოვფედი, კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი და თავი ფიქრს მივეცი.

- ნეტავ, რატომ გამოაძევა პატრონმა ეს უბედური?

- ალბათ უნირია. რა თქმა უნდა უნირია, თორემ ასე ახალგაზრდას გარეთ ვინ გააგდებდა?!

- ხომ შეიძლება, კარგია და ჰკვიანი, მაგრამ პატრონი აღარ ჰყავს?

- როგორ არ შეიძლება? რა თქმა უნდა შეიძლება, ამ აზრს მისი ჰკვიანი და სევდიანი თვალებიც ადასტურებს. მგონი კიდევ ესიამოვნა ჩემი დანახვა. ნეტავ კი შემეჩვეოდეს უმთვარო უკუნ ღამეში მაინც აღარ ვიქნები მარტო.

უკვე რამდენი წელია, ჩემს ახლოს ცოცხალი არსების სუნთქვა აღარ გამიგონია. იყოს ჩემთან. თუ რამეს ვიშოვი მასაც გავუნაწილებ და თუ ვერ ვიშოვი, ერთად ვიშიმშილებთ.

ფიქრში გართულს წინ ძაღლი დამიდგა. დრუნჩი თითქმის გულზე მომადო და დამყნოსა.

- რაო, ბათურ, უმოწმებ შენს ახალ პატრონს როგორ უცემს მკერდში გული? არ გაგიკვირდეს, დევნილო, თუ ჩვენი გულები ერთნაირად ცემენ. სხვანაირად არც შეიძლება რომ იყოს. ჩვენ ხომ ერთნაირი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

- ოჰ, ნეტავ იცოდნენ როგორ მინდა შენი ნამდვილი სახელის ცოდნა. მაშინ ხომ პირველი დაძახებისთანავე ჩემსკენ გამოიქცეოდნენ, წინ დამიდგებოდნენ, დრუნჩხს მალლა, ძალიან მალლა ასწევდნენ და ჩემი ყურადღებით ნასიამოვნები კუდიის ქიცინს დაიწყებდნენ უხმოდ, მალლობის ნიშნად. არ ვიცი შენი სახელი და არცაა აუცილებელი მისი ცოდნა. მე, კაცი, ისეთ დამამკირებელ სახელს შევეჩვიე, როგორც მაწანწალაა და შენ მშვენიერ სახელს - ბათურას, რა თქმა უნდა, ვერ დამიწუნებ.

- ბათურა, არ გეწყინოს, ერთი სიმართლე მინდა გითხრა და არ იკითხავ რაა ეს სიმართლე? თუმცა, როგორ მკითხავ, შე უბედურო, შენ ხომ მეტყველი არა ხარ ჩემსავით, მაგრამ გული ძალიან ნუ დაგწყდება, არც ეს უნარია, მაინცდამაინც, დიდი ბედენა. მეტყველება მხოლოდ მათთვისაა საჭირო, ვის სიტყვასაც გამგონი ჰყავს, აბა მე რად მჭირდება. ზოგჯერ გულისმოსაოხებლად თუ შევუკურთხებ ვინმეს, ან გაჭირვებისას „ვაი ღელას“ დავიძახებ, თორემ ჩემისთანა მაწანწალის ნათქვამს ყურს ვინ დაუგდებს. ასე რომ, ზოგიერთი ჩვენგანი ამ უნარით, მაინცდამაინც თავს ვერ მოვიწონებთ. ხედავ, ამითაც დიდად არ განვსხვავდები შენგან. საზრდოსაც ერთნაირად მოვიპოვებთ ჩვენ. მეც ისეთივე ხშირი სტუმარი ვარ სანაგვე ყუთისა, როგორც შენ. ახლა ერთი რამ გამახსენდა. ეს გასულ ზამთარს მოხდა და მინდა დაწვრილებით გიამბო:

ერთი სახლის ღია სარდაფში სიცივეს თავს ვაფარებდი. მართალია, შებინდებისას ჩუმად ჩავძვრებოდი -ხოლმე იქ, რომ სახლში მცხოვრებთ არ შეგენიშნენ და კინწისკვრით არ გამოგვედნენ, მაგრამ მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ეს მაინც მოხდა. სულ მაწანწალას ძახილით გამომაძვირეს. მე მგონი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი, მეტს არც შენ გიზამდნენ. ჩემსავით ქოქოლას მოგაყრიდნენ და შენც მაწანწალას დავიძახებდნენ. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთნაირები ვართ. თუ ერთნაირები ვართ და ერთ სახელსაც გვეძახიან, რატომ არ უნდა ვიცხოვროთ ერთად. დღეიდან შენ სრულუფლებიანი თანამობინადრე ბრძანდები აქ.

ამის გამგონე ძალღმა, თითქოს, თანხმობის ნიშნად თავი

დამიქნია.

- რაკი თანახმა ხარ წამოგწვეთ და დავიძინოთ, თორემ დილით ადრე აღვომა გაგვიჭირდება. ხომ იცი ამქვეყნად ყველაფერი დასწრებაზე რომაა, მეგობარო.

\* \* \*

- ბათურა, დღეს ჩვენი ერთად ცხოვრების ერთი წელი შესრულდა და არ აღვნიშნოთ? თუმცა რად გეკითხები? როცა უკვე შენს დაუკითხავად მოვემზადე ამ საღამოსათვის. იმედია არ მიწყენ, ისე, ჩვენში დარჩეს და ამდენ ლაპარაკს არ სჯობს სუფრა გაგშალო? - ვკითხე ძაღლს და ცელოფანის პარკიდან სურსათის ამოლაგება დავიწყე.

- ეს შენ, ჩემო ბათურა - ვუთხარი და წინ ნახევარკილოგრამიანი ქილა დავუდგი. ეს კი მე, - ვთქვი და არყით საგსე ბოთლი ხელში შევათამაშე. თან „მეგობარს“ ვურჩიე, რომ მასაც ცხოვრებაში, თუნდაც ერთხელ, ამ იუბილეზე, დაეგემოვნებინა ეს ღვთიური სასამელი, რომელიც მიწიერ წარმომავლობას დაავიწყებდა ისევე, როგორც მე დამავიწყებს -ხოლმე.

- ბათურა, ეს ძეხვიც ძმურად გავიყოთ. კანს მე გავაცლი შენთვისაც და ჩემთვისაც, მუცელი რომ არ გვატყინოს, - განვაგრძე საუბარი.

ძეხვს კანი გავაცალე, შუაზე გავყავი და ნახევარი ძაღლს წინ დავუდღე, თან მიირთვი -მეთქი შევთავაზე. ბათურა ძეხვს დასწვდა და ღინჯად დაუწყო ჭამა.

- ბათურა, ახლა ამ ჭიქით ჩვენი შეხვედრის დღეს გაუმარჯოს. მართალი ვითხრა დიდი იმედი ხარ ჩემი. რაც შენ ჩემთან ხარ, მას მერე ერთ ვირთხასაც აღარ გადაურბენია ჩემზე. ეს პატარა ამბავი არ გეგონოს შენ. ეს დიდი ამბავია. ძალიან საშიშნი არიან ისინი. მათი ნაკბენით რომ მოგვკვდე კაცი, მერე რა პირით უნდა წარვსდგე ჩემს ამაყ წინაპრებთან საიქიოში?

ნათქვამის შემდეგ პირუტყვი ერთხანს თვალგაუტეხლად მიცქეროდა. მომეჩვენა, თითქოს რალაცის თქმას აპირებდა, აპირებდა და ვერ თქვა, მაგრამ თვითონ მივუხვდი სათქმელს. რის გამოც ცოტა ხანს შევყოვნდი, მაგრამ ისევ ჩქარა გან-

ვაგრძე.

- ბათურა, ჯანჯალი კაცი არ გეგონო, ასე რომ გამიგრძელდა სიტყვა, დამიჯერე, ჯანჯალი არა ვარ, მაგრამ ჩემი მდგომარეობა მაიძულებს ბევრი ვილაპარაკო. მოკლედ ჩვენ გაგვიმარჯოს, მეგობარო, - ვთქვი, არაყი გადავხუხე და დავიჭყანე.

სასმელმა ორი-სამ წუთში ტვინში შემიღიტიანა და კიდევ უფრო ამიშალა ლაპარაკის საღერღელი.

- ჰოდა, ჩემო ძვირფასო, რომ იცოდე ძალიან მოგვიხდა ერთმანეთთან დამეგობრება. პირველად რომ გნახე, არ გეწყინოს და „ჩიხოტკიანს“ ჰგავდი. ახლა მასთან შედარებით გაპუტკუნებული ხარ. მეც შემეცვალა ხასიათი, ხალისიანი გავხდი. იცოდე, როცა შენ ვერ გხედავ, ვნერვიულობ კიდევ. აღარც მეგონა ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ თუ კიდევ მოხდებოდა. ეტყობა, მთლად არ გამციებია ჯერ გული ამქვეყნიურზე.

- ახლა კი ლაპარაკს თავი ვანებოთ და შევსვათ ახალი სადღეგრძელო.

- ამ ჭიქით ჩემო ერთგულო, ისევ ჩვენ გაგვიმარჯოს და იცი რატომ..?

- ნეტავ რას აპარტყუნებ მაგ ყურებს, თუ არ იცი მე გეტყვი. ამ ჭიქით ისევ ჩვენ იმიტომ უნდა გაგვიმარჯოს, რომ ჩვენ მარტონი ვართ. რაკი არავის ვუნდივართ, ნურც ჩვენ გვინდა ისინი. ძალით ხომ არავის მივეტმასნებით, არა? ბოლოსდაბოლოს მაინც კაცი ვარ და შენ კიდევ ერთადერთი არსება, რომელმაც ლალატი არ იცი, ცოტას ნიშნავს ეს?

- ხომ მართალი ვარ, ბათურ! თუ მართალი ვარ, თავი დამიქნე, ან ყურები ერთხელ კიდევ გააპარტყუნე, მეგობარო!

ძალღმა თითქოს ჩემი თხოვნა შეისმინა, თავიც დაიქნია და ყურებიც გააპარტყუნა.

- ასე, ჩემო მაწანწალა. შენ კი გენაცვალოს შენსავით მაწანწალა ძმა და მეგობარი.

- ისე, რომ იცოდე, ჩვენში ასეთი წესია; ძმაკაცები ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ერთნაირად ინაწილებენ. დამიჯერე, არ იქნები მართალი, თუ ჩემთან ერთად არ იგემებ ამ ღვთიურ სითხეს, რომელიც, როგორც ვითხარი, ცაში გაგაფრენს და

სამყაროს შემოგატარებს. ჩემო ბათურ, აბა შენ იცი, სასმელს ძალით პირში ხომ ვერ ჩავასხამ. ამას არ გაკადრებ, მაგრამ ეს არაყში დამბალი, არაყანმოსხმული პური კი აუცილებლად უნდა მიირთვა. არ დამიწუნო, თორემ ძალიან მეწყინება, - ვუთხარი ცხოველს და პურის საკმაოდ დიდი ნაჭერი წინ დავუდე. ძაღლმა უხმოდ შეჭამა ის.

- შენ მთლად ჩემნაირი ყოფილხარ. მე კი გავიძახოდი, მხოლოდ ამით თუ განვსხვავდებით -მეთქი. შენ გაგიმარჯოს, ჩემნაირო! - გახარებულმა ძაღლს ნაზად გადავუსვი ხელი თავზე და მივუაღერე:

- ბათურ, რაკი შენც მოგეწონა ეს ღვთიური სითხე, უნდა დამეწიო სმაში. მე ხომ უკვე ორი მაქვს გადაკრული, ძმაო.

ძაღლი თვალგაუტეხლად მომაცქერდა. მე ისევ დავალბე პური არაყში და წინ დავუდე. მან კი უფრო მადიანად მიირთვა ახალი ულუფა, ვიდრე წინა. ამის შემდეგ მკერდი, ყელი და ქვედა ყბა ერთ სწორზე განაწყო ზეცისკენ და ამღერდა.

- რას ჰგავს ბათურა შენი სიმღერა? რა ღროს უ...უ...-ს ძახილია? მრავალჯამიერ ვიმღეროთ, მრავალჯამიერ! აი ასე.

მრავალჯამიერ, ბათურა, მრავალჯამიერ!..

ავყევი ძაღლის ყმუილს უკვე დიდი ხნის წინათ ჩემგან მივიწყებული ტექსტითა და სიმღერით.

განვაგრძე თუ არა სიმღერა, ძაღლი იმწუთას გაჩუმდა და ცქერა დამიწყო.

- რა მოხდა, ბათურა, ხინჯი მაქვს ვოკალში თუ რაშია საქმე? იქნებ არც ის მოგეწონა მრავალჯამიერი რომ შევუბერე. ალბათ, გაიფიქრე კიდევ, სად ჩვენი ცხოვრება და სად მრავალჯამიერიო. თუ ეს იფიქრე ძალიან შემეცდარხარ, მეგობარო. მე მრავალჯამიერს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას კი არ ვუმღერ ახლა, არამედ აი ამ წუთებს ვუმღერ. სწორედაც ამ წუთებს, როცა ჩვენ ერთად მხოლოდ მიწიერნი კი არა ვართ, ცოტა ცაშიაც დავფრენთ, ჩემო ძმაო.

- გაიგე, ბათურა, ჩემგან წარმოთქმული ბოლო სიტყვა? ეს სიტყვა, მე კაცმა, შენ ცხოველის წინაშე იმიტომ წარმოვთქვი, რომ ახლა, ამ წუთში, მე - კაცი, მარტო მიწას და აღამიანებს

კი არ ვეკუთვნი, არამედ ზემოთ ცას, დაბლა მიწას და შენ გეკუთვნი.. ასევე მეკუთვნის მე მთელი სამყარო შენი ჩათვლით. და თუ ასეა, რატომ არ უნდა ვუმღეროთ ამ წუთებს მრავალჯამიერი?

მოგზირი თუ არა ახსნა-განმარტებას, მარჯვენა ხელი ზემოთ ავწიე და ისევ დავიწყე სიმღერა:

მრავალჯამიერ ამ წუთებს, მრავალჯამიერ!

\* \* \*

ჩემი ხმის გამგონე პირობეებს ისევ ცას ახედა და ამყვა:  
უ...უ...უ...

თითქმის განთიადამდე ვილხინეთ. განთიადისას პირველად, ჩვენი მეგობრობის მანძილზე, არა ფეხთით, არამედ ჩემს გვერდით, ღრმა ძილით ჩაიძინა ბათურამ.

\* \* \*

ძაღლის ღრენამ და ადამიანთა ხმამაღალმა საუბარმა გამომაღვიძა.

მზე ჰორიზონტზე საკმაოდ მაღლა აწეულიყო და მის სხივებს მწველი ძალა მისცემოდა.

- თავი გაუხეთქე მაგ მაწანწალას, თავი! - აქეზებდა ერთი ახალგაზრდა ხელკეტიანი მეორეს.

სასწრაფოდ წამოვხტი. ჯერ ისევ ძილბურანში მყოფი წინ გადაველობე ახალგაზრდებს და ისტერიულად შევკვივლე:

- არ მომიკლათ ჩემი ბათურა, გეხვეწებით, ადამიანებო! მე ხომ ამის მეტი არავინ გამაჩნია ქვეყანაზე! თქვენი ჭირიმე, ნუ იზამთ ამას! - შევლაღადებდი მუხლებზე დაცემული.

- რას ჰქვია ნუ ვიზამთ. მთელი ღამე არ გვძინებია კორპუსს ამისი ყბულის გამო.

- ჩემი ბრალია ყველაფერი, მაპატიეთ. მე დავათვრე საწყალი.

- ნეტავ რად ბაზრობ მაგ მაწანწალასთან, ვინ მიგდია ეგ! - თქვა უკან მდგომმა ახალგაზრდამ. ხელკეტიანს კეტი ხელიდან წავლიჯა და ბათურას მთელი ძალით დაჰკრა თავში. ძაღლი

იქვე წაიქცა, რამდენჯერმე ფეხები გაასავსავა და მოკვდა.

- ეს რა ჩაიდინე, შე არაკაცო შენა?! - შეგვივლე ახალ-გაზრდას, ყელში ვწვდი და ძირს დავაგდე. მეტი აღარაფერი მახსოვს.

გონს ბნელსა და ნესტიან სარდაფში მოფევე.

- ნუთუ ამდენხანს ვიყავი გონდაკარგული? ჯერ ხომ ისევ დილა იყო იმ არაკაცებს რომ ვეჩხუბე? ახლა კი ღამეა უკვე.

იქნებ არც არის ღამე და ისე დამარტყეს, რომ დამაბრმავეს. ალბათ, მართლაც ასეა და ამიტომაც მგონია ღამე. ღმერთო, ღამითარე მსგავსისგან, თორემ დავიღუპე სამუდამოდ და ესაა.

გამახსენდა ჯიბეში ასანთი რომ მქონდა, ამოვიღე და ავანთე. შევამოწმე, მართლა დაგკარგე თვალისჩინი თუ არა. ოთახი განათდა.

- არა, გადარჩენილი ვარ, ყველაფერს ვხედავ, სარდაფში ჩავუთარევივარ იმ არაკაცს, ალბათ, ჩემი ბათურაც აქვეა საღმე, ის უბედური.

ასანთი მეორედ ავანთე და სარდაფის იატაკის დათვალიერება განვაგრძე.

- არა, აქ არ არის. ძალიან კარგი. შეიძლება გადარჩა კიდევ. ძაღლები ხომ ადამიანებზე ამტანნი არიან. დავიმიდე გული და დერეფანში გამოვედი. ვინაიდან ასანთის ღერი აღარ მქონდა, ორიენტაცია სარდაფში კიბის მარშიდან ჩამომავალ სინათლის მკრთალ შუქზე ავიღე.

ორიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ფეხი რაღაც რბილს წამოვკარი. მივხვდი, ეს ჩემი ბათურა იყო.

მე ახლობელივით დავიტირე ის და როცა ღამით ქალაქმა ღრმა ძილით ჩაიძინა, გულზე ახუტებული შორს ადამიანებისგან, აქ მოვიტანე და დავმარხე. დაზამთრებამდე, ღამით ხშირად ამოვდიოდი მეგობრის საფლავზე და განთიადამდე ვრჩებოდი -ხოლმე. გვიან შემოდგომით ტყიდან ეს მუხის ნერგიც ამოვიტანე და აქ დავრგე. მას შემდეგ მთელ ზამთარს ველარ მოვანერხე ამოსვლა უფესსაცმოლობის გამო. ახლა კი ამოვედი და გავიხარე, ბათურას ხსოვნის აღსანიშნავად დარგულ მუხას

კვირტები გამოუღია. აწი, მომავალშიც ხშირად ამოვალ აქ და წყალსაც გამოვაყოლებ -ხოლმე ხელს. აუცილებლად გავზრდი ნერგს ამ უდაბურ ტრამალზე და ვინ იცის, იქნებ რომელიმე შენსავით დადლილმაც კი შეატაროს თავი მე და ბათურას მეგობრობის ნიშნად დარგული ხის ქვეშ თაკარა სიცხეს.

## დარიკო ბებიას კიტრა ვაშლები

- მობრძანდით, ბატონო, იაფად მოგართმევთ. ამოირჩიეთ, რომელი მოგწონთ. ყველანაირი ვაშლი მაქვს, - შემომთავაზა ბაზარში შესულს ვაშლის გამყიდველმა.

დახლს თვალი გადავავლე. მართლაც რომ, ათასნაირი ჯიშის ყოფილა ეს დალოცვილი ვაშლი. გავიფიქრე ჩემთვის.

- მობრძანდით, ბატონო, შეიძინეთ, კმაყოფილი დარჩებით, ნახეთ რა სალი ვაშლია. თქვენი გემოვნების მიხედვით აირჩიეთ; ეს ტკბილია, ესეც მომჟაო-მოტკბო. ინებეთ, არ ინანებთ, - გააგრძელა შემთავაზება ვაშლის გამყიდველმა ბებიამ.

შევჩერდი და უხმოდ დავუწყე დახლზე კოხტად დალაგებულ ვაშლებს ცქერა.

- არ შეიძლება ჩემთან სასურველი ვაშლი რომ ვერ შეარჩიო, კარგად დააკვირდი, აუცილებლად შეარჩევ, - მომძალა ისევ.

- არა, ქალბატონო, თქვენ ის ვაშლი არ გაქვთ, რომელსაც მე დავეძებ.

- რა ვაშლია ისეთი, საძებარი რომ გამხდარა?

- მე კიტრა ვაშლს დავეძებ.

- მე რომ ასეთი ვაშლის არსებობაც არ გამიგონია? - გააკვირვა ვაშლის გამყიდველმა.

- არსებობს, ქალბატონო, ასეთი ვაშლი. დამიჯერე. მე მას დიდი ხანია დავეძებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვე, თუმცა მჯერა აუცილებლად ვიპოვი.

- მაინც როგორია?

- როგორი და კიტრით მოგროძო, ლოყაწითელა, არც მჟავე და არც ტკბილი, ნორმაზე მეტად წვნიანი. ბავშვობაში, მახსოვს დარიკო ბებია ჩალაში ინახავდა, რომ არ გაყინულიყო. ზამთარში კი ჩვენი უბნის ბავშვებს გვიზოგავდა გაზაფხულამდე. ჩვენთან ზემო იმერეთში ხილი ხომ ცოტაა და თავსაც ვერ ინახავს. ის კი მარტის ბოლომდე ინახებოდა. არაჩვეულებრივი მოსხმა იცოდა იმ დალოცვილმა, იმდენს დაისხამდა -ხოლომე ტოტები ძლივს ზიდავდა. იქვე იყო ჩემს სახლთან, ყორეს

გადაღმა. ეჰ, რა კარგი ხე იყო, მაგრამ განმა. ჯარიდან რომ დავბრუნდი აღარ დამხვედრია. კვირტი კი გადაუწყნიათ მისი, მაგრამ ვერ გაიხარა თურმე. განმა და მას შემდეგ სულ დაგეძებ. ჩემი ბავშვობა და ის კიტრა ვაშლი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

X X X

- რა ღირს თქვენი გოლდენი? - იკითხა მყიდველმა.
- ოთხმოცი თეთრი, ბატონო.
- სამი კილოგრამი ამიწონეთ.

ვაშლის გამყიდველი თავის საქმიანობას დაუბრუნდა, მე კი ჩემს ბავშვობაში დავბრუნდი მოგონებებით.

X X X

მთელი კვირა გადაუღებლად თოვდა. წუხელ სახლის ფანჯრებიც კი ამოქოლა. დილას გათენება ვერ გავიგეთ ბავშვებმა, ვიდრე საძინებელში მამაჩემის ხმა არ შემოგვესმა.

- ეს რა მეორედ მოსვლაა, ასე თუ გაგრძელდა, ფარდულამდე და ბოსლამდეც ვერ მივალ, დამეხოცება პირუტყვი, - ჩიოდა ის.

- ნუ გეშინია, უკვე თებერვალი იწურება, ამ დროს თოვლს ძალა აღარ აქვს, - გაამხნევა დედაჩემმა.

- ძალა თუ არ აქვს, წონა აქვს ადამიანო, გაუძლებს ამხელა დაწოლას სახურავი? თუ ჩამოინგრა გავგჰყლეთს თავგებივით, - თქვა მამამ და გაჩუმდა.

- აღარ მინდა დიდი თოვლი, სკოლაში სიარული მიჩვენია,

- აწუწუნდა შეშინებული ჩემი უმცროსი ძმა.

- რა გირჩევნია, შე უტვინო, შენა! იმ გაყინულ ოთახში ჯდობა გირჩევნია?

- მამამ რომ თქვა თავგებივით გავიჰყლიტებითო?

- თქვას, მერე რა, მართლა კი არ გავიჰყლიტებით, შე შშიშარა შენა!

- შენ შშიშარა მეძახე და... - აღარ დაამთავრა ჩემმა ძმამ.

- გაიხედე გარეთ, იქნებ რა ხდება, - სთხოვა დედამ მამას.

- სად უნდა გავიხედო, ქალო! ქარის ხმაც აღარ ისმის, ვერ ხვდები რომ თოვლში ვართ ჩამარხულნი?

- ნეტავ გულის გახეთქვა არ იცოდე, ადამიანო, - უსაყვედურა დედამ.

მამამ ასანთი აანთო, კედლის საათთან მიიტანა და თქვა:

- დამიხოცავს პირუტყვი მშიერი! შემდეგ ნავთის ლამფა აანთო, ბუხარში ლაღარი გამოქექა და ცეცხლი გააჩალა. ცეცხლის დანახვამ იმედი და ხალისი შემატა მას.

- ცეცხლი ძალის, იმედის და ხალისის მომცემიაო, - უთხრა დედას, კარი გააღო, ღერფვანში გავიდა და დიდხანს აღარ შემობრუნებულა უკან.

- ნეტავ რა მოუვიდა ამ კაცს? - ჩაირჩუჩულა დედამ თავისთვის.

კარგა ხნის შემდეგ კართან მამის ფეხების ბაკუნის ხმა გაისმა, თოვლს იფერთხავდა ტანსაცმიოდან.

- მიაღწიე ბოსლამდე? - ჰკითხა ახლადშემოსულს დედამ.

- მივალწიე, ყველანი კარგად არიან, ჩალაც ჩავუყარე ბავაში.

- კიდევ კარგი რომ შეძელი მისვლა, თუ არა დაგვეხოცებოდა პირუტყვი.

- ახლა ფარდულამდე გავჭრი გვირაბს. შეშა შემოვიმარაგოთ, მერე შევადგათ კერიაზე ლობიო და ჩავჩუმდეთ დათვივით. მე შენ გეტყვი და მეზობელი მოვა ვინმე თუ?! - გულდაწყვეტით თქვა მამამ.

- ცოტა რაიმეს ამოტანა მაინც მოგესწოო ქალაქიდან, ამ მეორედ მოსვლის დაწყებამდე. როგორ უნდა გაძლონ მარტო ლობიოსა და პურზე ბავშვებმა? - უსაყვედურა დედამ.

- არა უშავს, მალე გაზაფხული მოვა, ქალაქშიაც წავალ და მთაშიაც, - დააიმედა მამამ დედა.

სახლში სითბო დატრიალდა. მე და ჩემი ძმა ლოგინიდან წამოვდექით, პირი ღავიბანეთ და ბუხრის პირას დავსკუბდით.

- რაო, ვაჟკაცებო! მოგვიწიეს რამდენიმე დღე გალიაში ჯდომა ასეთი ამინდის შემყურეს, არა? - გვკითხა მამამ და ისევ გააგრძელა.

- ახლა დანებს გავლესავ და ცაცხვის მასალისაგან სათამაშოები გამოაკობიტეთ, გაერთობით.

მე და ჩემი ძმა, მართლაც, მთელი დღე ვთლიდით ხისაგან სათამაშოებს.

ზამთრის მოკლე დღე ისე გაილია, რომ ერთხელაც არ იჭიატა და არც ქარი ჩაღვა.

სალამობანს მამამ ერთხელ კიდევ ჩაუყარა ბაგაში პირუტყვს ჩალა და უკან დაბრუნებულმა მოგვანარა, ცაზედ ღრუბელი აიჭრა და თოვაც შეწყდაო.

- მამა, გავალთ ღერეფანში, ცას შევხედავთ, მთელი კვირა არ დაგვინახავს, მოგვენატრა, - ვთხოვეთ მე და ჩემმა ძმამ. მამამ დედას გადახელა, მერე ჩვენსკენ შემობრუნდა და ნება დაგვართო.

ლურჯ ცაზე გარბოდნენ ჩამავალი მზის სხივებისაგან წითლად განათებული ღრუბელთა გროვები. ზამთრის ტყვეს ზაფხული მომნატრებოდა...

- ჩართე ადამიანო, რადიო. დენის მოსვლას ძლივს ველირსეთ და... - სთხოვა დედამ მამაჩემს. მამამ რადიომიმღების ჩამრთველი გადაატრიალა, მაგრამ არ ჩაირთო. მე და ჩემმა ძმამ ერთმანეთს გადავხედეთ, უჩუმრად გავიფიქრეთ, ახლა კი მოგვხდებაო და მოგვხდა კიდეც.

კართან ფეხის ხმა გაისმა. ყურები ვცქვიტეთ.

- გაიხედე გარეთ, მგონი ვილაც გვესტუმრა, - უთხრა დედამ მამას.

- რას ამბობ, ადამიანო?! ალბათ ისევ ქარი ამოვარდა, ამ მეორედ მოსვლაში ვინ მოაღწევდა ჩვენამდე?

- მოვალწიე, მოვალწიე, ისაკი, კარი გამიღე, - გამოეპასუხა კარს მომდგარი იოსები მამაჩემს.

მამა სასწრაფოდ წამობტა სამფეხა სკამიდან და კარი გააღო. სახლში იოსებ ბიძია შემოვიდა.

- ხომ მშვილობაა, იოსებ?! ბიცოლა როგორაა? როგორ მოაღწიე აქამდე? - დააყარა კითხვები მამაჩემმა შემოსულს.

- ჯერ ეს ზურგჩანთა მომხსენი და მერე გეტყვი ყველაფერს. მამამ ზურგჩანთა მოხსნა და იქვე დადო იატაკზე.

- როგორ მოაღწიე აქამდე, ბიჭო, ამ მეორედ მოსვლაში, -  
გაიმეორა კითხვა ისაკმა.

- მოხუცმა არ გამაჩერა სახლში. არიქა, ბავშვებს კიტრა  
ვაშლები გადაუტანო.

- მერე?

- მერედა კი დასჭირდა ამ ასორმოცდაათი მეტრის გავლას  
ორსაათნახევარი. გამიცალე ახლა ზურგანთა, დროზე უნდა  
წავიდე, ქარბუქი არ ამოფარდეს ისევ და ჩემგან გაკვალული  
გზა არ ამომიგოს.

- არა, ჩემო ძმაო, ასე ადვილად შენ აქედან ვეღარ წახ-  
ვალ, - თქვა მამამ და ნისკარტიანი დოქი გამოაცურა მაგიდის  
ქვეშედან.

X X X

ფიქრებში წასულს, მხარზე ვილაცამ ხელი მომითათუნა.  
შემოვბრუნდი, ჭემალი იყო, ჩემი უბნელი და ჩემი ტოლი.

- რას დაეძებ ამ ვაშლების ზღვაში, არ თქვა ახლა ჩემი  
მოსაწონი ვაშლი ვერ ვიპოვეო?

- ვერა, ვერ ვიპოვე, ჭემალ!

- მაინც რომელ ვაშლს დაეძებ?

- კიტრა ვაშლს დავეძებ. განსოვს დარიკო ბებიას კიტრა  
ვაშლი? ზუსტად ისეთს დავეძებ.

- მახსოვს, როგორ არ მახსოვს, რა დამავიწყებს დარიკო  
ბებიას კიტრა ვაშლებს? ისე, რომ იცოდე, მეც ხშირად დავეძებ  
მას, მაგრამ...

## დარაჯი

სამსახურში მიმავალი, ყოველდღე ვხედავდი ტროტუარზე ფიჭვის ჩრდილში მჯდომ ხანშიშესულ ქალბატონს, რომელიც სკამზე დადებულ პატარა ტოპრაკიდან მზესუმზირას ჰყიდდა.

ერთხელ, საღამოს, ყოველდღიური პრობლემებით გულ-დამძიმებული და ჩაფიქრებული სამსახურში მივდიოდი.

- ინებეთ ბატონო, „სემიჩკა“, - მომესმა ხმა, რომელმაც ფიქრიდან გამომაფხიზლა. ჩემს წინ მზესუმზირის გამყიდველი იდგა, მზესუმზირით სავსე ჭიქით ხელში.

- გმადლობთ, ქალბატონო, ნუ წუხნდებით, არ მინდა, მზესუმზირასთან ცოტა არ იყოს, სხვა დამოკიდებულება მაქვს.

- როგორ, არ გიყვართ?

- მიყვარს, მაგრამ მეცოდება, როგორ გავკენიტო ეს ერთი ციციქნა თესლი ამხელა კაცმა, ღმერთი აღარაა, - გავვხუმრე და წასვლა დავაპირე.

- თქვენ პროკურატურაში მუშაობთ? - ჯიქურ დამისვა კითხვა გამყიდველმა.

- დიახ.

- თხოვნა მაქვს თქვენთან.

- ბრძანეთ!

- სამსახური უნდა მიშოგოთ. დავიტანჯე ქალი ამ ხის ქვეშ დგომით.

- მე, ქალბატონო... - მეტის თქმა აღარ მაცალა, სათქმელი გამაწყვეტინა.

- უარი არ მითხრა, შენი ჭირიმე. მე კარგად ვიცი, პროკურატურის თანამშრომლებს ყველაფერი რომ შეგიძლიათ.

- მე, ქალბატონო, უბრალო... - ისევ არ მაცალა. მინდოდა მეთქვა: უბრალო დამის დარაჯი ვარ და რა შემიძლია -მეთქი.

- თქვენს უბრალო თანამშრომელსაც კი შეუძლია ჩემი დახმარება. დიდ რამეს არ გთხოვთ, დამლაგებლის ადგილის შოვნაში დამეხმარეთ მხოლოდ, - თქვა და ისევ განაგრძო.

- იცი როგორ მიჭირს, შვილო, ამ სიცხეში დგომა. თუმიცა,

სიცხე-სიცივეს ვინ ჩივის, ბავშვებმა შემიკლეს ხელში, ზოგი ნისიად მთხოვს და ზოგი მპარავს კიდეც. ჩიტი რაა. ჩიტიც მე მჩაგრავს. გვერდზე ვერ გამიხედავს, იმ წუთს მოფრინდება, ტობრაკაზე დაჯდება და კენკავს ჩემს „სემიჩკას“. ხედავ რამდენი ღამიფანტეს დღეს? მხოლოდ ერთ წამს მოვაცილე თვალი ამ დასაწვავს. გაჩნდა უცებ ეშმაკივით საიდანღაც და არ გადმო-მიგლო ჭიქა. ჭიქა ჭიქად მაზარალა და „სემიჩკა“ - „სემიჩკად“. მისი ხსენება კი გაქრა, მისი.

- ქალბატონო... - დავიწყე მე. ქალმა ისევ შემაწყვეტინა და თვითონ გააგრძელა.

- შენი იმედი მაქვს, შვილო. ვიცი ჩემთვის ადგილის მოვნა არ გაგიჭირდება. რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დაგელოდები, მხოლოდ მეშველოს რამე.

ქალბატონს კიდევ ერთხელ შევხედე, ისეთი სახე ჰქონდა და ისე მებვეწებოდა, ჩემი თავი ღმერთი ეგონა. თვალი მოვარიდე, გავჩუმდი, დიდხანს ვიდექი უხმოდ, არც მას გაუღია ხმა, უძრავად იდგა და პასუხს ელოდა.

ისევ გავაპარე მხერა მზესუმზირის გამყიდველისაკენ. ის უფრო დალეული მომეჩვენა, ვიდრე ადრე.

უნდა შევპირდე სამსახურს, თუ ვერ ვიშოვნი არა უშავს, მაინც ასე აჯობებს მისთვის ან და რატომ ვერ ვუშოვნი, ვითომ გაწყდა ამხელა ქალაქში ერთი გაჭირვებული ქალისათვის სა-მუშაო, მითუმეტეს, დღეს და ხვალ არ მთხოვს.

- ცოტა ხანს დამელოდე და აუცილებლად გიშოვნი რამეს.

- მართლა მიშოვნი?

- გიშოვნი.

- რას ამბობ, შვილო! - შესძახა თვალმებარწყინებულმა მზესუმზირის გამყიდველმა, რომელიც სრულებით აღარ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ „სემიჩკა“ შემომთავაზა.

## თურმე იქ აფრიკაში ჩიტია

ვარდენმა კარზე ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი მეუღლემ გაუღო მოხუცს და თან უსაყვედურა:

- რატომ დაიგვიანე ადამიანო, ვის გაუგონია შენი ხნის კაცის ამდენი მუშაობა?!

- შრომა რას მიზამს, შრომაში გაზრდილ ვარდენს მარიამ? ახლა ნელთბილ წყალს გადავიშხაპუნებ ჩემს ბებერ ბეჭებზე და ოცი წლის ბიჭვით გამოგვკვიცლები.

- გადაიშხაპუნე. წყალიც გაგითბე და ქათქათა თეთრეულიც მოგიშხადე, - წაიტრახახა ქალმა.

სუფთა საცვლებში ჩაცმული ვარდენი საბაბაზანოდან პირდაპირ საძინებლისაკენ გაემართა.

- რა გეჩქარება დაძინება, ცოტა დავილაპარაკოთ, შე კაცო. რაც ბავშვის კაბინეტის რემონტი დაიწყე მარტოდმარტო ვარ სახლში გამომწყვდეული, - უსაყვედურა მეუღლემ

- ვიღლები მარიამ, ვიღლები! ხომ იცი, კაცს რომ სიბერე შეეპარება, მუხლებიდან ძალაც გაეპარება მაშინ. ძალაგამოცლილი ადამიანის ყველაზე სასურველი მეგობარი ლოგინია.

- ჩაჯექი ცოტა ხანს ადამიანო, ამ თბილსა და ფუმფულა სავარძელში, მალირსე ორიოდე სიტყვა.

ვარდენი მიძიმედ ჩაეშვა სავარძელში. დაღლილმა მზერა მეუღლეს მიაპყრო და შესჩივლა;

- ძალიან დაგვრია ხელი სიბერემ, ჩემო მარიამ, ბიჭი კი ისევ გზაზე გვყავს დასაყენებელი.

- მართალი ხარ, ჩვენ რომ შესაძლებლობა გვქონდეს არ წავიდოდა ზურთიკო გერმანიაში, იმას კი მოუკვდა დედა. ექიმი კაცი შავ მუშად მუშაობს. ვინ იცის სად და როგორ ათევეს ლამეს. ამდენი რამ მოიკლო იმისთვის, რომ ეს მინგრეულ-მონგრეული ბინა ეყიდა კაბინეტისთვის.

- ეჰ, ნეტავ ახალგაზრდები ვიყოთ. ნალაციით მაინც შევეშველებოდით ბიჭს, - წაიწუწუნა ვარდენმა.

- რას ფიქრობ, ვარდენ, რომ გარემონტდება ეგ ბინა, გა-

მოადგება ბავშვს კაბინეტად? - ჰკითხა მარიამმა მეუღლეს და თვალებში შეხედა. ვარდენის თვალები სანახევროდ უკვე ძილს დაეპყრო.

- რა მოგივიდა კაცო, ჩაიძინე?!

- არა, უბრალოდ ძალიან დავილაღე. ვჩქარობ, ბიჭის დაბრუნებამდე მინდა დავამთავრო.

- ნელა იმუშავე, ნელა! ბავშვს ხომ უნდა დახვდე ცოცხალი, შე კაცო!

ვარდენი უცბად გამოაფხიზლა ნათქვამმა და მარიამს შეუტია:

- რას ამბობ, რას ჰქვია ბავშვს ცოცხალი არ დავხვდე, ვინ მომცა მე სიკვდილის უფლება, შვილს შუა გზაზე ხომ არ დავტოვებ?!

ვარდენი ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ განაგრძო.

- ვერ დავხვდები და განსაკუთრებული არც მაშინ მოხდება რამე. მთავარია ამქვეყნიდან იმ ჩიტივით ვალმოხდილი წავიდე.

- რას ამბობ ადამიანო, რა ჩიტზე საუბრობ, არ მესმის.

- რა ჩიტზე და იმ ჩიტზე, იქ აფრიკაში, რომ ცხოვრობს...

ველარ დაამთავრა დაღლილმა თავისი სათქმელი, თავი ჩაჰკიდა და ჩაეძინა.

\* \* \*

იმ დილით ვარდენი, ჩვეულებისამებრ, ადგა ლოგინიდან, სარკეში ჩაიხედა და საკუთარი თვალები არ მოეწონა.

- ეს ვინ ჩამსახლებია! - შეკრთა მოხუცი, მაგრამ მაინც საგანგებოდ გამოეწყო და შვილის სამსახურისკენ გასწია.

ეზოში შესვლისთანავე, ფანჯარაში თეთრ ხალათში გამოწყობილ შვილსა და რძალს მოჰკრა თვალი. მოხუცის სახეზე სიხარული აზეიმდა.

ახლა კი ღირს სიცოცხლე! - ჩაილაპარაკა და გახარებული სახლში ისე დაბრუნდა, რომ შვილის კაბინეტში არც კი შესულა.

შინ დაბრუნებული დაღლილი სავარძელში კი არ ჩაჯდა, უფრო ჩავარდა და მეუღლეს გასძახა:

- მარიამ, მოდი აქ ჩამომიჯექი.  
- ცუდად ხომ არ ხარ? - ჰკითხა ქაღმა.  
- არა, - იყო პასუხი. ამის შემდეგ ვარდენი ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ისევ მეუღლეს შეხედა და დაიწყო:

- მარიამ, თურმე იქ აფრიკაში ჩიტია, საოცარი ჩიტი. ბარტყებს რომ დაჩეკავს და დაზრდის, მერე დაზრდილებს ყველას ერთად, ხის ტოტზე დასვამს, რამდენჯერმე გარს შემოუფრენს, სათითაოდ მოეფერება და მოეაღერსება, ბოლოს კი ანიშნებს გაფრინდითო, - მოხუცი გაჩუმდა.

- მერე, ვარდენ?

- ჯანმრთელი და ბედნიერი ბარტყები გაფრინდებიან -თურმე. შრომისაგან გამოფიტული ჩიტი კი თვალს გააყოლებს შვილებს...

ვარდენმა წინადადების გაგრძელება ვეღარ შეძლო და გაჩუმდა.

- მერე რა ხდება, ვარდენ?

- მერე იცი რა ხდება, მარიამ?

- რა ხდება?

- რა და ძალაგამოცლილი ჩიტი ქვასავით ვარდება ტოტიდან მიწაზე და კვდება.

მოხუცმა ფანჯარაში გაიხედა, ლურჯ ცაზე თეთრი გროვა ღრუბლები მოძრაობდნენ, თვალი გააყოლა მათ. ერთხანს უცქირა. მერე მეუღლისკენ შებრუნდა პირჯვარი გადაიწერა, ყველას გლოცავთო და გემშვიდობებითო, უთხრა და ისეთივე ვალმოხდილი წავიდა მარადისობაში, როგორც ის ჩიტი.

## ბიჭი და ზღვა

- მარიამ, ისევ პაციენტს ელოდები, არ მოგწყინდა ამ პაპანაქება სიცხეში აქ ჯდომა და შეშინებული პაციენტის გაფართოებული თვალების ცქერა?

- პაციენტს არა, მაგრამ შენ კი გელოდები „ქალბატონო“ ეკატერინე.

- მაშინ გადააფარე სავარძელს, როგორც გჩვევია, თეთრი ზეწარი და გაფუყვეთ გზას.

- მერე და საით, სახლისკენ? მომკლა ამ დაუღამებელმა დღეებმა. თუმცა, არც ზამთრის შაგრენის ტყავივით შეკუმშული დღე აღარაა, მაინცდამაინც დიდი ბედენა ჩემთვის.

- გათხოვილიყავი და არც გრძელი დღე გექნებოდა მოსაბეზრებელი და არც ზამთრის გრძელ ღამეში მოგცემდა ვილაცა მოსვენების საშუალებას, - წაიკვიმატა ჩემმა მეგობარმა და ხმამაღლა გადაიკისკისა.

- სად და როგორ გავატაროთ ეკა დღევანდელი დღის ცხელი საღამო? - ვკითხე ისევ.

- სად გავატაროთ? - როგორც ვუშინ ისევე დღეს ჩამოვვდეთ სკვერში დაჩრდილულ მერხზე და ვუცქიროთ, როგორ ჩაესვენება ზღვაში მეწამული ციდან მზე.

სკვერში მისულებმა თავისუფალი მერხი მოვძებნეთ, ზედ ჩამოვჯექით და მშვიდად მოლივლივე ზღვას გაფხედეთ.

- ეკა, ვიჯდეთ ახლა აქ და ვუცქიროთ ზღვას, იქნება კი მოვიდნენ მფრინავი ჰოლანდიელები.

- მაგის იმედი რომ არ მქონდეს, ჩემო მარი, საათობით აქ ვიჯდებოდი ყოველდღე? - ხუმრობითვე მიპასუხა მეგობარმა.

- მართლა, რომ მოადგეს ნაპირს გემი და ორი პრინცი გადმოვიდეს ჩვენს წასაყვანად, რას იზამდი, გაჰყვებოდი?

- რატომ არ გაყვებოდი? ოცნებებში ათასჯერ გაყვოლივარ და ცხადში ერთხელ რატომ ვერ გაყვებოდი ნეტავ!

- პრინცისა რა მოგახსენო, მაგრამ ზღვისფერთვალეობა პატარა ბიჭი კი ნამდვილად მოდის ჩვენსკენ.

- მარი, ეს მერხი მაგ ბიჭისაა, გუშინაც აქ იჯდა და გუშინ-  
წინაც. აქაური არ უნდა იყოს, უწინ არასოდეს მინახავს.

- გუშინაც მარტო იყო?

- მარტო იყო, იჯდა და გარინდებით გაპყურებდა ზღვას.

- ხომ არ გავიცნოთ?

ბიჭი, მართლაც, ჩვენს მერხთან მოვიდა და ისე ჩამოჯდა  
მის კიდეზე, რომ ჩვენთვის არც შემოუხედავს. ჩამოჯდა თუ  
არა, იდაყვები შიშველ მუხლებზე დაიღო, ოდნავ წელში მოიხ-  
არა, ნიკაპი ხელის მტევნებს შორის მოიქცია და ზღვისფერი  
თვალებით ზღვას დაუწოა ცქერა.

- მგონი მართლა არავინ ახლავს, როგორ ბედავს ამის  
პატრონი ასეთი პატარის მარტოდ გამოშვებას? - ჩაფიქრებული  
ეკას.

- ალბათ ეპარება ხოლმე.

„მაროჟნი“, „სტაკანჩიკი მაროჟნი“! გაპკივლა სკვერში ახ-  
ლადშემოსულობა, ზურგზე ყუთაკიდებულმა და კისერწაგრძელე-  
ბულმა ნაყინის გამყიდველმა.

- ეკა, მოდი ნაყინზე დავბატიყოთ და თან გამოველაპარა-  
კოთ.

ეკამ ჩემი თხოვნის პასუხად ნაყინის გამყიდველი იხმო, სამი  
ჭიქა ნაყინი გამოართვა და მე და პატარას ხუმრობანარევი  
კილოთი მოგვემართა;

- ეს თქვენ ქალბატონო მარი და ეს თქვენ ჩვენო პატარა  
უცნობო, - თქვა ეკამ და ჭიქა პატარას მიაწოდა, რომელმაც  
ყოველგვარი დარცხვენის გარეშე გამოართვა. ეკამ მესამე ჭიქას  
ქალაქის სახურავი ააძრო და ისე, რომ არც კი დამჯდარა,  
გემო გაუსინჯა.

- რა ფეხზე დამდგარი მიირთმევ, ჩაჯექი ჩვენს შორის,  
ნაყინიც მივირთვათ და ეს ვაჟკაციც გავიცნოთ, - ეკა უხმოდ  
ჩაჯდა ჩვენ შორის.

- ახლა კი გავიცნოთ ერთმანეთი. ამ დეიდას ეკა ჰქვია,  
მე კი მარი. შენ რა გქვია, ბიჭიკო? - ჯიქურ დაფუსვი კითხვა.

- მე ზუკა ვარ.

- აქ მარტო ხარ, ზუკა?

- დიან მარტო ვარ, თეთრ გემს ველოდები.
- რომელ თეთრ გემს?
- უნიშნოს, თოვლივით თეთრს. ჩემი დედოქო უნდა ჩამო-  
ჰყვეს მას.
- შენი დედოქო სადაა?
- შორს არის წასული. მე ის არასოდეს მინახავს. მამამ  
მითხრა, ნავსადგურში უნიშნო თოვლივით თეთრი გემი რომ  
შემოვა, იმ გემს მოჰყვება შენი დედოქო, ამიტომ მეც აქ ვზი-  
ვარ და ველოდები ყოველდღე.
- მარტო რატომ ელოდები. შენ ხომ ჯერ... - პატარა მიხ-  
ვდა რისი თქმაც მინდოდა და პასუხი გამცა.
- პირველად რომ ჩამოვედი მამილა არ მენდობოდა და  
თვითონ დაგყავდი აქ, ახლა უკვე მენდობა.
- ახლა სადაა შენი მამილა?
- სამსახურშია. იქიდან რომ დაბრუნდება მომაკითხავს,  
იცი სადაც ვარ.
- საუბარში გართულებს ახალგაზრდა ქალბატონი მოგვიახლოვ-  
და, მოგვესალმა და ზუკას ჰკითხა:
- ზუკა, მადლობის თქმა ხომ არ დაგავიწყდა დეიდებისათ-  
ვის?
- არა, ვუთხარი. იცი როგორ მომიწონა ნინო მამილა „მა-  
როჟნი“.
- რადგან მადლობის თქმა არ დაგავიწყდა ძალიან კარგია.  
ახლა კი გამოვემშვიდობოთ დეიდებს და წავიდეთ. ხვალ შენი  
მამიკო ჩამოდის.
- ნუ გამაყოლებ მამიკოს მამილა! ჯერ ხომ ჩემი დედოქო  
თეთრი გემით არ დაბრუნებულა, - დაუწყო ხვეწნა პატარამ  
ქალბატონს.
- ვთხოვ დაგტოვოს.
- მართლა?!
- ვთხოვ, როგორ არ ვთხოვ?
- ზუკა, ხედავ რა ლამაზი პეპელა დასკუბდა ყვავილზე, -  
ჩავერთე საუბარში.
- აბა სად, დეილა მარი?

- აი აქვე.

- მართლა რა ლამაზია! - შესძახა პატარამ და პეპელას დასაჭერად გამოუღდა.

- მე ვთხოვ, მაგრამ ისიც ხომ ცოდოა მარტო, - სევდიანად ჩაილაპარაკა მამიდამ.

იმ დღის შემდეგ ხშირი სტუმარი გავხდი ზუკას მერხისა. მივდიოდი, ჩამოვჯდებოდი და ველოდებოდი ბავშვს, ის კი არა და არ ჩანდა.

\* \* \*

ნელი სვლით კვეთდა მშვიდად მოლივლივე ზღვას თეთრი გემი. მე უკვე ორკვირიანი ტურისტული მოგზაურობიდან ვბრუნდებოდი. გემბანიდან, ჯერ ჩემი ქალაქის ზემოთ სერგორაკები გამოჩნდა, მერე ჩემი ქალაქი და ბოლოს სანაპირო ზოლიც. მე მოულოდნელად ზუკა გამახსენდა. ის ხომ შარშან, ზუსტად ამ დროს, გავიცანი. ნეტავ კი შემახვედრა... ვინ იცის იქნებ ამ ზაფხულსაც ჩამოიყვანა მამამისმა მამიდასთან სტუმრად. თუ ჩამოიყვანა თავის მერხზე დამჯდარი ისევ დაელოდება თეთრ გემს. ალბათ, ბავშვს დედა არა ჰყავს და ატყუებენ, შენი დედა შორსაა წასული და უნიშნო თეთრი გემით დაბრუნდებაო. ისიც ზის და ელოდება მოთმინებით მის გამოჩენას.

ჩასვლისთანავე მივალ სკვერში ზუკას მერხთან, იქნება კიდევ დამხვდეს.

ნაპირს მივალექით. მე ახალშექმნილი თეთრი ბაფთიანი ქუდი დავიხურე და ნაპირზე გადმოვვდი.

ორი კვირით წასულს მშობლიური ქალაქი მომნატრებოდა და ამიტომ ფეხით გავუყევი გზას შინისაკენ. მივუახლოვდი თუ არა სკვერს ბავშვის ხმა შემომესმა:

- დედა! დედა! დედიკო! ჩამოხვედი?! - მეძახდა პატარა და ჩემსკენ გამორბოდა. ამას ვის ვხედავ, ეს ხომ ზუკაა!

მე ინსტიქტურად ხელობარგი ძირს დავდე და მის დასახვედრად მოვემზადე. აქომინებული ბავშვი გულზე შემომახტა, ხელები შემომხვია და თავი მკერდზე მომადო. მისი გული ჩიტის გულივით ფართხალეზდა.

- დედიკო, ვიცოდი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდი. კიდევ კარგი აქ ვიყავი, თორემ ხომ შეიძლებოდა ვერ დამენახე და ისევ უკან გაჰყოლოდი თეთრ გემს, - ტიტინებდა პატარა.

საუბარში გართულებს უცნობი მამაკაცი მოგვიახლოვდა, წამიერად შედგა და მორიდებით, ბავშვის საქციელის გამო, ბოდიში მომიხადა.

- თქვენი შვილია? - ვკითხე უცნობს.

- ღიას!

- ჩვენ უკვე დიდი ხნის მეგობრები ვართ, ასე რომ საბოდიშო არაფერი გაქვთ.

- გთხოვთ ბავშვი ძირს დასვათ ქალბატონო, მან უკვე მოასწრო თქვენი დასვრა.

- არა უშავს, ასეთ მეგობარს უფრო მეტიც ეპატიება.

- ზუკა, შვილო, დეიდას ნულარ შეაწუხებ, - სთხოვა მამამ შვილს.

- ეს დეიდა კი არა ჩემი დედიკოა. შენ თვითონ არ მითხარი შენი დედიკო უნიშნო თეთრი გემით მოვა და თეთრი ქული ეხურებაო. აი უკვე მოვიდა.

- ზუკა, გთხოვ დეიდას დაემშვიდობე, უნდა წავიდეთ, ხომ არ დაგავიწყდა მამიდა რომ გველოდება.

- ეს დეიდა კი არა ჩემი დედაა, მე არსადაც არ წამოვალ ჩემს დედიკოსთან მინდა! - გაჯიუტდა პატარა.

- ასე როგორ შეიძლება, არ გრცხვენია!

- ეს უცხო დეიდა კი არა ჩემი დედიკოა! - გაიმეორა თვალცრემლიანმა პატარამ და უფრო მაგრად მომეკრა მკერდზე.

- აბა ახლა, სულ მთლად ნუ გაგიჟდები!

- არსადაც არ წამოვალ, დედიკოსთან უნდა დავრჩე, - მორთო ისტერიული ტირილი პატარამ.

- ქალბატონო, გთხოვთ ბავშვი ძირს დასვათ.

ამის გამგონე, პატარა მთლად გადაირია, ორივე ხელებით ჩამაფრინდა და მთელი სხეულით მომეკრო.

- ეს რა ხდება?! - შეწუხდა მამა.

- არა უშავს, ბატონო, ბავშვია და...

- რომ არ მოგცილდეს?

ამ კითხვაზე აღარ მიბასუხია, ბავშვს ვთხოვე ძირს ჩამოსულიყო და წინ გამძღოლოდა მამიდამისის სახლისაკენ. მთელ გზაზე მას ჩემთვის ხელი არ გაუშვია და არც ენა გაუჩუმებია. ათას კითხვას მისვამდა. აინტერესებდა სად ვიყავი და რატომ დავიგვიანე.

შებინდებისას ბავშვი ერთიანად მოითენთა და მიიძინა. ჩემი ტელეფონის ნომერი დავუტოვე ყოველი შემთხვევისათვის ზუკას მამიდას და სახლში წავედი. შინ მისულს ერთი სიტყვაც არ მითქვამს დედაჩემისთვის მომხდარის შესახებ. დაღლილი ვიყავი და აღრიანად ჩავწექი ლოგინში დასაძინებლად, მაგრამ არ იქნა და არ დამეძინა. ბავშვის ქცევამ ჩემში ჯერ განუცდელი გრძობა დაბადა. არ მინდოდა მეფიქრა, რომ ის ჩემი შვილი არ იყო და რომ მე მის წინაშე პასუხისმგებლობა არ მეკისრებოდა.

მოუთმენლად ველოდი დილას. ის კი ზოზინით მოდიოდა. როგორც იქნა საძინებელში მამლის ყვილის ხმა გაისმა და წამიერად ფიქრი დამიფრთხო. ლოგინიდან წამოვდექი, ფანჯარა გამოვადე, ღამის სიგრილე ერთბაშად მომაწყდა მთელ სხეულზე, გამომაცოცხლა და განწყობა გამომიკეთა, თუმცა ფიქრიდან მაინც ვერ გამანთავისუფლა. ის ზუკას დასტრიალებდა.

- ნეტავ როგორაა ზუკა? იქნებ გამოეღვიძა და რომ ვერ დამინახა, ატირდა კიდევ. როგორ ეშინოდა დაძინების, დედიკო არსად გამეპაროსო. მე კი ჩაიძინა თუ არა, იმწამსვე გამოგეპარე. ორიოდღე წუთითაც კი არ შევეყოფიდი ობოლი ბავშვისათვის. ცუდად მოვიქეცი, არ უნდა დამეტოვა მძინარე. ვინ იცის, ახლა იქნებ კიდევ დამეძიებს და ტირის.

ერთბაშად წარმოვიდგინე თვალცრემლიანი დედამონატრეხული პატარა, წარმოვიდგინე და ხელი თვითონ გამექცა ტელეფონისაკენ. ყურმილი ზუკას მამიდამ აიღო.

დედიკო მინდა! სად წავიდა ჩემი დედიკო? ისმოდა ბავშვის ისტერიული ტირილი. აღარაფერი მიკითხავს ბავშვის მამიდასათვის. ყურმილი იმწამსვე დავდე და დედაჩემი გავადვიძე. ვთხოვე გამყვი მეტქი. მე კი არ მივდიოდი ზუკასთან, არამედ გავრბოდი და თან აქომინებული დედაჩემის კითხვებს აბდაუბ-

და ვპასუხობდი.

მისვლისთანავე ბავშვი მთელი სხეულით მომეკრა. პაწაწინა ხელები მხრებზე მომხვია და ტირილით მითხრა, რომ არასოდეს დაიძინებდა.

მეორედ იყივლა მამალმა. მიუხედავად მისი ქაღილისა, რომ არასოდეს დაიძინებდა, მაინც ჩაიძინა. ნაზად ჩავაწვინე ლოგინში და გვერდით მივუწეე. ბავშვი ჯერარგანცდილი სითბოთი მათბობდა.

მზე საკმაოდ აწეული იყო ჰორიზონტზე, როცა გამოვიღვიძე. ოთახში ფანჯრიდან შემოსული მზის შუქი ჩვენს მოპირდაპირე კედელს ეცემოდა. კედელზე სურათი ეკიდა, რომელზედაც ზუკას მამასა და თეთრქულიან ქალბატონს ხელში ჩვილი ეჭირათ. მე ყველაფერს მივხვდი.

- დედიკო, ხომ აღარასოდეს მიმატოვებ? არ მიმატოვო თუ არა ვიტყვებ, - ჩაილაპარაკა პატარამ.

თავი ოდნავ წამოვწიე და ბავშვს დავხედე, მას ეძინა.

- არა, შეილო, აღარასოდეს მიგატოვებ, - შევპირდი პატარას.

# მეეზოვე გოგია

- რას ჰგავს, გოგია, ეს! არ გრცხვენია ამ ხნის კაცს?
- რატომ მიწყრები, ქალბატონო ეთერ?!
- რას ჰქვია, რატომ გიწყრები. როგორ შეიძლება ამდენი ხმელი ფოთლის დატოვება გაზონის ძირებში! ახლავე მობრუნდი და სათითაოდ აკრიფე!
- ავკრეფ, ქალბატონო, ისე ავკრეფ, რომ ერთსაც ვეღარ ნახავ.
- არ აკრეფ და... - აღარ დაამთავრა წინადადება ქალბატონმა.
- რატომ მემუქრები? - ხმას აუწია მეეზოვემ.
- რას ჰქვია, რატომ გემუქრები, არ იცი, ღღეს ამ გზაზე ამ მხარის ახალმა პროკურორმა რომ უნდა გამოიაროს?
- გამოიაროს, მერე!..
- რა არხეინად ლაპარაკობ, გოგია?
- ნეტავ რატომ არ უნდა ვილაპარაკო, ანდა რატომ უნდა მეშინოდეს მისი, ჩინ-მედლებს ჩამომხსნის თუ?
- მეც კარგი ვინმე ვარ, ამდენი ხანია ჩემთან მუშაობ და ის ვერ გამიგია, რომ შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. შენ ხომ ვერაფერს გაგაგებინებს ადამიანი.
- რატომ მლანძღავ, ქალბატონო ეთერ?
- გლანძღავ კი არა, ენა გააჩერე, გოგია, და საქმეს მიხედე, თუ არა, მე ვიცი...
- თქვი, რა იცი! თუ არ მოგწონვარ, სხვა იშოვე ჩემზე უკეთესი, - თქვა გოგიამ და ცოცხი გაზონებში მოისროლა, ხალათი გაიფერთხა, უფროსს ზურგი აქცია და წასვლა დააპირა.
- სად მიდიხარ?
- მივდივარ! - იყო მოკლე პასუხი.
- სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, არ იცი ერთ ორ საათში ახალი პროკურორი უნდა ჩამოვიდეს თბილისიდან.
- არ მაინტერესებს, ვინ, სად და როდის უნდა ჩამოვიდეს. ა, შენი ცოცხი და ვისაც გინდა იმას დააგვიჩენე.

- რას ამბობ, გოგია, არ ხუმრობ?!
  - არა, არ ვხუმრობ, გახსოვდეს მე შენი გოგია არ ვარ. ნორმალური სახელი დამარქვეს ჩემმა შშობლებმა.
  - კარგი ახლა, ხუმრობას მოეშვი, საქმეს მიხედე, თუ არა ცოტა ხანში შემოვლანზე სამმართველოს უფროსი ჩამოივლის და კარგ დღეს არ დამაყრის.
  - ეგ შენი პრობლემაა, მე თავი დამანებე! - თქვა გოგიამ და წასვლა დააპირა.
  - არ დამლუპო, გიორგი, შენი ჭირიმე! ხომ იცი ჩვენი უფროსის ამბავი, ახლა რომ მას პროკურატურის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავებულ-დაკრიალებული არ დავახვედროთ, გაგყრის სამსახურიდან.
  - ეგ შენ, მე კი ჩემი სურვილით მივდივარ.
  - არ ხუმრობ, გიორგი?! - გაუმეორა კითხვა ქალბატონმა.
  - არა.
  - ნუ დამლუპავ, გიორგი, შენი ჭირიმე! ღვთის მადლით, ორიოდ გროში მაქვს აქედან და ნუ დამაკარგვინებ. ხომ იცი როგორ მიჭირს ოჯახში, ნახევრად ვშიშნობ, - შეცვალა ტონი ქალმა.
  - არც მე მიღხინს, ქალბატონო ეთერ!
  - არ დამლუპო, გიორგი, ნუ იზამ ამას!
- გიორგიმ ქალს შეხედა, რომელსაც სახე მთლად გაფითრებოდა და ხმაც უკანკალებდა.
- რა შშიშარაა გაჭირვებული ადამიანი, - გაიფიქრა გიორგიმ და ერთბაშად გატყდა.
  - ნუ გეშინია, ქალბატონო ეთერ, შენ სხვა უბანზე გაიარე, აქ კი ჩემი იმედი გქონდეს, თავს არც მე შევირცხვენ და არც შენ შეგარცხვენ.
  - მართლა?!
  - მართლა.
  - მაშე მქონდეს შენი იმედი, გიორგი? - გაუმეორა კითხვა ეთერმა.
  - გქონდეს.
- დამშვიდებულმა ქალმა სხვა უბნისაკენ გასწია.

წავიდა თუ არა ეთერი, ჯიხურის კარი გავაღე და ეზოში გავვდი. გოგიას გრძელტარიანი ცოცხი ორივე ხელით ეჭირა და ენერგიულად უსვამდა.

- დილა მშვიდობისა, ბატონო გიორგი! - გავძახე შორიდან.  
- შენ ღმერთმა გაგიმარჯოს, მაგრამ ყველა ბატონის დედაც!  
- ბოლომდე არ თქვა სათქმელი გოგიამ.

- რა მოხდა, გიორგი, რად აითვალისწინე ბატონები?

- რად და ბყირივით რომ მახვევიან, იმად.

- თუ არ გინდა შენც ნუ დაიხვევ.

- ეგ ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

- ვერ გავიგე.

- რაა აქ გაუგებარი, გაჭირვებულმა ადამიანმა სიცოცხლე რომ გადაირჩინო, იძულებული ხარ თვითონ გაიჩინო საკუთარი ბატონი, რომელიც სულს, მაინცდამაინც, დიდად არ ეპიტნავება, - თქვა და უფრო ენერგიულად მოუსვა ცოცხი.

- ნუ განიცდი, ცხოვრებაა ასეთი.

- ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენსავე ცხოვრებას, - ჩაილაპარაკა გოგიამ და საქმიანობა გააგრძელა. მივხვდი, მეეზოვეს ჩემთან საუბრის არც სურვილი და არც დრო არ ჰქონდა. კარგად იყავი -მეთქი ვუთხარი და გაცლა დავაპირე, მაგრამ გოგიამ მოულოდნელად თავი ასწია, შემომხედა და მკითხა.

- შინაური კვერცხი მაქვს და ხომ არავინ იყიდის?

- როგორ ჰყიდი?

- ცალს ოც თეთრად.

- მე თვითონ ვიყიდი, ბევრი გაქვს?

- ბევრი როგორ მექნება, სულ სამი დედალი მყავს.

- სამი კვერცხი შენ თვითონ დაგჭირდება.

- კვერცხი კარგია, მაგრამ მაინც პური მირჩენია. ხომ ხედავ, როგორ გვტანჯავენ, ხელოფასსაც არ გვაძლევენ დროზე. მე ამათი დედა, დაბეჯითებით დააბოლოვა წინადადება გოგიამ.

- მაშინ შევთანხმდეთ, შენ ყოველ დილას მომიტან ახალ კვერცხს, - ფული და კვერცხი ხელიდან ხელში გადავცეთ ერთმანეთს, - შევთავაზე მე.

- გავახარა ღმერთმა! - დამლოცა ნასიამოვნებმა.

მოვანდინეთ თუ არა გარიგება, მივხვდი რომ ზედმეტი ვიყავი და ჩემი ჯიხურისკენ გავწიე. შიგ შევედი, ჯერ ისევ ადრე იყო, ჩემსავე გაკეთებულ ტანტზე გავგორდი და მზერა ჭერზე ჩამოკიდებულ ბოწოწიას მივაპყარ. ის განუწყვეტლივ აქეთ-იქით მოძრაობდა.

- ვაი, უბედურო აბლაბუდა, შენც ცოცხალი ხარ და ასე გაწვრილებულმა გინდა გაუძლო სიცოცხლესთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას! - ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

ფიქრებში წასულს ფენის ხმა შემომესმა. სასწრაფოდ წამოვხტი, თანამშრომელი აღმოჩნდა. თავისუფალი ხარო, - მითხრა. მეც გალიიდან განთავისუფლებული ჩიტივით უკან-მოუხედავად „გავფრინდი“ სახლში.

X X X

დილით, როგორც ყოველთვის, ცოცხის ხმამ გამომალვიდა. წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე და ქუჩაში გავედი.

ისევ ძველებურად, ენერგიულად უსვამდა ჩაფიქრებული გოგია ცოცხს.

- დილა მშვიდობისა, გიორგი! - გავძახე ხმამაღლა.

- ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს, კარგო კაცო! - ხმამაღლავე მიპასუხა მან.

- როგორაა გიორგი საქმე, ჩვენი კომერციული გარიგების პირობა ხომ არ დაგირღვევია?

- არა, მოგიტანე.

ჯიბიდან ხურდა ამოვიღე, სამოცი თეთრი გადავთვალე, გიორგისთან მივედი და მივაწოდე. არ ავიღებო, იუარა.

- რას ჰქვია არ აიღებ? - გავძალიანდი მე.

- სხვა ღროს ავიღებ, მაგრამ ამჯერად საჩუქრად მინდა გავატანო.

- ვისთან უნდა გამატანო?

- შენს შვილიშვილთან.

- ხელსაც არ ვახლებ, თუ ხურდას არ გამომართმე.

- შენ ვინ გკითხავს სხვის საჩუქარზე უარის თქმას? ამ სამ კვერცხს შენს შვილიშვილს ვჩუქნი და არა შენ. გამიხარდება,

თუ შვილიშვილს ჩემგან გატანებულ საჩუქარს მიუტან.

- ცოდო ხარ, გიორგი!

- ვითომ რატომ ვარ ცოდო, ხომ გაგიგონია, ძმაო, „კაცი მარტო პურიით არ ცხონდებისო“.

უხმოდ გამოვართვი გოგიას კვერცხები, მადლობა გადავუხადე და ჯიხურისკენ გავწიე.

ღრო გადიოდა. მე დიდი სიამოვნებით ვყიდულობდი კვერცხს გოგიასგან. მე და მას ერთ დღესაც არ დაგვირღვევია დადებული პირობა...

გაილია ზაფხული და შემოდგომამ მოატანა. სულ უფრო და უფრო შეეჩვია ცას ღრუბელი და დილას ნისლი. უკვე მეტუთე დილაა, რაც ცოცხის ხმას აღარ გამოუღვიძებია. მართალია ჟინჯლავს, მაგრამ მიწა ამ ხუთი დღის განმავლობაში ერთხელაც არ დასველებულა ისე, რომ მისი დაგვა შესაძლებელი არ ყოფილიყო. პირიქით, ქუჩის დაგვის დარიღას, - ვფიქრობდი ჩემთვის.

მეექვსე დილას ძილში ცოცხის ხმა ჩამესმა. გავიხარე კაცმა, გოგია დაბრუნდა -მეთქი და ქუჩაში გამოვვარდი. მეეზოვეს შევხედე, მთლად ახალგაზრდა ბიჭი იყო. გოგია მოვიკითხე.

- როგორ, არ გაგიგია, გოგია ძია რომ გარდაიცვალა?! - გაიკვირვა ახალგაზრდამ.

- რა მოუვიდა, გოგიას?! - ვკითხე შემკრთალმა.

- გოგია ძია შეამცირეს, ასე უთხრეს შენ პენსიონერი ხარო.

- მერე?

- მერე და გული გაუსკდა.

- ხომ არ იცი, სად ცხოვრობს და როდის ასაფლავებენ?

- უკვე დაასაფლავეს მეზობლებმა.

- კარგად იყავი, შვილო, - ვუთხარი მეეზოვეს და თავდახრილი, ნელი ნაბიჯით ჯიხურისაკენ წავედი. ტანტზე წამოვწიქი. მაგონდებოდა რამდენიმე თვის წინათ გოგიასაგან ნათქვამი სიტყვები: - მშიშარაა გაჭირვებული ადამიანიო.

## ჩემი „ნიავექარი“

- „მალარიჩი“ შენზეა, ბატონო გოგი! მერწმუნე, ხვალ შენი ნახატები ბევრი ჩამოიხსნება კედლიდან. კაცი ვნახე, ნამდვილი კოლექციონერი. მთელი ვალერეა ნახატები აქვს, მილიონერია, ძმაო, მილიონერი! თუკი რამ მოეწონა, ყველაფერს ყიდულობს, ფული არ ენანება.

- არტიომ, მშვიდად თქვი რაშია საქმე?

- რაშია? რაშია და ხვალ შენს სახელოსნოში კაცი უნდა მოვიყვანო, აბა შენი იცი, სურათებს შესაფერისი ფასი დაადე, კი არ დაიბნე, ბიჭო! თუ რომელიმე მოეწონა მასში კარგ ფულსაც გადაიხდის. ხომ მაგრებია შენი ნახატები? არ თქვა არაო, თორემ გამისკდება კაცს გული, - გააგრძელა არტიომმა.

- ჰო, მაგრებია.

- მაინც რა ფასისაა აი ეს სურათი? - იკითხა შუამავალმა და თითოთ კედელზე ჩამოკიდებულ საკმაოდ მოზრდილ ტილოზე მიმანიშნა, რომელზედაც თეთრი გვირილეებით მოჩითულ ტრიალ მინდორზე თეთრი კვიცი მიჰქროდა ფაფარაშლილი.

- რომელი არტუმი, ეს?

- ღიახ ეგ, ეგ კვიცი.

- ეს ჩემი „ნიავექარია“. ასე ჰქვია.

- და მერე რა ღირს ეგ შენი „ნიავექარია“ თუ გრიგალ - „ურაგანი“. არ იტყვი ბოლოსდაბოლოს?

- ამას ფასი არ აქვს, არტუმი!

- როგორ, არ ვარგა?! მე მომწონს.

- მეც მომწონს და იმიტომაც არ აქვს ამ სურათს ფასი.

- მომწონს, კარგია და ფასი არ აქვს. ეს როგორ? - ჩაილაპარაკა არტიომმა ხმადაბლა თავისთვის და გაპარჭყულ - თითებიანი ხელის მტევანი საკუთარ ცხვირთან ახლოს რამდენჯერმე შეაბრუნ-შემობრუნა.

- მოიყვანე, მოიყვანე. ვინც გინდა ის მოიყვანე, თორემ მომიწევს მუშაობის შეწყვეტა.

- რატომ?

- როგორ თუ რატომ? აღარც ტილო მაქვს და აღარც ზეთი. გუაშსა და აქვარელოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ეს სამიოდე ფანქარი და ცოტაოდენი ქალაღია ჩემს ბარობაზე დარჩენილი, - ვუთხარი არტიომს და საფანქრეში ჩაწყობილ ფანქრებზე მივანიშნე.

- შენ მაგას ნუ დარდობ, ხვალ ყველაფერს შეიძენ.
- შენს პირს შაქარი, „მალარიჩი“ ჩემზე იყოს.

მთელი ღამე არ დამეძინა. ვფიქრობდი თუ ვინ გახდებოდა ჩემი „ნიავქარის“ პატრონი.

ინათლა თუ არა, საწოლიდან წამოვდექი, სკამს ხელი მოგვიდევ და ფანჯარასთან მივიტანე, აქედან კარგად მოსჩანდა ჩვენი ეზო. ვიჯექი და თვალს არ ვაცილებდი ეზოში გზას. არტიომი და მისი „კოლექციონერი“ ნაცნობი კი არა და არ ჩანდნენ.

ქუჩებში აგვისტოს ხვატი ჩამოწვა და მთლად გაათარანა ქალაქი. მე იმედი გადამეწურა. ფანჯარა მივატოვე და სამზარეულოში შევედი. ის იყო, საუზმეს უნდა შევდგომოდი, რომ ზარის ხმა გაისმა. სასწრაფოდ წამოვდექი და კარი გავაღე. სადარბაზოში არტიომი იღვა უცნობთან ერთად.

- მობრძანდით! - ვთხოვე სტუმრებს და პირდაპირ იმ ოთახისაკენ გავუძიხი, რომლის კედლებზედაც ჩემი ნახატები იყო ჩამოკიდებული.

- საიდან დავიწყოთ? - იკითხა უცნობმა.

- წაღმა, ქრისტიანულად, - დამასწრო პასუხი არტიომმა.

- რატომ გრიგორიანულად არა? - გაიხუმრა მოსულმა და ეშმაკურად ჩამიკრა თვალი.

- გრიგორიანელი მამაჩემი იყო, ცხონებული. მე ბაქრაძე გახლავარ.

- ბაქრაძე და მაინც არტუშა, არა? - ისევ ჩამიკრა თვალი უცნობმა.

- მასეთებს არ ვიყოთ, გერვასი. შენ კარგად იცი მტკვარი რომ კარგა ხნის წინათ გადავცურე.

- კაცს ჩვენი უნდა რომ იყოს და შენ ხელს ჰკრავ? - ჩავერთე მე მათ ხუმრობაში.

- ხელს როგორ ვკრავ, „ტრუსიკის“ მეგობარია, ერთად გავიზარდეთ ღვინის აღმართზე.

- ღვინის აღმართზე გაზრდილ კაცს, ალბათ ეს სურათი მოგეწონება.

- აბა, რომელი?

- აი, ეს, - ვუთხარი არტიომის „კოლექციონერს“ და ნახატზე მივუთითე, საიდანაც სახელაჯლაყებული მოქეიფენი იცქირებოდნენ.

- ო, ეს მართლაც რომ კარგია! განსაკუთრებით მომწონს ეს კათხის მსგავსი კაცი. ყოჩაღ ამას! თავისი სიგრძე ყანწი არ დაუჭერია ხელში!..

- რამდენი მოგართვათ? - მკითხა უცნობმა ცოტა ხნის პაუზის შემდეგ.

- ორასი ლარი.

- ორასი?

- ვაჭრობაც შეიძლება, ბატონო!

- რის ვაჭრობა, რა ვაჭრობა, ამისდარი სურათი აქ არ გაგაჩნია და ამაზე როგორ შეგევაჭრები? ჩამოხსენი არტუმი!

- როგორ არ გამაჩნია, ბატონო, ეგ ყველაზე მდარე სურათია აქ.

- ეს თუ მდარეა, მაშინ ამაზე რაღა უნდა ითქვას?

- რომელზე?

- რომელზე და აი ამაზე, - თქვა კოლექციონერმა გერვასიმ და ჩემს „ნიაფქარზე“ მიმითითა.

- რას ბრძანებთ, ბატონო?! ეგ ხომ ჩემი შემოქმედების მწვერვალია.

- ხუმრობ?!

- არა, არ ვხუმრობ. აბა, შეხედე, რა სიცოცხლე მოჩანს ცხოველის თვალებში. სივრცეს ვერ გრძნობ? ცისფერს დააკვირდი, თითქოს გვირილებთან საუბრობდე.

- გვირილებთან კი არა აღამიანებთან გაჭირდა საუბარი, რაც დრო შეიცვალა, - დააბრაზუნა თავისი აზრი კოლექციონერმა და გაჩუმდა. გაფრთხილდა მეც.

ერთი-ორი წუთით ითანში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა,

რომელიც ისევ გერვასიმ დაარღვია.

- რამდენს ითხოვთ თქვენს „შედევრში“, ოსტატო?

- ათი ათას დოლარს.

- რა ამბავია ათი ათასი, ოსტატო?!

- ჩვეულებრივი ამბავია, ეს ნახატი მეტიც ღირს.

- არ მითხრა გიგო გაბაშვილის „ბუხარის ბაზრის“ ბადა-ლიაო.

- „ბუხარის ბაზარი“-„ბუხარის ბაზარია“, ჩემი „ნიავექარი“

კი - ჩემი „ნიავექარია“.

- რა იყო, კაცო, გეხუმრე, ხომ არ გეწყინა?

მე პასუხი აღარ გავეცი, საერთოდ გაეჩუმდი.

- რატომ გაჩუმდი, გიორგი ბატონო?

- ისე.

- მჯერა შენი გემოვნებისა, ოსტატო! ხვალ მოვალ, ფულსაც მოგიტან და ნახატსაც წავიღებ. მხოლოდ ცოტა რამ უნდა შეცვალო ნახატზე.

- არ გადამრიო, ადამიანო, ამაზე რამეს შეცვლა როგორ შეიძლება?!

- როგორ არ შეიძლება. ვერ ამჩნევ, კვიცს რა წვრილი და მალალი წვივები აქვს. სიმაღლეს რაღას უშველი, მაგრამ წვივები კი უნდა გაუსქელო.

- კიდევ რა არ მოგწონს?

- ცოტა კისერიც გაუმსხვილე, შეე კაცო! დრუნჩიცი ზორბა რომ იყოს კარგი იქნებოდა. ჰო, ესენი შემიცვალე. აბა შენ იცი. ახლა მე წავედი და ხვალ აუცილებლად მოვალ, - დამაიმედა კოლექციონერმა და გავიდა.

- ესეც ასე! ვინ ვარ მე „მაკლერი“ არტუშა? - შესძახა არტიომმა და ხელი ხელის დასაკრავად გამომიწოდა.

- ვინ ხარ და არტუშ გეგორქიჩი და მეტი არაფერი.

- ე, რა სიფათი გაქვს, ბიჭო! ერთ დღეში გამდიდრდი და არ გიხარია? - წყენით მითხრა არტიომმა.

- ჰკვიანებს, გიჟებისგან განსხვავებით იშვიათად უხარიათ, არტუშ!

- კარგი ახლა... უკეთესს დახატავ.

- ალბათ დავხატავ, მაგრამ ის რომ „ნიავექარი“ აღარ იქნება?

\* \* \*

მთელი ღამე არ მომეკარა ძილი. ათასჯერ წავილე კვიცის წვივისაკენ საღებავში დასველებული ფუნჯი, მაგრამ ერთხელაც ვერ მივაკარე. ამისათვის ძალა არ აღმომამჩნდა.

ირიჟრაჟა თუ არა, ფანჯარა გამოვალე და თავმოხსნილი საღებავი ფუნჯიანად ეზომი გადავისროლე, მერე სავარძელში ჩავჯექი და იქვე მკვდარივით ჩამეძინა.

თორმეტ საათზე არტიომი და გერვასი მოვიდნენ.

- რა ჰქენი გიორგი, დაუმსხვილე კვიცს წვივები? - მკითხა გერვასიმ.

- არა! - ვუპასუხე მოკლედ.

- რატომ არა, ხომ შევთანხმდით?

- ბოდიში, გერვასი ბატონო, ნახატი აღარ იყიდება.

## კაცურკაცობის საზღაური

ჩვენი სასაუზმის წინ უცხოური მანქანა გაჩერდა. იქიდან ელევანტურად ჩაცმული მამაკაცი გადმოვიდა და გზის მოპირდაპირე მხარეს ისე გადავიდა, რომ ჩვენი სასაუზმისკენ არც კი გამოუხედავს. გალიაში გამომწყვედელულ დათვთან მივიდა და ცქერა დაუწყო.

- იოსებ, ნადირს აჭამე თუ არა აგვიკლებს, - გამომძახა მზარეულმა ფანჯრიდან ეზოში მდგომს და ლანგრიტ პურის ნატეხები გამომიტანა.

- ეს ეყოფა, შალიკო, ნახევარტონიან ნადირს?

- არა, ბიჭო, თონიდან ახლადწამოფრენილ ლავაშებს მივართმევ ჰყინტ ყველთან ერთად.

- კი არ ეყოფა და...

- აილე რასაც გაძლევ და მიუტანე, მაგაზე მაგის პატრონი არ ფიქრობს და შენ რად იხეთქავ გულს ნეტავ?

- მერე რა რომ ნადირია... - მინდოდა მეთქვა მაინც ცოდვაა -მეთქი, მაგრამ აღარ დავამთავრე სათქმელი და ლანგარი გამოვართვი. გზა ფრთხილად გადავკვეთე და დათვის გალიასთან მივედი.

ბაჯბაჯას უკანა ფეხები შეეკეცა და სათხარში დაღლილი გლეხივით დამჯდარიყო წინა ტორებჩამოშვებული. მზერა გვერდით მდგომ მგზავრისაკენ გავაპარე, რომელიც თვალგაუტეხლად უცქერდა ნადირს.

ლანგრიდან პურის ნატეხები გალიაში შევყარე. დათვმა, როგორც ყოველთვის, დინჯად და უმადურად დაიწყო ჭამა.

- რას ერჩით ამ უბედურს? - მოულოდნელად მკითხა უცნობმა.

- რატომ ვერჩით, პირიქით, ტყეში დაწანწალებდა, პანტითა და მაჟალოთი თუ გაიბეყებოდა, ისიც ხანდახან, ალბათ, ბედნიერად მიაჩნდა თავი. აქ კი ზოგჯერ ხაჭაპურის ნატეხსაც გამოჰკრავს -ხოლომე ხელს.

- თუ ბედნიერია, მაშინ რატომაა ასეთი სევდიანი?

უცნობს შევხედე და გავიღიმე. მან კი ღიმილის პასუხად მეკვანძე მკითხა:

- ხომ არ გაყიდით, ამ უბედურს?
- რა თქმა უნდა, არა!
- ღიღ თანხას მოგცემთ. ცოდვაა, ნუ ტანჯავთ გალიაში.
- დათვი მე არ მეკუთვნის, მაგის პატრონი აქ არ არის, ორი ღლის შემდეგ დაბრუნდება.

- ტელეფონით ვერ დავუკავშირდები?
- ვერა!
- არ აქვს?
- აქვს, მაგრამ ისეთ მივარდნილ სოფელშია, რომ დენი თვალისდასანახად ენატრებათ. დღეს ჩვენც ვეცადეთ დავკავშირებოდით და ვერ მოვახერხეთ. ალბათ ელემენტი დაუჯდა.

- მითხარი ნომერი. ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მონახევრეაო. უცნობს ნომერი ვუკარნახე, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. გულდაწყვეტილმა მგზავრმა ტელეფონი ჯიბეში ჩაიღო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- რა ყარს ეს უბედური!
- არამკითხეს ამრეზით შევხედე და უკან დაბრუნება დავაპირე.

- ნეტავ რას მიყურებ, ტყუილი ვთქვი თუ?!
- ტყუილი არ ვითქვამს, მაგრამ... - მინდოდა მეთქვა ეგ რა შენი საქმეაო ან შენ ვინ გკითხავსო.
- თქვი სათქმელი, რატომ გაჩუმდი? - შემომიტია უცნობმა. მე ვღუმდი.

- რატომ ღუმხარ? სათქმელი არ გაქვს ხომ?..
- არამკითხეს არაფერი ვუბასუხე და ზურგი ვაქციე.
- სად მიდიხარ? ჯერ სათქმელი არ დამიმთავრებია, - დამაწია სიტყვა.

მართალია, სახეზე წამოგჭარხლდი, მაგრამ თავის შეკავება მაინც შეძელი და მშვიდად ვთხოვე დაემთავრებინა თავისი სათქმელი.

- აქ რას აკეთებ? - მკითხა უცნობმა.
- ღღისით სხვადასხვა საქმეს მავალბენ. ღამით კი აქაუ-

რობას ვდარაჯობ.

- მეგობარო, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, - გააგრძელა ისევ.

- ბრძანე.

- ორიდღე დღის შემდეგ გამოვივლი, მანამდე იქნებ გამირკვიო მომყიდის თუ არა დათვის პატრონი ნადირს. უთხარი, რომ კარგ თანხას გადავუხდი და არც შენ დაგტოვებ „მალარიჩის“ გარეშე.

- არა მგონია. ამით ის კლიენტებს იზიდავს და ფულს აკეთებს.

- ფულს თუ აკეთებს ის დალოცვილი, ასე უდიერად რად ეპყრობა? ვერ ამჩნევ მოუვლელიობით სუნი რომ ასდის?

- ეჰ, ჩემო ძმაო. სამაგიეროდ ფულს არ ასდის სუნი.

უცნობმა შემომხედა და გაიღიმა.

- როგორ მართალს არ ვამბობ? - ვკითხე ისევ.

- მართალს ამბობ, - ჩაილაპარაკა მგზავრმა.

- იოსებ, სად დაიკარგე, შეე კაცო! - გამომძახა სასაუზმის კარებში ჩამდგარმა მზარეულმა და საუბარი გაგვაწყვეტინა.

მგზავრს ბოდიში მოვუხადე და წასვლა დავაპირე. დაც-ილებიდან მან ისევ მთხოვა აუცილებლად გამეგო გაყიდლა თუ არა პატრონი დათეს.

- მგზავრი შენი ნაცნობი იყო? - მკითხა მზარეულმა.

- არა.

- ერთმანეთს კი ვერ დაცილდით და...

- დათვი მომყიდეთ, კარგ თანხას გადაგიხდითო, მთხოვდა.

- ზოოპარკის დირექტორი იქნება.

- არ ვიცი ვინ იყო, მაგრამ ძალიან კი შეეცოდა ნადირი.

- ნადირი კი არა, თუ ძმა ხარ, ადამიანები აღარავის ეცოდება.

- რატომ ფიქრობ, შალიკო, ასე? რომ არავის ვეცოდებოდეთ არც ეს გატკიცინებული გზა გვექნებოდა, - ვთქვი და ახლადდაგებულ ასფალტს გაგხედე, რომელზედაც სიცხისაგან ჰაერი ლივლივებდა.

- მაინც რად უნდა უნდოდეს იმ კაცს დათვი? - ჩაილაპარაკა-

კა შალიკომ და სამზარეულოში შებრუნდა.

\* \* \*

მთელი კვირა ველოდი უცნობის გამოჩენას, ის კი არ ჩანდა. ველოდი არა იმიტომ, რომ დათანხმდა გაყიდვას დათვის პატრონი, არამედ გამეგო ვინ იყო და რატომ მოიწადინა ასე ნადირის შექენა.

ჩვენი შეხვედრიდან მერვე დღეს, დილით, თუმცა დილა არც კი ეთქმოდა, ტოროლებს ჯერ ისევ ეძინათ ძახილმა გამომავლიდა. ვილაც ეზოდან მიხმობდა.

- იოსებ, ადექი კაცო, რა დროს ძილია, აშენდა ქვეყანა. ადექი, ერთად შეხვედეთ ალიონს.

არ ავმდგარვარ, მხოლოდ წამოვიწიე და ფანჯრიდან მტრედისფერ ნათელში ჩემი ნაცნობი მგზავრი დავინახე.

- ეს თქვენ მობრძანდით, ბატონო?

- როგორ თუ მოვბრძანდი, რად გაიკვირე, გეტყობა არ იცი როგორი სიტყვის კაცი ვარ, - თქვა მან.

სასწრაფოდ წამოვდექი და ეზოში გავედი.

- იოსებ, რაო დათვის პატრონმა?

- ათას დოლარ ნაკლებ არ მივცემო.

- უსინდისო კაცი ყოფილა. რა ამბავია ათასი დოლარი, დათვია, გამყინვარების ეპოქიდან შემორჩენილი მამონტი ხომ არაა, შეე კაცო!

- ასე თქვა და...

- უსინდისო კაცი ყოფილა, - გაიმეორა უცნობმა. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა:

- შენ უნდა მომყილო დათვი, იოსებ.

- ეს როგორ? ის რომ ჩემი არ არის!

- იოსებ, ათას დოლარზე მეტს მოგცემ, მთლად ამოვიცალიერებ ჯიბეებს, ერთ თეთრსაც არ დავიტოვებ, მხოლოდ დათვი ტყეში გაუშვი.

- ვერ გაუშვებ, არ შემიძლია.

- იოსებ, გთხოვ დათვი გაუშვა. იცოდე ჩემს ჯიბეში საკმაოდ დიდი თანხაა, რომელიც ერთი წუთის შემდეგ შეიძლება

შენი გახდეს.

- ვერა, ძმაო, მაგას ნუ მთხოვ, ეგ ხომ ქურდობის ტოლფასია.

- უსინდისოა შენი უფროსი, იოსებ! კაცია ოჯახს მოგწყვიტა და ორმოცდაათ ლარს გიხდის?

- მერე რა? მაგისათვის მეც ხომ არ გავხდები უსინდისო.

- იოსებ, ერთ წუთს გაძლევ მოსაფიქრებლად, მხოლოდ იცოდე, დათვს ნებით თუ არ გაუშვებ, ძალით გავაშვებინებ.

- შენ, კაცო, როგორ მელაპარაკები, ვინ გგონივარ ნეტავ, ერთი გაბედე და... - აფუწიე ხმას.

- უსინდისო კაცია შენი პატრონი!

- ნეტავ რად დაიჯინე, უსინდისოა, უსინდისოო. ვითომ რა გინდა მითხრა. ალბათ მომიწოდებთ შენც უსინდისო გახდიო არა? მე მე ვარ და ის-ის. ფულისათვის სინდისს ვერ გავყიდი. მერე რა უსინდისო რომ არის? ჩემი იმედი ხომ აქვს, რით ვიქნები მასზე ნაკლები უსინდისო, თუ იმედს გავუტყრუებ.

- კაცია ყოფილხარ კაცური, იოსებ! - თქვა მგზავრმა და მანქანისაკენ შებრუნდა.

- მადლობა ღმერთს რაკი მიდის, - გავიფიქრე და მშვიდად ამოვისუნთქე, მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მგზავრი მანქანასთან მივიდა, საბარგული ახადა, მოკლე ძალაყინი ამოიღო და გალიისაკენ წამოვიდა.

- არ გაბედო! - შევეყვირე ისტერიულად და წინ გადავუღე ექი.

- იოსებ, შენი ჭირიმე, ძალიან გთხოვ, ხელს ნუ შემისლი.

- რას მთხოვ კაცო?! ხომ არ გავიყდი! მაგის საზღაურს მთელი ცხოვრება ვერ გადავიხდი. დამეხოცება ცოლ-შვილი შიმშილით და ისაა!

- შიში ნუ გაქვს, იოსებ, შედეგზე მე ვაგებ პასუხს შენთან.

- რა თავში ვიხლი შენს პასუხისმგებლობას. შე გიჟო, შენა!

- შეეძახე და მგზავრს დავეტაკე. მან ჯერ ძალაყინი გალიისაკენ გაისროლა, მერე ერთი ხელი უკან პერანგის საყელოში ჩამაგლო, მეორე ქამარში და მოდულუნე მდინარის პირას მიმიყვანა.

- იოსებ, გთხოვ, ხელი არ შემისალო, თორემ მდინარეში

გადავიძახებ.

- ვის გადაუძახებ, შე გიჟო შენა, მე შენი...

წინადადების დამთავრება ველარ მოვასწარი. მან ჰაერში ამიტაცა და ფერღობზე გადამიძახა. გორვა-ხტუნვით შევევარი მორევში.

წყალმა გამომავხიზლა, ნაპირზე გამოვცურე, თხმელის საკმაოდ მოზრდილი ტოტი ვიპოვე, ხელში დავიჭირე და გაცეცხლებული აღმართს ავუყევი.

- უნდა მოვკლა, აუცილებლად უნდა მოვკლა! - ვიმეორებდი ყოველ წამს და რაც შემეძლო ვჩქარობდი, რომ მგზავრს ჩემთვის არ გაესწრო. ამოვივაკე თუ არა, წელში გავსწორდი და გალიისაკენ გავიხედე; გალიასთან კაცი და მის წინ უკანა ფეხებზე დამდგარი დათვი დავინახე, რომელსაც ცალი თათი ადამიანისათვის მხარზე დაედო და ღრუნჩი მარჯვენა ყურთან ისე ახლოს მიეტანა გეგონებოდა რალაც საიდუმლოს უამბობსო.

- გაიქეცი, შე უბედურო! - შეგვივლე შეშინებულმა და თხმელის ხმელი ტოტი მალლა ავწიე ნადირის შესაშინებლად. დათვმა ერთი კი გადმოხედა, მაგრამ შევატყვე მაინცდამაინც ძალიან არ შეშინებია, არც ჩემი და არც თხმელის დამპალი ტოტისა.

- გაიქეცი! გაიქეცი! ეგება არ გამოგეკიდოს, - ვთხოვდი მგზავრს. მან გადმოხედა და ყალყზე შემდგარ დათვს ხელი ქედზე ჩამოუსვა.

ამის შემდეგ ნადირი ოთხზე დადგა, ერთხელ კიდევ დაყნოსა თავის მხსნელს, მერე რამდენჯერმე დაიღრიალა და იქით დაეშვა, საიდანაც, ცოტა ხნის წინ თვითონ ამოვედი.

ის დაღმართზე კი არ ჩავიდა ჩავგორდა. მორევთან მისული წამიერად შეყოვნდა, მერე უკანა ფეხებზე დადგა, ტორები ზე ასწია და შიგ გადაეშვა. მე მას ზემოდან დავცქეროდი. წყალში ლაღობდა თავისუფლებისათვის გაჩენილი.

\* \* \*

- ეს რა მიყავი კაცო, დამლუბე?! - შეგვივლე და კეტით მგზავრისაკენ გავემართე.

- არ მომეკარო იოსებ, თორემ არ დაგინდობ, - თქვა მგზავრმა და „მაკაროვი“ გააძრო.

- გაბედე და მესროლე, თუ ვაჟკაცი ხარ!

- ნაბიჯს თუ გადმოდგავ, აუცილებლად გესვრი.

- ის იყო ნაბიჯის გადაღმა დავაპირე, რომ იარაღი გავარდა და ჩემს თეხებს შორის ტყვიამ გამხმარი მიწა ამოჰყარა. მე გავივინდე, აღარ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ მდგომარეობა ისევ მგზავრმა განმუხტა.

- იოსებ, იმ ქვას ხომ ხედავ?

- ქვა და მეწყერი არ მომაკლდება დღეს მე, შენი წყალობით.

პასუხის გაცემისთანავე სამჯერ გავარდა ტყვია და ერთ საკმაოდ მოზრდილ ქვასაც სამჯერ ასცვივდა ნამსხვრევები.

- ახლა ხომ დაინახე, რომელ ქვაზე გელაპარაკები?

მე პასუხი აღარ გამიცია.

- იოსებ, ჩემი წასვლის შემდეგ ქვა გადააგორე. იქ შენი კაცურკაცობის საზღაური დევს, - მითხრა მგზავრმა და მანქანისაკენ გაემართა. ჩაჯდა თუ არა შიგ თავი ფანჯრიდან გამოჰყო და გამომძახა, - კარგად იყავი, იოსებ, კარგადო და წავიდა.

მდინარეს გადავხედე. მორევში ჩვენი ბაჯბაჯა ისევ ლალობდა. დაღმართში დავეშვი. შემნიშნა თუ არა ნადირმა ჩემსკენ მოდისო, წყლიდან ამოხტა და გაღმა ფერდობზე შექერიანს მისცა თავი.

## მოლალატე

არა, ვერც დღეს გავყვები ბიჭს სამუშაოდ. თუ არა და კარგი საქმე კი უმოვია, დღეში ათი-თორმეტი ლარი მაინც დაგვრჩება თითოეულს, - ჩაიხურჩულა ლევანმა და ერთხელ კიდევ სცადა ბალიშიდან თავის წამოწევა. სცადა, მაგრამ ამაოდ, ვერ აწია, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს თავში ტვინის ნაცვლად ტყვია ჩაედოთ მისთვის.

- ადექი, შვილო, მამუკა, ჩაი მზადაა, დალიე, მამაშენსაც ახლავე გავაღვიძებ, კარგი საქმე გიმოვია, შვილო, იქნებ შემოიტანოთ ორიოდ თეთრი ოჯახში და ზამთრისათვის კონსერვები მოვამზადოთ, - შემოესმა ახლადგაღვიძებულ ლევანს მეუღლის ლაპარაკი.

- შენ კი გააღვიძებ, მაგრამ შეძლებს ადგომას, არ გახსოვს, როგორი მოიყვანეს წუხელ?

- სრულებითაც არ მაინტერესებს როგორი მოიყვანეს, ახლავე ადგეს და გამოგყვეს. უსაქმურად ყოფნით გამაგიჟა ქალი.

- ვერ შეძლებს ადგომას, არ ღირს გაღვიძება.

- რას ჰქვია, ვერ შეძლებს, ის ხომ კარგად შეუძლია დილით გავიდეს სახლიდან და თავის ძმაკაცებთან მთელი დღე იყიალოს, მერე ორიოდ თეთრი შეკრიბონ და გამოთვრნენ? არა, შვილო, მეტის ატანა აღარ შემიძლია, მოჰკიდე მამაშენს ხელი და იქ ატარე, სადაც შენ ივლი!

- დაწყნარდი დედა, ხომ გახსოვს, როგორი კაცი იყო, არც სვამდა და არც ეწეოდა, ზარმაცი კიდევ არასოდეს ყოფილა. ახლა გაუჭირდა. ცასა და დედამიწას შორის დარჩა მეცნიერი კაცი. სამსახური მაგისთვის აღარაა და პატივი. ამას ყველაფერს ხომ უნდა გაძლებს? ამიტომ ვალდებულნი ვართ გავუგოთ.

- რამდენ ხანს უნდა გავუძლო, შვილო, მეც ხომ ადამიანი ვარ?! მაგას რომ ლოთობა არ დაეწყო, შენ უნივერსიტეტს არ მიატოვებდი და სამსახურიც შეიძლება გქონოდა. პარიკმახერად გზრდიდი მე შენ?! - თქვა თალიკომ და თვალიდან ცრემლი მოიწმინდა.

- დაწყნარდი, დედა, ჯერ მხოლოდ ოცდაორი წლის ვარ, ყველაფერს მოვესწრები.

- ასე თუ გაგრძელდა, რას უნდა მოესწრო, შვილო, და საერთოდ რისი იმედი უნდა გვქონდეს?!

- როგორ თუ რისი? ცოტა მივდგები-მოვდგები, ფულს შევაგროვებ, პარიკმახერის სავარძელს ვიყიდი, ერთოთახიან ბინას ვიქირავებ და ვიქნები მთელი სიცოცხლე უზრუნველად. ასე, რომ პურის ფული ყოველთვის მექნება, მერე რა, რომ კათედრის დოცენტი აღარ ვიქნები, სამაგიეროდ, ვიქნები კარგი პარიკმახერი.

- ჩემი შვილი, ჩემი მამუკა, ექვს ენაზე მოლაპარაკე, ქალაქში ცნობილი პარიკმახერი იქნება? - ჩაიხურჩულა ლევანმა და ისევ სცადა თავის წამოწევა. სცადა და ისევ ვერ წამოსწია თავი.

- ლურსმებით ხომ არ დააჭედეს ეს სატილო ბალიში საწოლზე და მე კიდევ - ბალიშზე? მე ამის... - ჩაიბუზღუნა ლევანმა და ისევ დახუჭა თვალები.

- არა, ახლავე ადგეს და გამოგყვეს! მაგაზე ნაკლები არიან ის დოცენტები ხელში ქაფჩას, ნიჩაბს და წერაქვს რომ იჭერენ? შრომა თუ ერცხვინება, რატომ არ ერცხვინება, თითქმის ყოველ საღამოს სახლში გათიშული რომ მოჰყავთ?!

- დამშვიდდი, დედა, მე თვითონ გავაღვიძებ და დაველაპარაკები. მეც დავიღალე თქვენი ჩხუბით. სირცხვილია, ყოველდღე გადის ჩვენი ოჯახიდან აყალ-მაყალის ხმა.

- მიხვალ თუ არა, წამოხტება შენს დანახვაზე და გამოგყვება სამუშაოდ. მიხვალ და ნახავ რამდენ რამეს მოიმიზეზებს.

- კმარა დედა, დამშვიდდი, გამომყვება, აბა, რას იზამს, - თქვა მამუკამ და მამასთან შევიდა.

- შვილო, მესმოდა თქვენი საუბარი, მაგრამ დღეს გამოყოლა არ შემიძლია, თავი მისკდება, დამიჯერე. - დაასწრო მასთან შესულ შვილს მამამ.

- მამა!

- ჰო, შვილო, ახლა გადი, თერმომეტრი შემომიტანე. მერე დედაშენს მოატყუე, რომ ოცდაცხრამეტი გრადუსი სიცხე მაქვს.

აბა, ჩქარა გააკეთე, რაც გითხარი, თუ არა, ხომ იცი, ცოცხლად შემიჭამს, - შეაწყვეტინა სიტყვა მამამ შვილს.

- მამა!

- აბა, შენ იცი, დროზე! - გააწყვეტინა ისევ სიტყვა ლევანმა.

არ გასულა ერთი წუთი, რომ მამუკა თერმომეტრით შევიდა მამასთან. თერმომეტრი მიაწოდა და თვითონ ლოგინზე ჩამოჯდა.

- მამა! - ისევ დააპირა შვილმა მამასთან საუბარი.

- ჰო, შვილო, ვიცი, რაც უნდა მითხრა. - შეაწყვეტინა მამამ შვილს სათქმელი და თვითონ განაგრძო.

- გინდა მითხრა, რომ არ დავლიო, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ შენ კარგად აითვისე პარიკმახერის პროფესია, რომ შენ სავარძელს იყიდი, ერთოთახიან ბინას იქირავებ, უამრავი კლიენტურა გეყოლება, პურის ფულს ყოველთვის იშოვი. ეს გინდა მითხრა, არა?

- დიახ, ეს მინდა, დამიჯერე ყველაფერი კარგად იქნება.

- სიტყვა „იქნება“ მომავლის განმსაზღვრელია, შვილო, ჩვენ კი ასეთ დღეში მყოფნი, გწამს რომ მომავალში ვიქნებით?

- მამა...

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო! - თქვა ლევანმა და ცოტა ხანს გაჩუმდა. მერე ისევ შვილს შეხედა და განაგრძო.

- კარგია, რომ გჯერა მომავლის, შენ ხომ ჯერ ისევ ბავშვი ხარ.

- არც შენ ხარ, მამა, გადაყრუებული ბებერი და უამრავი საქმე გაქვს გასაკეთებელი.

- რომელი საქმე? რომელსაც ვერ ვაკეთებ და ვიცი ვერასოდეს გავაკეთებ? სიბერე, შენ ჭაღარა თმები და ხელჯოხზე დაყრდნობილი სიარული ხომ არ გგონია მართო. სიბერე ისაა, როცა შენ და შენი უნარი აღარავის სჭირდება და აღარც შენ შეგწვევს ძალა, რაიმე შეცვალო. ასეთი ბებერი ვარ მე. სწორედაც მორალურად გავცვდი მე, მორალურად! დედაშენი რომ მწყევლის და მაკულუხებს ყოველდღე, ასე ხომ არ ჰგონია, ღვინო შემიყვარდა და იმიტომ ვსვამ, დამიჯერე არა, მე იმი-

ტომ ვთვრები, რომ თუნდაც, დროის მცირე მონაკვეთში, ჩემი, უკვე ფუნქციონირებადკარგული პიროვნება აღარ დავინახო, ასე რომ ღვინო ჩემთვის რეალობიდან გაქცევის საშუალებაა და თქვენ ამას ლოთობას ეძახით?! იცოდეთ, ღვინის სმა და სიმთვრალე ყოველთვის ლოთობა არ არის, უბრალოდ გაქცევაა.

- მამა, შეიძლება მართალს ამბობ, მაგრამ, ჩემი აზრით, რეალობიდან გაქცევა და ისიც ღვინით, მაინცდამაინც არ უნდა იყოს მისაღები. შენ ხომ მარტო შენს თავს არ გაუბრუნებარ. შენ ხომ მე და დედასაც გაგვირბინებარ. ამის უფლება კი არ გაქვს.

- შეიძლება შენც მართალი ხარ, შვილო, მაგრამ დღეს, როგორც არის ისე იყოს, ხვალიდან კი სულ სხვანაირად დავიწყებ ცხოვრებას, განა სულ მთლად დავიკარგე, ბიჭო? ანდა რა მჭირს დასაკარგი, მარტო ჩემი წიგნი-ქართული ხალხური ზღაპრების ერთტომეული რა ელირება ჩვენი ერისთვის, რომ გამომაცემინა!

- გამოსცემ, მამა!

- რით გამოვცემ, „იმედლიანო“? - გაეხუმრა მამა შვილს და მხარზე ხელი მოუთათუნა.

- მომეცი თერმომეტრი, მამა!

- აიღე, ნახე, მართლა ხომ არა მაქვს სიცხე? თავს მაღლა ვეღარ ვწევ კაცი!

მამუკამ თერმომეტრი გამოართვა მამას, ზედ დახედა და უთხრა

- ოცდათექვსმეტნახევარიო და წამოდგომა დააპირა.

- სად მიდიხარ? თუ გგონია დედაშენი არ ნახავს მაგას. მომეცი აქ. უფრო სწორად, გეჭიროს.

- რად უნდა მეჭიროს ხელში.

- ახლავე ნახავ, - თქვა ლევანმა და ბალიშის ქვემიდან ასანთის კოლოფი გამოიღო. გახსნა, ერთი ღერი ასანთი ამოიღო, აანთო და შვილს უთხრა.

- მოწიე აქეთ თერმომეტრი.

შვილმა მამას თერმომეტრი მიაწოდა. მან კი თერმომეტრის ვერცხლისწყლიან მხარეს ანთებული ასანთი მიაღო და შვილს დაუწყო ცქერა. მერე ერთბაშად მოაცილა ალი თერმომეტრს

და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ესეც ასე, ოცდათვრამეტი და ექვსი ხაზია, კმარა.
- რა კმარა, მამა?

- რა და ოცდათვრამეტი და ექვსი ხაზი. მოდი ახლა, წაიღე ეს თერმომეტრი და უჩუმრად დადე სამზარეულოში მაგიდაზე.

- რა უნდა თერმომეტრს სამზარეულოს მაგიდაზე?  
- როგორ თუ რა, მოვა დედაშენი, დახედავს, დარწმუნდება ჩემს ავადმყოფობაში და აღარ ამიტებს ვაი-უშველებელს. მე მგონია ღირს პატარა ტყუილის თქმა დიდი ჩხუბის თავიდან ასაცილებლად.

- რატომ ფიქრობ, რომ დედას შენი ავადმყოფობა არ შეაშფოთებს? ნახავს თუ არა თერმომეტრს, იმწამსვე აფთიაქში გაიქცევა წამლის მოსატანად, თანაც ფული არ აქვს, ნისიად მოუწევს წამლის ყიდვა.

- ნუ გეშინია, არ მოიტებს ფებს გაქცევისას. მაგასაც მოსწყინდა ეს ყველაფერი.

- რას ამბობ, მამა, ეგ რამ გაფიქრებინა? - უთხრა მამუკამ მამას და გადაეხვია. შემდეგ კარგად ყოფნა უსურვა, ოთახიდან გავიდა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მამამ დაარია. მაგიდაზე უკვე გაციებული ჩაი ერთბაშად გადაჰკრა, ქურთუკი საჩქაროდ ჩაიცვა და აჩქარებული ნაბიჯით კიბეზე დაეშვა.

ეს რა მოსვლია ამ უბედურს? ჩაილაპარაკა თერმომეტრის მნახვმა თალიკომ და მეუღლესთან შევიდა.

- რა მოგივიდა, აღამიანო?

- არ ვიცი, ალბათ, სადმე გავცივდი.

- ნუ გეშინია, ახლავ აფთიაქში გავიქცევი და წამალს მოგიტან.

- არ გინდა აფთიაქში გაქცევა, ერთი ორი საათით წავიძინებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

- ეჰ, ლევან, ლევან!

- თალიკო, არ დამიწყო ახლა ყოველდღიური, ხომ ხედავ ავადა ვარ კაცი.

- აქვს კი აზრი შენთან საუბარს? - სევდიანად ჩაიჩურჩულა ქალმა და საძინებელი დატოვა.

მარტოდარჩენილმა კაცმა ჩაძინება სცადა, მაგრამ აღარ დაეძინა. სულ უფრო მეტად და მეტად სცემდნენ გრდემლზე ჩაქუჩს მის საფეთქლებთან „მჭედლები“.

- ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ ისევ შეალო თალიკომ საძინებელი ოთახის კარი და ქმარს წამალი მიაწოდა.

- რატომ წახვედი, თალიკო წამალზე, ხომ გითხარი თავისით გამივლის -მეთქი.

- თავისით გავლას თუ უყურე, კარგად წაგივა საქმე. აიღე, დალიე თავის ტკივილს მოგიხსნის, მე კი წავედი.

- სად მიდიხარ?

- მეზობელ ქალს მივყავები, რუსთავ-თბილისის გზაზე სათბურები რომ იყო, იქ მწვანილის მოსავალს იღებენ. მითხრეს დღეში ორ ლარს უხდიანო მუშებს.

- ორი ლარისთვის გინდა თავი გაიციო, აღამიანო?

- რას ამბობ, ლევან? ორი ლარი ორი დღის პურის ფულია. ახლა კი წავედი, გარეთ არ გახვიდე, იწექი. ხვალ კარგად იქნები, თუ თავს მიხედავ. ნახვამდის, ჩემო ლევან, - უთხრა თალიკომ მეუღლეს და კარი გაიხურა.

- უსინდისო, მოლალატე ვარ მე, - ჩაილაპარაკა მარტოდარჩენილმა ლევანმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

შუადღის პირველი საათი სრულდებოდა, როცა გამოედვიდა. ერთბაშად თავის წამოწევა ვერ გაბედა ბალიშიდან, ვაი თუ, ისევ ამუშავდნენ „მჭედლები“. ჭერს ახედა, მერე ირგვლივ მიმოიხედა, ყველაფერი უძრავი და მდუმარე იყო. ლევანმა ფეხი საბნიდან გამოაპყო, კომოდს მიაწვა, ააყირავა, მერე ისევ სწრაფად მოაცილა. კომოდი ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა ხმაურით.

- ამქვეყნად როგორ ყველაფერი ბუნების კანონებს ემორჩილება უსიტყვოდ გარდა აღამიანისა, -თქვა ლევანმა და ლოგინიდან წამოდგა. ისევ შემოკრეს „მჭედლებმა“ ჩაქუჩი საფეთქლებში.

- რა უშველის ახლა ამას? - შეეკითხა თავის თავს და თვითონვე უპასუხა:

- ერთი ბოთლი ლუდი, ან კიდევ „სტო გრამი“.

- მერე სად გაქვს ლუდის ან „სტოს“ ფული, შე გაჭირვებულო, ლევან? ამასთან ერთად ისიც იცოდე, ვერც იშოვი. გუშინ ხომ მთლად ამოიფხიკეთ შენ და შენმა ძმაკაცებმა ჯიბეები. ასე რომ, შედი ეხლა ვანაში და შეიშაპუნე ცივი წყალი სახეზე, იქნებ კი გეშველოს რამე.

შუადღის ორი საათი იქნებოდა, როცა ლევანი ქუჩაში გავიდა და გეზი თავისი ძმაკაცების თავშეყრის ადგილისაკენ აიღო.

- ალბათ დავებრდი, უწინ, დალევის შემდეგ, საერთოდ არ ვიცოდი თავის ტკივილი. ეს ბოლო თვეებია, ბევრს დავლევ თუ ცოტას, არ აქვს მნიშვნელობა, თავი მაინც მტკივა ხოლმე.

ფიქრებში გართულება ასფალტზე ორლარიანი დაინახა.

- ალბათ, ღმერთმა გადმომიგდო. მშვიდობით თავის ტკივილო, - ჩაილაპარაკა თავისთვის ლევანმა, ფული აიღო და უახლოესი მაღაზიისაკენ გასწია ლუდის საყიდლად. მაღაზიაში შესულს ორი ახალგაზრდა დახვდა, ხელში რაღაც ოთხკუთხედი პატარა ქაღალდი ეჭირათ და ერთმანეთს ათი ლარის მოგებას ულოცავდნენ.

- რა ათი ლარის მოგებას ულოცავენ ეს ბიჭები ერთმანეთს? - ჰკითხა ლევანმა გამყიდველს.

- იღბლიანი დარტყმის ბილეთი იყიდეს და ათი ლარი მოიგეს. სხვათა შორის, ხშირად იგებენ ამ ლატარით.

- რა ღირს ეგ შენი ნაქები ბილეთი?

- ერთი ლარი.

- მაშინ აილე ეს ორ ლარიანი, ერთი ლუდი და ერთი ბილეთი მომეცი.

- კი ბიძია, - გამყიდველმა ლევანს ლუდი და ბილეთი მიაწოდა.

- როდის გათამაშდება ეს?

- აქვე გათამაშდება, ახლავე. როგორ ტელევიზორში არ გინახავს რეკლამა - „გადაფხიკე და მოიგე“?

- როგორ გადაფხიკო, ვერ მეტყვი?

- მომეცი, ძია, თუ მენდობი, მე თვითონ გადაფხიკავ.

- აბა, გადაფხიკე!

გამყიდველმა ბილეთი გადაფხიკა და ლევანს გადაეხვია.

- მომილოცავს, ძია ლევან, ათასი ლარი მოიგე!
- რას ამბობ, შვილო, მეხუმრები?!
- ხედავ, ბიძია, ამ რგოლს საქართველო რომ აწერია?
- ვხედავ.
- რვიანს ხედავ?
- ვხედავ.
- ამ მესამე რგოლს ხედავ?
- ვხედავ.
- შიგ ხუთიანი რომ წერია, იმასაც ხომ ხედავ? იცი რას ნიშნავს ეს?
- არა, არ ვიცი.
- რას და საქართველომ ესპანეთს რვით ხუთი მოუგო, ხოლო შენ აი ეს ათასი ლარი მოიგე ამ შუა რგოლში რომ წერია.

- მართლა, მარინე?!
- მართლა, ძია ლევან, მართლა!
- გაგახარა, შვილო, ღმერთმა! „მალარიჩი“ ჩემზე იყოს.

ლევანმა მომგებიანი ბილეთი ჯიბეში ჩაიღო და ლუდი გადაჰკრა, რომელმაც სულ მალე დაავიწყა თავის ტკივილი. გახარებული ლევანი ძმაკაცებთან აღარ წასულა, უკანვე დაბრუნდა სახლში.

- ნეტავ რატომ მიწყალობა ღმერთმა ამდენი ფული? - ფიქრობდა სავარძელში ჩამჯდარი და თან ვარიანტებს ირჩევდა, რაში და როგორ დაეხარჯა მოგებული თანხა.

- ალბათ, ღმერთმა იმისათვის მიწყალობა ეს ფული, რომ ჩემი წიგნი გამოვცე, - დაასკვნა ბოლოს.

- ალბათ კი არა, ნამდვილად ასეა. მოგკიდებ ახლა ხელს და დავბეჭდავ, სამასიანი ტირაჟით, ორ-სამ ეგზემპლარს თბილისში ჩავიტან, საჯარო ბიბლიოთეკას ვაჩუქებ, ორ-სამს სოფელში გაგზავნი ჩემი სკოლის ბიბლიოთეკისათვის, მეგობრებს და ნათესავებსაც ვერ დავივიწყებ. რომელ ქართველს არ უნდა სახლში ქართული ზღაპრების კრებული ჰქონდეს? კიდევ კარგი, კომუნისტების დროს საშუალება იყო და არც მე მეზარებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოფელ-სოფელ სიარული,

თუარა, ახლანდელ დროში ნამდვილად ვერ შევძლებდი ასეთი წიგნის მომზადებას. მართლა თავდაუზოგავად და ალაღად ვიშრომე ბავშვებისათვის, მართლა დიდი ყოფილა ღმერთის სამართალი, დამიფასდა შრომა. ალბათ, მეც ისე, როგორც ყველა მოკვდავი, ერთ დღეს ავიკრავ გულა-ნაბადს და წავალ ამქვეყნიდან. ნახავს ჩემი შვილიშვილი ჩემს წიგნს, გადაშლის და წაიკითხავს. იამაყებს ჩემით. კაცი ხომ მაინც იმით ფასდება, თუ რას დატოვებს ამ ქვეყანაზე. ღმერთო, ყველა კეთილს მოუშმართე ხელი ისე, როგორც მე მომიმართე. მართლა არ უნდა გაწირო ცოცხალმა ადამიანმა შენით შენივე თავი. შენ ეცადე, ქმნა სიკეთე და დაელოდე ღმერთს, ის აუცილებლად დაგიფასებს ყოველივეს. ვფიცავ ჩემს ვაჟკაცობას, რომ მე ხვალიდან აღარ დავლევ. ხომ უნდა ვცე ჩემს თავს პატივი? ბოლოსდაბოლოს წიგნის ავტორი ვარ, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. არა ვარ მე ვილაც ვიგინდარა, ჩანჩურა კაცი.

ფიქრებში გართული ლევანი ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა, ყურმილს დასწვდა და აიღო.

- გისმენთ.

- ლევან, თალიკო ვარ, როგორ ხარ, სიცხე ისევ გაქვს?

- არა, აღარ მაქვს, უკვე კარგად ვარ.

- ლევან, დამაგვიანდება, არ ინერვიულო, ახლა კი დროებით, უფროსის მობილურიდან ვრეკავ.

ლევანმა ყურმილი დადო.

რატომ არ ვუთხარი თალიკოს, მე რომ ათასი ლარი მოვიგე? ძალიან გაუხარდებოდა, რა უყურადღებო კაცი ვარ. ბოლო წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ მომეცა შანსი მეუღლე გამეხარებინა და ისიც ვერ მოვახერხე. ისე, კაცმა რომ თქვას, ხომ არ აჯობებდა, ამ ათასი ლარით მამუკასათვის სავარძელი და საჭირო იარაღები მეყიდა, ბიჭი დამშვიდდებოდა, დაწყნარდებოდა, აღარ დასჭირდებოდა აქეთ-იქით სიარული სამუშაოს საშოვნელად. ორიოდღე გროშს იშოვიდა, ჩვენც გაგვიოლოებდა ცხოვრებას და თვითონაც.

- მოდი ვუყვიდი, ამ საქმისათვის მეტი ფული ნამდვილად არაა საჭირო.

ფიქრებში გართული ლევანი ისევ ტელეფონის ხმამ გამოაფხიზლა. ყურმილი აიღო.

- გისმენთ.

- ლევან, თავი როგორ გაქვს, ჩაქუჩებიანები ხომ არ შრომობენ შიგ? მე ნამდვილად მისკდება.

- არა, ყველანი ჩავაჩუმე.

- ეს როგორ პანმელიაზე გამოხვედი?

- გამოვედი

- მერე რით გამოხვედი, რა დალიე, ფული საიდან?!

- ფული ვიპოვე, ჩემო რეზო.

- არ გადამრიო!

- შენი ნებაა...

- მართლა იპოვე?

- მართლა ვიპოვე.

- სულ დახარჯე, არაფერი დაიტოვე?

- სულ დაეხარჯე.

- ლევან, ცოტა თუ მაინც დაგრჩა, ჩამოდი, ჩამოიტანე, მეც ცოტა რამ გამაჩნია, დღეის დღეც მოგვკლათ.

- რეზო, მე არც დღეის დღეის მოგვკლას ვაპირებ და აღარც ხვალისას.

- მეცნიერებას უბრუნდები, ლევან? - თქვა რეზომ და გულიანად გადაიხარხარა.

- არ გეწყინოს, რეზო, არც დღეს და არც მომდევნო დღეებში თქვენთვის აღარ მცალია.

- ვითომ რატომ, იპოვე რამე თუ?

- რეზო, მე ჩემს თავს აღარასოდეს დავემალე. უკვე კმარა.

- კარგი ლევან! რაკი გადაწყვიტე შენი ცხოვრების წესის შეცვლა, ხელს აღარ შეგიშლი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კარგად იყავი, - რეზომ ყურმილი დადო. ლევანი ისევ სავარძელში ჩაჯდა და ფიქრი გააგრძელა.

- რა ვქნა ახლა, როგორ გავანაწილო ეს ფული? რამდენი საფიქრალი და თავსატეხი გამიჩინა ამ ათასმა ლარმა? სავარძელი რომ ვუყიდო ბიჭს, შეიძლება კი გვქონდეს ყოველ-

დღიური ფული, მაგრამ ველარასოდეს შევაგროვებ იმდენს, რომ ჩემი წიგნი გამოცეც. წიგნი დავბეჭდო და ისევ მშვივრები დავრჩებით. წიგნი, აბა, რას შეცვლის ჩვენს ოჯახში? ვინღა ყიდულობს ახლა წიგნს? ხალხს პურის ფულიც სანატრელად გვაქვს გამხდარი. ეს რა დღეში ჩავვარდნი? ამ ათასმა ლარმა არ გამიჩინა ათასი საფიქრალი? ველარ გამიგია, ქონება სჯობს თუ უქონლობა?! საფიქრალ-საზრუნავი ორივეს ერთნაირი ჰქონია.

- მოდი „არიოლ-რეშკას“ მივანდობ ჩემს ბედს. ახლა ამ ოცთეთრიანს ავისვრი, თუ ირემის მხარე მალლა იქნება, მე წაგებულად ჩავთვლი თავს და წიგნს აღარ დავბეჭდავ. ე.ი მამუქას ვუყიდი სავარძელს, - თქვა ლევანმა და ჯიბიდან ოცთეთრიანი ამოიღო, ცერსა და მის ირგვლივ მოლუნულ საჩვენებელ თითზე დაიდო. მერე ცერი აჰკრა და ფული იატაკზე დავარდა. ლევანი გულისფანცქალით მივიდა ზედ და დახედა. მონეტა ზურგიით უცქერდა პატრონს.

- მოვიგე! - შესძახა გახარებულმა და მონეტა ხელში აიღო, აკოცა და ჯიბეში ჩაიღო. შემდეგ საძინებელში შევიდა, განჯინის კარი გამოაღო, კოსტიუმი გამოიღო და ჩაიცვა. სარკის წინ დადგა, თავისი ფიზიონომია აათვალ-ჩაათვალიერა. ისევ ბიჭს ვგავარო, - ჩაილაპარაკა კმაყოფილმა და გარეთ გამოვიდა. სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე და სტამბისაკენ გასწია.

სტამბის მფლობელის კაბინეტის კართან მისულმა ერთი-ორჯერ დააკაკუნა კარზე და თამამად შეაღო. კაბინეტში მაგიდასთან ოცდასამიოდე წლის გოგონა იჯდა.

- შეიძლება? - იკითხა ლევანმა.
- მობრძანდით, - იყო პასუხი.
- უფროსი მინდოდა.
- უფროსი მე განლაგართ.

ლევანმა გოგონა შეათვალიერა და გაიფიქრა, ახლა ამ გოგონას მამა და ჩემი მამუქას მამა ორივენი ერთნაირი მამები ვართ? ფიქრში გართულ ლევანს დროებით სულ მთლად გადაავიწყდა, თუ რისთვის იყოს მოსული.

- ბრძანეთ, ძია, რა გნებავთ? - კითხვამ ლევანი გამოაფხიზლა.

- მე.
- ღიახ, თქვენ.
- მე წიგნის დამეჭდვა მინდა თქვენთან.
- კეთილი, იმედია მოგრიგდებით, მაინც რა სიდიდისაა თქვენი წიგნი?
- სულ ასოთხმოცი - ორასი გვერდი იქნება. ქართული ხალხური ზღაპრებია.
- არ ყოფილა დიდი. ყდა როგორი გინდათ?
- ყდა კარგი მინდა, ფერადი, მუყაოზე. ყდა ხომ წიგნის მშვენიერებაა. საბავშვო წიგნი კი აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს. ბავშვის ესთეტიკურ აღზრდას ხომ უნდა შეუწყოს ხელი?
- ქალაქი რომელი გინდა?
- ქალაქი საშუალო შეიძლება იყოს.
- მაშ, დავიანგარიშოთ არა?
- აბა, შენ იცი. სამასი ეგზემპლარი მაინც უნდა იყოს, არ დაგავიწყდეს!

- სამასზე გამოვთვლი.

სტამბის მფლობელმა საკმაოდ დიდი ზომის კალკულატორი თავისკენ მიიწია და ზედ ხელები ოსტატურად აათამაშა. ორი-სამი წუთის შემდეგ თავი მაღლა ასწია, ლევანს პირდაპირ თვალებში ჩახედა და უთხრა.

- სამას ეგზემპლარს ათას ორასი ლარი სჭირდება.
- რას ამბობ, ვერ დამიბეჭდავს და ეგაა!
- უბრალო ყდა გავუკეთოთ.
- მერე რამდენი დაჯდება?

გოგონამ ისევ აათამაშა ხელები კალკულატორის ღილაკებზე.

- რამდენი დაჯდება და ცხრაასი ლარი.
- მაინც ბევრია. რვაასად ვერ გამიკეთებ?
- არა, არ შემიძლია. ყველაფერი ძვირია: ქალაქი, საღებავი, მუშასაც ხომ უნდა გადავუხადო ცოტა რამ.
- კარგად იყავი, ბიძია!
- მიდიხარ?
- მივდივარ, ამდენის გადახდა ნამდვილად არ შემიძლია.

- თქვენი ნებაა, ბატონო!  
- ნებაც ჩემია და უფლებაც, ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ დამრჩა წიგნი გამოუცემი და ესაა. ლევანი ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ გააგრძელა.

- თუმცა ხომ შეიძლება ცოტა კიდევ ვიფიქრო?  
- დაბრძანდი, ძია, და ცოტა კი არა, რამდენიც გნებავს, იმდენი იფიქრე.

ლევანი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ყველაფრის აწონდა წონა დაიწყო. არც ისე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ზეზე წამოდგა და გოგონას უთხრა:

- ვიდრევი ცხრაას ლარს. რამდენ დღეში დაბეჭდავთ?  
- ათ დღეში.

თავდახრილი ბრუნდებოდა ლევანი სახლში და ყოველ წუთს საკუთარ თავს ეკითხებოდა, სწორად მოვიქეცი თუ არაო. ბევრი ფიქრის შემდეგ დაასკვნა, რომ ძალიანაც სწორად მოიქცა. მამუკა როგორმე მიხედავს თავის თავს, ახალგაზრდაა, მთელი ცხოვრება წინ აქვს. მე კი უკვე მოხუცებული, რა-ღას უნდა მოგვსწორო. ეს წიგნი მაინც დარჩეს ჩემს სახელზე. ყველაფერს რომ სამართლიანად არ ვაკეთებდე, იმ ოცთეთრის-ანს ჩემს სასარგებლოდ არ წააქცევდა. გაიფიქრა ლევანმა და სინდისდამწვიდებულმა სახლისკენ გასწია.

სახლში მისულმა თავისი ხელნაწერები გამოიღო განჯინიდან, დაბეჭდვის წინ ერთხელ კიდევ გადახედა გულდასმით. საქმეში გართულს ისე წამოეპარა სიბნელე, რომ ვერც კი გაიგო. ზეზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა. სიბნელეს და სიჩუმეს დაეპყრო ეზო და ქუჩა.

- ნეტავ სად არიან ჩემები, რატომ იგვიანებენ? - ჩაიჩურჩულა, სანთელი აანთო და საათს შეხედა, უკვე ცხრა იყო დაწყებული.

ეტყობა ბიჭს მატარებელმა გამოასწორო, თორემ ახლა კარგა ხნის მოსული უნდა იყოს. თუმცა არა უშავს, რამეს გამოჰყვება. ათ-ოც წუთში გამოჩნდება აუცილებლად. დაიძინა თავი. ვთქვათ ბიჭს მატარებელმა გამოასწორო, ქალს რაღა დაემართა? აქამდე რას აკეთებს ამ სიბნელეში? არა, ნამდვილად რაღაცაშია

საქმე, თუ არა ასე არ დაიგვიანებდა. ცოტასაც დაველოდები და თუ არ გამოჩნდა, ფეხით დავადგები გზას, სათბურებამდე ორი-სამი კილომეტრი თუ იქნება. ამ ნერვიულობას ისევე გზაზე სიარული მიჩვევია, შეიძლება აქვე შევხვდე მომავალს.

მსჯელობდა ლევანი და წამდაუწყებლად ფანჯარაში იყურებოდა. შესრულდა თუ არა ცხრა საათი, ლევანმა ქურთუკი მოისხა და წასვლის წინ ერთხელ კიდევ გაიხედა ფანჯარაში. ეზოში ორი ლანდი შემოვიდა ერთად.

ალბათ, ჩემები არიან. გაიფიქრა გახარებულმა და ფანჯრის მინას ცხვირი და შუბლი მიაღო. ჩრდილები სადარბაზოში შემოვიდნენ.

- ჩემები არიან! - თქვა გახარებულმა და დამწვიდდა.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ლევანმა კარი გააღო. სახლში დაღლილი დედა-შვილი შემოვიდა.

- დიდი ხანია, რაც დენი არ არის? - იკითხა თალიკომ.

- შუადღის შემდეგ არ ყოფილა.

- მაგათ კი დაუბნელდათ თვალებში, - ჩაიჩურჩულა ქალმა.

- მაგ წყევლას ის სჯობს, თქვათ, სად ბრძანდებოდით დედა-შვილი, მოგკვდი კაცი ნერვიულობით.

- სად ვიყავი და მწვანის სარჩევად, არ გითხარი სად მივდიოდი დილას?

- მერე ამდენ ხანს?

- დაგვტოვეს, გვითხრეს ყუთებში თუ ჩააწყობთ თითო ლარს დაგიმატებთო. მანქანის შუქზე ვიმუშავეთ. მერე ფეხით წამოვედით დაღლილ-დაქანცული ქალები. ძლივს მოვალწიე სახლამდე, მაგრამ აღარ დავეძიებ, ორი ლარის ნაცვლად ხომ მოვიტანე სამი ლარი.

- სამი ლარისთვის ღირს თავის მოკვლა?

- არც უქმად ყოფნისთვის ღირს თავის მოკვლა.

- შენ რატომ დაგაგვიანდა, შვილო?

- რატომ და ახალი საქმე გამომიჩნდა მამა, დროზე უნდა მოვრჩე ძველს, იქ რომ გადავიდე. თუ არა, შეიძლება სხვა მოიყვანოს იმ კაცმა.

- რა საქმეა ასეთი, თავი რომ გაგიწირავს მისთვის?

- კარგ საქმეზე შენც კარგად იცი არავის ქირაობენ, თვითონაც ხალისით აკეთებენ. მძიმე საქმეა, არა უშავს, ცოტა უნდა გავიჭიროვო. სავარძლის ფული რომ შევაგროვო, მერე კი დავმშვიდდები და ვიშრომებ ადამიანურად.

ეჰ, ღმერთო ჩემო! ბავშვს სავარძლის ყიდვა ოცნებად აქვს გადაქცეული, მე კი ფული მაქვს და წიგნის დაბეჭდვას ვაპირებ. ეგოისტი ვარ მე. სრულებით არ ვუწევ ჩემს შვილს ანგარიშს. უნდა გავამხილო, ფული რომ მოვიგე. ავიღებ თუ არა ფულს, სავარძელს ვუყიდი ჩემს ერთადერთ შვილს. მამა ვარ ბოლოსდაბოლოს, - ფიქრობდა ლევანი.

- როგორ გაატარე დღევანდელი დღე. ეტყობა გარეთ არ გასულხარ, - ჰკითხა თალიკომ მეუღლეს და ფიქრიდან გამოაფხიზლა.

- ვიყავი გასული, როგორ არ ვიყავი?

- მერე...

- რა მერე?

- ისე არაფერი.

- თალიკო, შენ ლოთი ხომ არ გგონივარ?

- როგორ არ ხარ? დღესაც ვერ შეძელი თავი ბალიშიდან რომ წამოგეწია. დაუდექი ცოტა ხანს გვერდში ბავშვს, მოაწყობინე სამუშაო ადგილი და მერე რაც გინდა, ის ჰქენი, შე კაი კაცო, მამა არა ხარ?

- მამა ვარ და...

- მერე რა, რომ მამა ხარ, ღვინისა და არყის მეტი არაფერი გახსოვს, ოჯახისათვის რამდენი ხანია თითი თითზე არ დაგიღვეს.

- შენ, ჩემო თალიკო, ვერც დალლა გშველის და ვერც დასვენება. ჩემთან ჩხუბისათვის ყოველთვის გაქვს დროც და ენერჯიაც.

- დედა!

- არ მითხრა, შვილო, თავი დაანებე, ნუ ეჩხუბებიო. ხომ ხედავ, უკვე აიღო ხელი ყველაფერზე.

- კარგი, დაანებე თავი, მეც შემობრალე, დაღლილს დასვენება მინდა.

- არა, შვილო, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ნახე, რას ჰგავს ჩემი ხელები. ან შენ რას ჰგავხარ? ქუჩაში მომავალს რომ გიყურებდი, გული დამეწვა, ისე მძიმედ მოდიოდი, მოხუცი მეგონე, ჯერ ისევ ჭაბუკი, შვილო! ეს კი...

- რა მე, აღამიანო, რა! - გააწყვეტინა ლევანმა სიტყვა მეუღლეს.

- რა შენ? სიკვდილი და არ გადარჩენა, შე ლოთო, შენა!

- დედა!

- არა, შვილო, მეტის ატანა აღარ შემიძლია, ან ამან უნდა დაანებოს თავი სმას, ანდა მე უნდა მივატოვო იგი.

- რა იყო თალიკო, რას გაიგოე თავი? დღეს კარგი რამ მინდოდა მეხარებინა თქვენთვის.

- შენი კარგიც წყალმა წაიღოს და ცუდიც, არც ერთი მაინტერესებს და არც მეორე.

- ჰო, კარგი, დამშვიდდი, მე წავალ და დავიძინებ, - ლევანი უხმოდ გავიდა საძინებელში. გაღიზიანებული თალიკო სამზარეულოში სკამზე დაჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და ჭერზე რომელიღაც წერტილს აცრემლებული თვალებით დაუწყო ცქერა. რამდენიმე წუთის შემდეგ დედასთან მამუკა შევიდა, მისი ცრემლმორეული თვალების დამნახავს სისხლი გაეყინა და ელდანაკრავივით ერთ ადგილზე გაქვადა. თალიკო კი ისევ დაჟინებით უცქერდა ჭერზე ამორჩეულ წერტილს. შვილისაკენ ერთხელაც არ მიუხედავს. ასე იდგნენ დედა და შვილი კარგა ხანს და არც ერთმა არ იცოდა, როგორ დაერღვია უხერხული სიჩუმე.

საერთო ოთახიდან ხმა გამოვიდა, ორნი ეკამათებოდნენ ერთმანეთს. ხმამ დედა-შვილი გამოათხიზლა, ერთმანეთს შეხედეს.

- წადი, შვილო, ტელევიზორი გამოართე, ეტყობა მამაშენს დარჩა ჩართული.

- შენც წამოდი დედა, ერთად დავჯდეთ და მოვუსმინოთ ტელევიზორს. ამ უდენობის გადამკიდეს, მომენტრა ტელევიზორის ცქერა.

თალიკო უხმოდ წამოდგა სკამიდან და შვილს თხოვნა

შეუსრულა.

- დედა!
- გისმენ, შვილო!
- დედა, ძალიან გთხოვ, მამას ნუ ეჩხუბები, ცოდოა.
- რატომ არის ცოდო?
- ცოდოა და თანაც ძალიან ცოდო, ეგ ხომ დაკარგული თაობის წარმომადგენელია.
- მამუკა, შვილო, შენ ვინ ხარ?
- მე სიჭაბუკე წართმეული თაობის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ჩემს თაობას ისე არ უჭირს, როგორც მამას თაობას.
- რატომ?
- ჯერ ერთი, ჩემს თაობას სხვანაირი ყოფა არ ახსოვს, ჩვენ, ჩვენი შეგნებული ცხოვრების ყოველი წუთი ამ ცხოვრებაში გავატარეთ და ამ ყოფასთან ჩვენ უფრო შეჩვეულები ვართ, ვიდრე მამას თაობა. აკი ბრძენს უთქვამს „შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო“ - თქვა მამუკამ და ისევ გააგრძელა: - ჩვენ, ახალგაზრდებს, ჩვენი მამებისაგან განსხვავებით, მომავლის იმედიც გვაქვს. ერთი სიტყვით, ჩვენ, შვილებს, აწმყოც გვაქვს და მომავალიც, ჩვენი მშობლებისაგან განსხვავებით.
- ვერ გავიგე, შვილო!
- რა არის აქ გაუგებარი დედა? ხანდაზმულებს მარტო აწმყო აქვთ. ამიტომ ისინი უფრო მშინებები არიან, ვიდრე ჩვენ. მშინებები კი ყოველთვის თავშესაფრის ძებნაში არიან. მამამ თავისი თავშესაფარი სმაში ჰპოვა.
- ნეტავ რა ჯანდაბამ შეაშინა?
- უცხო ცხოვრებამ შეაშინა. ცხოვრებამ, რომელზედაც არც არასდროს უფიქრია და არც არასოდეს უნახავს. ამიტომ არიან მშობლები სუსტები თავიანთ შვილებზე. ასე რომ, მამას უნდა გავუგოთ.
- ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ, შვილო, და არ იცი, თუ რა ძნელია სხვისი გაჭირვება გაიგო, მაშინ, როცა თვითონ გიჭირს და ამ გაჭირვების მიზეზად ის მიგაჩნია, ვისაც უნდა გაუგო.
- მე შენი მესმის, დედა, მაგრამ ჩვენ ხომ გონიერი ადამი-

ანები ვართ, ვისაც სიყვარულიც შეგვიძლია და სხვისი ტყვილის გათავისებაც, რის გამოც მიმტევებლებიც ვართ.

- მე უკვე დავიღალე და დავიღალე არა იმიტომ, რომ ჩვენ გვიჭირს, არამედ იმიტომ, რომ მამაშენმა ბრძოლის ჟინი და სურვილი დაკარგა. ახლა კი დაიძინე, შვილო, ხვალ ადრე ხარ ასადგომი, ცოტა დასვენება ხომ მაინც უნდა მოასწრო.

- ღამე მშვიდობის, დედა!
- ღამე მშვიდობის, შვილო!

X X X

მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია ლევანს. მის ტვინში ბუზებივით ირეოდა კითხვები:

რა ვქნა? როგორ მოვიქცე? წიგნი გამოვცე, თუ შვილს ვუყიდე სავარძელი? არის თუ არა ეს პირველი და უკანასკნელი შანსი წიგნის გამოცემის, რომელიც ღმერთმა მარჯუნა? თუ შვილს სავარძელს ვუყიდი, შევძლებ წიგნის გამოცემას? - ბოლოს მაინც ერთი კითხვა უღრღნიდა ყველაზე მეტად სულსა და გულს. ვიქნები თუ არა შვილის მოღალატე მშობელი, თუ მე წიგნს გამოვცემ და შვილს სავარძელს არ ვუყიდი? ამ კითხვამ ყველაზე მეტად შეაკრთო და დააფიქრა ლევანი. წარმოიდგინა თავის წინ მღვდმი შვილი და დაუწყო საუბარი:

- შვილო, მამუკა, იცი თუ არა, მე რომ ათასი ლარი მაქვს?
- არა, არ ვიცი!
- იღბლიანი დარტყმის ბილეთით მოვიგე.
- მომილოცავს, მამა!
- როგორ და რაში დაგხარჯო?
- მე რად მეკითხები? ისე დახარჯე, როგორც შენ გავგებარდება. ეგ ხომ ღმერთმა გაჩუქა იმისთვის, რომ გაიხარო.
- მარტო მე უნდა გავიხარო ამ ფულით?
- რატომ მარტო შენ, მე და დედაც ხომ გავიხარებთ, შენ რომ გახარებულს დაგინახავთ.
- შენ გენაცვალოს, შვილო, მამა! ვიცოდი ასე რომ მეტყოდი, ჩემო კეთილო შვილო!
- ისე დახარჯე, როგორც შენ თვითონ გავგებარდება, -

გაიმეორა მამუკამ.

- წიგნი რომ დავბეჭდო ამ ფულოთ?
- აკი გითხარი, ისე მოიხმარე, როგორც შენ გავგებარდება -მეთქი.
- შენ რომ გიყილო სავარძელი?
- არა, არ მინდა. მე თვითონ შევძლებ სავარძლის ყიდვას, მე ხომ ჯერ ისევე ჭაბუკი ვარ.
- მაშ დავბეჭდო წიგნი, არა?
- დაბეჭდე მამა, აუცილებლად დაბეჭდე, შენ უკვე მოხუცი ხარ, ახლა თუ არ გაიხარე, როდისლა?
- მაშ, შევეთანხმდით?
- შევეთანხმდით, მამა!

ქუჩაში ქარმა დაიწუწუნა, მერე საძინებლის ფანჯარას დაე-  
ჯახა და ლევანს ფიქრი დაუფრთხო.

რა ცუდი ყოფილა მცირედი ქონება. მე რომ ახლა გუშინ-  
დელივით უფულოდ ვიყო, ან საკმარისი ფული მქონდეს, ორივე  
შემთხვევაში ჩემს შვილთან და ჩემს თავთანაც მართალი ვიქნე-  
ბოდი. ახლა უკვე განწირული ვარ, მოღალატედ უნდა ვიქცე:  
ან ჩემს თავს უნდა ვუღალატო, ან ჩემს შვილს.

ქარმა ისევ მოაკითხა საძინებლის ფანჯარის მინას, ისევ  
დაუფრთხო ფიქრი ლევანს და გამოათხიზლა.

- ახლა კი აუცილებლად უნდა დავიძინო, ხვალ უამრავი  
საქმე მელიოდება, - ჩაიხურჩულა ლევანმა და კედლისკენ გა-  
ღაბრუნდა.

X X X

ყიელიყო! - ჩაესმა ლევანს მეზობლის ავტოფარეხიდან მამ-  
ლის ჩახლეჩილი ხმა.

ყოჩაღ ბექას „იაპონკა“! შენ, არა მარტო ეზოში გაჯგიმული  
სიარული შეგძლებია, თურმე სხვა მამალზეც ადრე იღვიძებ.

„იაპონკას“ ყოველი მხრიდან გამოეხმაურნენ მამლები და  
გადაძახილ - გადმოძახილი გააჩაღეს. შემდეგ მათ ძაღლები  
აპყვენენ, მიძინებული ქალაქი ახმიანდა, ლევანს თავისი სოფელი  
და ბავშვობა გაახსენდა. რა თბილი და ტკბილია ბავშვობის

გახსენება? თუმცა რატომ მარტო ბავშვობის? წარსულის გახსენებაა საერთოდ ტკბილი და თბილი. აწმყო როგორია? - დაე-ბადა ლევანს კითხვა.

აწმყო ყოველთვის ჯოჯოხეთთანააა წილნაყარი. მასში ხომ ერთადაა თავმოყრილი წარსულის, მომავლის და აწმყოს პრობლემები და საერთოდ ყველაფერი ხომ აწმყოს ტვირთია. ამიტომაა აწმყოში ცხოვრება მძიმე და ვერაგი. აწმყო ყველაფერს კადრულობს წარსულისაგან განსხვავებით. რა ბედნიერი იქნებოდა ადამიანი მარტო წარსულით რომ შეეძლოს ცხოვრება. ახლა წამიერად შემოვირბინე მოგონებებით ჩემი წარსული და როგორი ბედნიერი ვიყავი! - ფიქრობდა ლევანი და განთიადის მომლოდინეს ძილი ეძალეობდა.

„იაპონკამ“ მეორედ დაიცივლა და ძილბურანში ახლად წასული ისევ გამოაფხიზლა.

არ გააჭირა ამ ჩიტისტოლა, პრეხია მამალმა თავისი ხმით საქმე?! - ჩაიბუზღუნა ლევანმა.

- ყიყლიყო, - დასძახა ისევ თავისი ჩახლეჩილი ხმით „იაპონკამ“.

- არა, ნამდვილად აღარ დამაძინებს, -თქვა და საწოლის თავთან დაკიდებული ნათურა აანთო. ოთახში ბნელ-ნათელი შუქი გაიფანტა და მეუღლეს გადახედა. თალიკოს ღრმა ძილით ეძინა. ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე კი საბანზე ზემოდან ჰქონდა დადებული და ნათურის სხივი პირდაპირ ეცემოდა ხელის მტევანს. კაცის ყურადღება თითქმის გაშვებულმა საჩვენებელმა თითმა მიიპყრო. ზედ დააცქერდა, მერე საკუთარი ხელის მტევანს დახედა. ძველებურად ნაზი და სათუთად მოგლილი მოეჩვენა. ღმერთო, მაპატიე! - ჩაილაპარაკა თავისთვის და ზეზე წამოდგა. ფეხები ქოშებში ჩაჰყო და შვილის საძინებელ ოთახში შეიპარა.

კაშკაშა მთვარის შუქი დაჰნათოდა მძინარეს ფანჯრიდან. მამამ შვილის ხელი ნაზად აიღო და მთვარის შუქზე დააკვირდა. მამუკას ხელისგული თითქმის მთლიანად დაეფარა მოშუშებულ და მოუშუშებელ წყლულებს.

შენ მოვიკვდა მამა! - ჩაიჩურჩულა და ფეხაკრეფით გამოიპ-

არა შვილის საძინებელი ოთახიდან.

X X X

მტრედისფრად ინათა. ლევანი სამზარეულოში ფუსფუსებს და მძინარე ცოლ-შვილს საუზმეს უმზადებს, თან საკუთარ ბედზე ფიქრობს:

- ეს რა გამოცდა მომიწყო განგებამ? ლამის კაცი მოლა-ლატედ მაქცია და მერე ვის ვლალატობდი? საკუთარ შვილს. როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე ისე, რომ მოლალატედ არ იქცე? დიდი სიფრთხილზე და ძალისხმევა გმართებს ამისათვის, ცოტაც და მეც მოლალატედ ვიქცეოდი. მადლობა ღმერთს, გონება გამინათდა, თუ არა და სად დავემალებოდი საკუთარ სინდისს?

- ლევან, როგორ შენ მოლალატე არ ხარ? - ამოტივტივდა კითხვა.

- ვითომ რატომ ვარ მოლალატე? - კითხვას კითხვითვე უპასუხა ლევანმა.

როგორ თუ რატომ? ამდენი ხნის ნატვრის შესრულება რომ შეგეძლო და არ აისრულე ეს საკუთარი თავის მიმართ ღალატი არაა?

ჰო, მართალია ჩემს თავს ვუღალატე, პირადული დავივიწყე, მართლა მოლალატე ვარ! - ლევანი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო, თუმცა, საკუთარი თავის ღალატი არ ნიშნავს, რომ მოლალატე ხარ. პირიქით, ზოგჯერ ეს დიდი ვაჟკაცობაა.

# ხეობის ტყვე

აღმართზე ქშენით მიმავალმა ავტობუსმა გაიგვკა თუ არა, შვეებით ამოისუნთქა, სისწრაფეს მყისიერად მოუმატა და ლარივით გაჭიმული გზის დაკეცვა დაიწყო.

სალონში შემოჭრილმა ჰაერის ნაკადმა მგზავრები გამოგვაფხიზლა და გაგვახალისა. საუბრის ხასიათზე მოსულმა ჩემს გვერდით მჯდომ ახალგაზრდას შეპარვით შევავლე თვალი. მომეწონა. ვინატრე, ნეტავ ასეთი იყო ყველა ქართველი - მეთქი და გადავწყვიტე მასთან საუბრის გაბმა.

- კიდევ რამდენი დროა საჭირო რაიონში ჩასვლამდე? - გკითხე ახალგაზრდას.

- ორი საათი, - იყო მოკლე პასუხი.

- თბილისში ცხოვრობთ? - გკითხე ისევ.

- არა, რაიონში.

- დიდი ხანია, რაც წამოსული ხართ?

- სამი დღეა.

- როგორი ამინდები დატოვეთ?

- წვიმიანი.

- მაშინ დეემგებოდა სოკო, არა? - მოფუქციე ზემო იმერულად.

- დეეშვა კი არა ლამისაა წაგვსილოს, - იმერულადვე მოუქცია ახალგაზრდამ.

- კაია მაშინ, ბიძია, ხვალ და ზეგ ჩვენი სოფლის ტყეებს შემოვირბენ, იცით როგორ მენატრება იქაურობა.

- მჯერა, ბიძა კაცო, აბა არ მჯერა, თმაჭადარებს ყოველთვის ენატრებათ მხარე, სადაც თავისი ბავშვობა გაუტარებიათ და თქვენ რატომ იქნებით გამონაკლისი?

საუბრით ნასიამოვნებმა მსუბუქად ჩავახველე და ის იყო ახალი კითხვა უნდა დამესვა, რომ ჩვენს უკან, ორიოდ საგარდლის დაშორებით სკამზე მჯდომი ორი ახალგაზრდიდან, ერთერთმა საშინელი ხველა ატეხა და აღარ დაამთავრა.

- წყალი ინებეთ, ახალგაზრდა! - შესთავაზა მეზობლად

მჯდომმა ქალბატონმა.

ახალგაზრდამ პასუხად მარცხენა ხელი მკერდზე დაიღო, მარჯვენათი კი ანიშნა არ მინდაო და ხველას უფრო უმატა. თითქმის ყველა მგზავრი ერთიანად უკან შეებრუნდა და ახალგაზრდას დაუწყყო ცქერა. ის კი ლამის იხრჩობოდა. მისმა ქცევამ ეჭვი აღმიძრა, რომ ის თაღლითობდა, ამიტომ გადავწყვიტე სავარძელში გავსწორებულიყავი და ფანჯარაში გამეგრძელებინა ცქერა. ერთხანს ასე ვიყავ და როცა შემოგბრუნდი, თვალი შევასწარი, თუ როგორ გაუხსნა ჩემს წინ მდგომმა შავპერანგინამა, ოცი-ოცდარი წლის ახალგაზრდამ ჩანთა ყურადღებამოდუნებულ გოგონას და რაღაც ამოაცალა.

- ხედავ, ამ ბიჭმა იქურდა, - ვუთხარი ჩემს გვერდით მჯდომს და ახალგაზრდაზე მივუთითე.

- მერე მე რა? - იყო პასუხი.

- როგორ თუ რა? შენი და რომ იყოს?..

- კარგი რა, სჯობს ყველამ თავის ჩანთას მიხედოს, - ჩაიხურჩულა ახალგაზრდამ და ფანჯრისაკენ შეებრუნდა.

- არ ხარ მართალი!

ახალგაზრდას ჩემთვის არც შემოუხედავს და არც პასუხი გაუცია. მზერა ისევ ჯიბეებზე გადავიტანე, რომელსაც უკვე მეორე მგზავრისათვის გაეხსნა ჩანთა და შიგ დაფათურობდა. ინსტიქტურად, ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოვხტი, ჯიბეებს მაჯაში ვწვდი, ხელი ამოვუტრიალე, მხრებში წავხარე და მარცხენა იდაყვი მთელი ძალით ჩავარტყი ხერხემალთან. სუნთქვაშეკრული ჯიბეები ძირს დაეცა.

- ეს რა ჩაიდინე, ბიძაკაცო, „დაგბრედენ“! - მითხრა თვალებგაფართოებულმა გვერდით მჯდომმა.

- ვინ „დამბრედს“? აბა გაბედონ!

- ვინ და ჩვენ. მე შენი დედა... შე ნავიყარო, შენა! - თქვა ხველებამეწყვეტილმა ახალგაზრდამ და თავის გვერდით მჯდომთან ერთად ჩემსკენ გამოემართა.

- არ გინდათ, ბიჭებო, აპატიეთ! - აკვილდნენ ქალები.

- რა მჭირს ამ ცხვირმოუხოცავების საპატიო? - ვთქვი და ახალგაზრდას მოქნეული მარჯვენა ჰაერში დაფუჭირე მარცხენა

ხელით. მარჯვენა ხელის იდაყვი უკვე ამოტრიალებულ ხელს დავარტყი და ძვალმაც ხმამაღლა დაიჭახუნა.

- ვაიმე, დედა, ხელი მომტეხა! - აღრიალდა ივი. ავტობუსი სავალი ნაწილიდან გადავიდა და გაჩერდა. გაიღო თუ არა კარი, ჯიბგირთავან მესამე თანამზრახველი გარეთ გავარდა და სიმინდის ყანას მისცა თავი. ხალხიც ერთბაშად წამოიშალა და ნახევრად გონდაკარგული ორივე ახალგაზრდა ქიმუნჯებითა და პანჩურების კვრით ჩამოყარეს ავტობუსიდან. ხუთმა ქალბატონმა საფულეები მოიკითხა.

- რა ვუყოთ, ბატონო, ამ გარეწრებს? - მკითხა ერთმა ახალგაზრდამ.

- გაუშვით.

- მერე?

- მერე და წავლენ თავის გზაზე.

- დაუსჯელად გავუშვით?!

- როგორ, თქვენ დაისაჯეთ?

- ჩვენ რატომ უნდა დავსჯილიყავით, ვითომ რა დავაშავეთ?

- ამ ახალგაზრდებმა უკვე იციან, რატომ და რისთვის დაისაჯნენ. მომავალში ასეთი უკადრისი საქმის გაკეთებამდე კარგა ხანს იფიქრებენ. თქვენ კი... - და წინადადება შევწყვიტე. წავიდეთ -მეთქი, ვთხოვე მძღოლს. ავტობუსში ავედი, სავარძელში მოგკალათდი და ფანჯრიდან ისევ ქართლის ველმინდვრებს დავუწყე ცქერა.

- ძია, თქვენ ახალგაზრდობაში სპორტსმენი იყავით? - მკითხა გვერდით მჯდომმა.

- არა, - ვიცრუე მე.

- კარგად კი მოსდეთ და...

ამის შემდეგ მე და ახალგაზრდას ერთმანეთისათვის ერთი სიტყვაც აღარ გვითქვამს მგზავრობის დასრულებამდე.

ეს რა ოსტატურად გამომივიდა. იქნებ სულაც არ ნიშნავს ჩემი ჭალარა და მუხლებში დაგროვილი მარილები სიბერეს? ყოველდღე რომ დავძახნი შეილებს; არიქა დავბერდი და აღარ შემიძლია, თქვენს თავს თქვენ თვითონ მიხედეთო. კაცმა კარგად რომ განსაჯო, აუცილებლად გამამტყუნებს ჩემს შევილებთან.

ნეტავ რას დავიბუდე სახლში? იქნებ სულაც არაა ისე საქმე, როგორც მე მგონია, თუნდაც ღღეს, დამჭირდა და ჯარასავით დავტრიალდი. რომ არ შემძლებოდა, ხომ ვერ დავტრიალდებოდი. უკვე წლები გავიდა და ერთხელაც არ გამომიცდია ჩემი თავი. თუმცა, სად, ან რომელ საქმეში უნდა გამომეცადა? სადაა თავის გამოსაცდელი საქმე ამ დანგრეულ ქვეყანაში?

- როგორ, გამოცდა არ იყო ის, რაც მე ჩავიდინე რამდენიმე წუთის წინ? - დამებადა კითხვა.

- გამოცდა კი იყო, მაგრამ ერთი გამოცდის ჩაბარება არაა საკმარისი რწმენის აღსადგენად, - ვუბასუხე ჩემსავე კითხვას.

- მერედა როგორ, დონ-კიხოტი ხომ არა ვარ ფათერაკები ვეძიო ამ ხნის კაცმა. თუმცა, რა მჭირს საძებნი. იქვე, ჩემი სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ხომ არის ავსულოთა ხეობა, სადაც არავინ დაიარება. ხვალვე, დილაადრიან წავალ და იმ ხეობას მთელ სიგრძეზე გადავკვეთ. ხომ გადავკვეთე ერთხელ სიჭაბუკეში. თუმცა, ბევრნი გაიძახოდნენ - მისი გადაკვეთა არ შეიძლება, აუცილებლად მაცდურს გადაეყრები და კლდეზე გადაგჩეხავსო. ისე, კაცმა რომ თქვას, მე იქ მაცდური ნამდვილად არ მინახავს, მაგრამ უიმისოდაც დიდი შანსი მქონდა კლდეზე გადაჩეხვისა. იმ ხეობის მთელ სიგრძეზე გადამკვეთმა აღამიანმა კი უნდა თქვას მუხლში ძალა მაქვსო და აზროვნებაც შემიძლიაო. რომ ვცადო, ვითომ შევძლებ?

- ვერა, ვერ შევძლებ, უკანვე დავბრუნდები. არც აქედან მაიძულებს ვინმე, არიქა, ხეობაში წადიო და არც იქიდან არავინ მომძახებს, რატომ ბრუნდები უკან კუდამოძუებულიო.

### X X X

ირიყრაჟა თუ არა, ორი დღის სამყოფი საგზლით სოფელი დავტოვე და გეზი ავსულოთა ხეობისაკენ ავიღე, რომელსაც არავითარი საემურნეო მნიშვნელობა არ გააჩნია და ყოველმხრივ მიუვალა. ამ მიზეზთა გამო აღამიანები იქ არასდროს შედიოდნენ და როგორც ვთქვი, ხალხში მასზე მხოლოდ ლეგენდები დადიოდა.

ხეობაში შემავალს, ჩემს მეგზურ ლელესთან მისულს, მზემ

თავისი სხივებით დილა მომილოცა.

აბა, მოხუცო, შენ იცი, არ შედრკე! – მოფუწოდე საკუთარ თავს, ღელეში შევედი და დაღმართს დაფუყევი.

თითქმის ორი კილომეტრი ისე გავიარე, რომ დაღლა არ მიგრძენია. ღელის ორივე მხარეს ვერტიკალურად რამდენიმე ათეულ მეტრ სიმაღლეზე აზიდული რუხი კლდეები, ძველებურად, მღუმარედ დამყურებდნენ.

აუცილებლად გავაღწევე ხეობის ბოლომდე, – ხშირად ვიმეორებდი ამ სიტყვებს ხმადაბლა და იმედმოკვებული, რომ არ ამტკენოდა ჩემი მარილნაგროვები მუხლები. მოძალებული ფიქრები იმედს მიათევენება. თუმცა, ისიც კარგად მახსოვდა, რომ ამის შემდეგ იწყებოდა მთავარი სირთულეები. გამახსენდა ორმოცდაორი წლის წინათ გავლილი გვირაბი, რომელსაც მაშინ გველთა გვირაბი დავარქევი.

იქ ხომ მართლა სასწაული ვნახე. გვირაბში მორევი იყო, რომელშიც ათეულობით გველი დაცურავდა ჩემთან ერთად და ერთსაც არ უცდია დავეგესლე. მის წინ, კლდეზე ამოსულ სველ ხავსზე რომ არ დამცურებოდა ფეხი და უცაბედად მორევიში არ აღმოვჩენილიყავი, ჩემით ნამდვილად ვერ გავბედავდი მასში შესვლას და ჩემი მოგზაურობაც ამით დამთავრდებოდა. ძნელია, დაიჯერო თუ როგორ დასრიალებდნენ მოლიპულ სველ ხავსიან კლდეზე თევზები გვირაბის წინ. ალბათ, მორევიც იმიტომ იყო საგსე გველებით, რომ ამ თევზებზე ნადირობდნენ.

ფიქრებში გართული ნამგალების წივილ-ჭყვივითა გა-  
მომაფხიზლა. გადმოყუდებულ რუხმუცლიან კლდესთან მათ გუნდს ომი გაემართა ორ ყვავთან. ენერგიულად უტევენენ ერთი ციცქნა ფრინველები ყვავებს და სამტროდ მოსულებს მხოლოდ ერთი სურვილიღა დარჩენოდათ, როგორმე გასცლოდნენ იქაურობას.

– ცოტაც და მივალ გველების გამოქვაბულთან. იქ გამოჩნდება რა ვაჟკაციც ვარ, – ვაქეზებდი ჩემს თავს და ღინჯად მივიწვევდი ხეობის სიღრმისაკენ. ოციოდე წუთის შემდეგ ნაცნობი ადგილი გამოჩნდა. სულ რაღაც ორმოცდაათიოდე მეტრი სიგრძის მოედანი ბოლოში ვიწროვდებოდა და გვირაბის შეს-

ასვლელთან მთავრდებოდა. გამეხარდა ნაცნობი ალაგის ნახვა. არაფერი იყო შეცვლილი ორმოცდაორი წლის შემდეგაც.

ახლა კი ფრთხილად! გვირაბში ნელა უნდა შევიდე და არა ისე, როგორც მაშინ, ტორპედოსავით რომ შევევარდი. გეზი მარჯვენა ნაპირისკენ ავიღე. ფრჩხილებით ვეჭიდებოდი რუხ კედლებს და ყოველ ნაბიჯს დიდი სიფრთხილით ვდგამდი. საკმარისი იყო, ფეხი სველ ხავსზე დამცურებოდა, რომ გვირაბის პირამდე შეჩერებას ველარ შევძლებდი. ჩემი ეჭვი გამართლდა. მე ბეჭებზე დავეცი და ბზრიალ-ტრიალით გავექანე გვირაბისაკენ. გონება მყისიერად ამიმუშავდა. ახლა მთავარია, კლდეს არ დავეჯახო და როგორმე ძველებურად გადავეშვა მორევში. თუმცა, ვიცი, რომ იქ ქვეწარმავლები იქნებიან, მაგრამ ძველი გამოცდილებით ისიც ვიცი, არ დამკბენენ, შემდეგ მორევს გაფცურავ და ვიწრო გვირაბით ისევ მზის სინათლეზე გავალ. თუ აქ გადავრჩი, ორიოდე სახიფათო გასასვლელი დამრჩება და ზეგ საღამოს უკვე სახლში ვიქნები.

გვირაბის პირას კარგად დავინახე, როგორ შეცვივდა მასში შეშინებულ ქვეწარმავალთა გუნდი, რომელსაც მეც თან მიყვები და მორევში ჩაცვენილებს ზედ დავეცი. წყალი თბილი იყო და საამო. შეშინებულმა ქვეწარმავლებმა წყლიდან ამოსვლა და კლდეთა ნაპრალებში თავის შეფარება დაიწყეს. ცურვით გვირაბის ბოლოსაკენ გავწიე. არაფერი არ მტკენია, მხოლოდ ვიცოდი, რომ ორცხობილა ფქვილივით იქნებოდა დაფხვნილი. გამოვძვერი თუ არა გვირაბიდან, პირჯვარი გადავიწერე და იმ მუცლიან რუხ კლდეს შევხედე, რომელსაც ცენტრში ჭიპივით გამოქვაბული ჰქონდა. ჩემდა გასაოცრად კლდის გამოქვაბულს უძველესი ადამიანის ცხოვრების კვალი აჩნდა. გამოქვაბულის წინა მხარე ყორეთი იყო ამოშენებული. ხეობის სიგანე ათთხუთმეტ მეტრს აღწევდა, კლდეების ფუძესთან ჯონჯოლის ბუჩქები ჩამწკრივებულიყვნენ. ოდნავ ქვემოთ ნახევრად ბუჩქად გაზრდილი მსხმოიარე ტყემალი მოჩანდა. შორიდან შაშვის ჭახ-ჭახის ხმაც მომესმა, რამაც ძალიან გამახარა. შაშვის ხმა ხომ ყოველთვის ჩემს ბავშვობას მაგონებს. ცოტა იდაყვი კი მქონდა გადაყვლეფილი, მაგრამ მისი ტკივილი ვერავითარ გავლენას

ვერ ახდენდა ჩემს გუნება-განწყობაზე.

- ახლა კი დროა ვისადილო და ცოტა დავისვენო კიდეც, - ვურჩიე საკუთარ თავს და კლდიდან გამოზრდილი ჯონჯოლის ბურქის ჩრდილში დავჯექი, ზურგჩანთა გაგხსენი, საჭმელი ამოვალაგე და ბრტყელ ქვაზე გავშალე. მერე ჩიბიდან ჯაყვა ამოვიღე, თევზის კონსერვის ქილაში ჩავასვი და სახურავი კობტად ამოვჭერი.

სადილის შემდეგ დაღლილობა ვიგრძენი. ფეხზე გავიხადე, წამოვწექი და ხელები თავქვემ ამოვიღე. ერთხანს ლურჯ ცას შევყურებდი. ფიქრებში წასულს ჩამთვლიმა კიდეც, მაგრამ დიდხანს არ მძინებია, რაღაც ხმაურმა გამომადვიდა. თვალი გავახილე. ჩემს ნასუფრალზე დედა მელა რაღაცას დაეძებდა. მის ოთხ ლეკვს კი კონსერვის ქილა დაეთრია და თამაშობდნენ.

უყურე ამ მელია კულდაგრძელიას, რა უშიშარი ვინმე ყოფილა! ამხელა კაცი აქ ვარ და აინუნშიაც არ მაგდებს!

ისე ლაღად თამაშობდნენ ლეკვები, რომ მათი დაფთარობა დამენანა. არ განვძრეულვარ, სიამოვნებით განვავრძე მათი ცქერა. მელამ სასუსნავი რომ ვერაფერი იპოვა, ჩემს ფეხებთან მოვიდა და ყნოსვა დაუწყო. ვიფიქრე, არ მიკბინოს -მეთქი და მუხლები მოვკეცე. ნადირმა უკან ისკუბა, შედგა და გაკვირვებულმა დამიწყო ცქერა. პურის ნაჭერი ჩანთიდან ამოვიღე და ნადირს გავუწოდე. ის თავისუფლად მოვიდა ჩემთან და პურის ნაჭერი დაყნოსა. მივხვდი, რომ მას, ჩემს გარდა, ადამიანი არასოდეს ენახა და ამიტომაც არ შეშინებია ჩემი.

ჩანთიდან საკმაოდ მოზრდილი ძეხვი ამოვიღე, პატარა=პატარა ნაჭრებად დავჭერი და გავშალე. მერე ფეხზე წამოვდექი, ზურგჩანთა ავიკიდე და გამგზავრება დავაპირე. დედა მელამ ნაჭრები შენიშნა და სათითაოდ დაყნოსა, პირი არცერთისათვის უხლია, მხოლოდ კნავილის მსგავსი ხმით დაიძახა. მის ხმაზე ლეკვებმა ჯერ ყურები ცქვიტეს, მერე კი ერთად გაემართნენ მისკენ. დედამ შვილებს ძეხვის ნაჭრებზე მიანიშნა, რომლებიც ლეკვებმა ერთიანად გადასანსლეს.

საკმაოდ დახრილ ქანობზე ვეშვებოდი, ღელეც ქვებზე ხტუნვით, თავისცემით და ჩხრიალით მიექანებოდა. ხეობის მარ-